



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა  
ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან  
(ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით  
ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად)

თბილისი  
2018



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



კვლევის ავტორი:  
სოლომონ მენაბდიშვილი

წინამდებარე კვლევა მოამზადა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSR DG) პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით. კონსორციუმში ასევე შედის ოთხი ქართული ორგანიზაცია: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSR DG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC). პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“



# შინაარსი

ანოტაცია .....	5
1. შესავალი .....	7
2. საქართველოში კონკურენციის სამართლის განვითარების ისტორია.....	9
3. ასოცირების შესახებ შეთანხმებით კონკურენციის სამართლის კუთხით გათვალისწინებული ვალდებულებების ძირითადი საკითხების მიმოხილვა.....	11
4. ეკონომიკური აგენტების ბაზარზე შეთანხმებული ქმედებების ეფექტურად დარეგულირება .....	13
5. დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენება.....	22
5.1. დომინანტი პოზიცია.....	22
5.2. დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენება.....	30
6. კონცენტრაციების ეფექტური კონტროლი .....	32
6.1. შერწყმის არსი.....	32
6.2. კონტროლის კონცეფცია .....	35
6.3. ერთობლივი საწარმო .....	35
6.4. დაგეგმილი კონცენტრაციის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება.....	36
6.5. კონცენტრაციის შეფასება .....	37
6.6. კონცენტრაციის შეფასებისას განსახილველი საკითხები .....	40
6.6.1. მყიდველის შემაკავებელი ძალაუფლება .....	44
6.6.2. ბაზარზე შესვლა.....	44
6.6.3. ეფექტურობები.....	45
6.6.4. „წარუმატებელი ფირმის“ შერწყმის გამართლება .....	46
6.6.5. არაჰორიზონტალური შერწყმები .....	46
6.6.6. საბაზრო წილი და კონცენტრაციის დონე .....	47
6.6.7. ვერტიკალური შერწყმები .....	47
6.6.8. კოორდინირებული ეფექტები.....	48

6.6.9. კონგლომერატიული შერწყმები .....	48
6.7. ჯარიმები .....	48
<b>7. კონკურენციის ორგანოს უფლებამოსილება .....</b>	<b>50</b>
7.1. კონკურენციის ორგანოს უფლებამოსილება საქართველოში .....	50
7.1.1. სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის ადგილზე (მოულოდნელი) შემოწმება.....	52
7.2. კონკურენციის ორგანოს უფლებამოსილება ევროკავშირში .....	55
7.2.1. ინფორმაციის გამოთხოვა .....	55
7.2.2. შემოწმება-ინსპექტირება.....	55
7.2.3. კერძო საკუთრების ობიექტის შემოწმების უფლება.....	57
7.2.4. კომისიის მიერ განხორციელებული მოულოდნელი შემოწმების შეფასება ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით .....	57
7.2.4.1. ინფორმაციის გამოთხოვა .....	57
7.2.4.2. კომერციული დანიშნულების ობიექტების შემოწმება .....	59
7.3. საქართველოში კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევების მოკვლევის ვადა.....	61
7.4. ხანდაზმულობის ვადა.....	62
<b>8. დასკვნა .....</b>	<b>63</b>

## ანოტაცია

2014 წელს ევროკავშირთან დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლის მიხედვით, საქართველომ იკისრა ვალდებულება იქონიოს კონკურენციის თაობაზე სრულყოფილი კანონმდებლობა, რომელიც ეფექტურად დაარეგულირებს ეკონომიკური აგენტების ერთობლივ ქმედებებს, მათ ცალმხრივ ქმედებას და ასევე ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციებს. გარდა ამისა, საქართველო ვალდებულია კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტურად აღმასრულებელი ორგანო შექმნას, რომელსაც შესაბამისი უფლებამოსილება ექნება მინიჭებული.

2010 წელს საქართველოს მთავრობამ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის შესახებ შეთანხმების მოლაპარაკების დროს დაამტკიცა კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც ევროკავშირში არსებული კონკურენციის სამართლის ნორმების საქართველოში იმპლემენტაციის მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას. ორი წლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელშიც ბევრი ხარვეზი შეინიშნებოდა ევროკავშირის კონკურენციის ნორმებთან დაახლოების თვალსაზრისით.

კონკურენციის სამართლით დასარეგულირებელი საკითხები მოიცავს შემდეგს:

პირველი, ეკონომიკური აგენტების ბაზარზე შეთანხმებულ ქმედებებს. ამ საკითხს არეგულირებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი, რომელიც შეიცავს აკრძალული შეთანხმებული პრაქტიკის ამომწურავ ჩამონათვალს, რაც არასწორია, რადგან ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მიხედვით აკრძალული ქმედებები სრულად არაა ჩამოთვლილი და აკრძალვებში შეიძლება სხვა სახის ერთობლივი ქმედებაც მოყვეს. ასევე აღსანიშნავია ორი ტერმინის შეუსაბამობა ევროკავშირში არსებულ ტერმინებთან მიმართებაში. ესენია ტერმინები „ხელშეკრულება“ და „შეთანხმებული ქმედება“. მათ ნაცვლად ჯობია გამოყენებული იყოს „გარიგება“ და „შეთანხმებული პრაქტიკა“. გარდა ამისა, კარტელის თემასთან დაკავშირებით, ასევე უნდა აღინიშნოს აკრძალვებიდან გამონაკლისების საკითხი. ოთხი კუმულატიური პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ევროკავშირში ეკონომიკური აგენტების ნებისმიერი სახის ერთობლივი ქმედება შეიძლება აღარ აიკრძალოს. საქართველოში კი ამ ოთხი კუმულატიური პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის #526 დადგენილებით განსაზღვრული ხელშეკრულებების აკრძალვებიდან განთავისუფლება;

მეორე საკითხი, რასაც კონკურენციის სამართალი არეგულირებს არის დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენება. ზოგადად როგორც ევროკავშირში ასევე საქართველოში დომინირებული პოზიციის ფლობა არ იკრძალება. მთავარია ასეთმა კომპანიამ ბოროტად არ გამოიყენოს მისი პოზიცია. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონით ზოგადად ამ საკითხთან მიმართებაში ყველაფერი კარგადაა მოცემული. საუბარია იმაზე, რომ დომინანტი პოზიცია ივარაუდება შესაბამისი ბაზრის 40 პროცენტის ფლობიდან, თუმცა სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც უნდა იქნეს განხილული დომინანტობის დადგენისას;

მესამე მნიშვნელოვანი საკითხი არის კონცენტრაციების ეფექტური რეგულირება. კონცენტრაციის ცნება ევროკავშირში და საქართველოში ერთნაირად არის განმარტებული. იგი სხვადასხვა გარიგებას მოიცავს. პირველი – ეს არის ეკონომიკური აგენტების შერწყმა-გაერთიანება. გარდა ამისა, კონცენტრაციად კვალიფიცირდება ისეთი გარიგებები, რომლის შედაგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი მოიპოვებს მეორე

ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის უფლებას, რაც მას საშუალებას აძლევს მეორე ეკონომიკური აგენტის გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს. ეს შეიძლება გამომდინარეობდეს ქონების, უფლებების, წილის შექმნიდან და სხვა. კონცენტრაციების ეფექტური რეგულირებისათვის საჭიროა ეკონომიკურმა აგენტებმა დაგეგმილი კონცენტრაციის შესახებ წინასწარ შეატყობინონ კონკურენციის ორგანოს, რათა ამ უკანასკნელმა შეისაწვლოს და დაადგინოს კონცენტრაციის მოსალოდნელი ეფექტები. ევროკავშირში გარდა წინასწარი შეტყობინების ვალდებულებისა, ეკონომიკური აგენტებს ვალდებულება აკისრიათ დაელოდნონ სააგენტოს გადაწყვეტილებას და შემდეგ მოახდინონ კონცენტრაციის იმპლემენტაცია. ისინი ასევე ვალდებულნი დაემორჩილონ კონკურენციის ორგანოს უარყოფითი დასკვნას და შეასრულონ გადაწყვეტილებაში მითითებული პირობები. ამ ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ევროკავშირში გათვალისწინებულია შესაბამისი ტრანზაქციის ანულირება და ეკონომიკური აგენტების დაჯარიმება მათი წლიური ბრუნვის 10 პროცენტამდე. საქართველოში კანონით მხოლოდ განზრახული კონცენტრაციის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არსებობს, რისი დარღვევის შემთხვევაშიც არანაირი სანქცია და არც შესაბამისი გარიგების ანულირება არ არის კანონით გათვალისწინებული. საჯარო რეესტრს მოეთხოვება კონცენტრაციების შესახებ გარიგებების რეგისტრაციისას მხედველობაში მიიღოს სააგენტოს უარყოფითი დასკვნა. თუმცა, დიდი ალბათობით რეესტრს არასოდეს მოუთხოვია ასეთი დოკუმენტი კომპანიებისაგან.

მეოთხე საკითხი მოიცავს კონკურენციის სააგენტოს ეფექტურ უფლებამოსილებას. გარკვეული სერიოზული ხარვეზები ამ კუთხითაც შეინიშნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბუნდოვანება იმასთან დაკავშირებით, კონკურენციის სააგენტოს აქვს თუ არა სასამართლოს წინასწარი თანხმობის გარეშე ეკონომიკური აგენტების შემოწმების უფლება. ასევე უნდა აღინიშნოს ჯარიმის ოდენობა, რომელიც ეკონომიკური აგენტების წლიური ბრუნვის 5 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, მაშინ როდესაც ევროკავშირში ჯარიმა ბრუნვის 10 პროცენტამდე იანგარიშება. მნიშვნელოვან ნაკლად ასევე უნდა ჩაითვალოს პერიოდული საჯარიმო სანქციების არ არსებობა. ასეთი სახის ჯარიმები გათვალისწინებულია ევროკავშირში წლიური ბრუნვის 1 და 5 პროცენტამდე, იმისთვის, რომ ფირმებს აიძულონ დაემორჩილონ კონკურენციის ორგანოს გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, ხარვეზებია ხანდაზმულობის კუთხითაც.

## 1. შესავალი

1. თანამედროვე კონკურენციის სამართლის წინამორბედ ნორმებად მიიჩნევა კანონი ჯულია დე ანონა, რომელიც მოქმედებდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 50-იან წლებში რომის იმპერიაში. იგი იცავდა მარცვლეულით ვაჭრობას და დიდ ჯარიმას ითვალისწინებდა მათთვის, ვინც პირდაპირ, განზრახ და ხელოვნურად აფერხებდა გემით მიწოდებას. იმპერატორ დიოკლეთიანეს მიერ ჩვენი წელთაღრიცხვის 301 წელს მიღებულ იქნა ბრძანება, რომელიც კრძალავდა მაქსიმალური ფასის დაწესებას და ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას ტარიფის სისტემის დარღვევაზე. ბრძანებით ასევე აკრძალული იყო ყოველდღიური მოხმარების საქონლის სრული შესყიდვა, დამალვა ან მასზე დეფიციტის შექმნა.

2. ზენონის კონსტიტუცია, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის 483 წელს შეიქმნა, ითვალისწინებდა ქონების კონფისკაციას და გაძევებას ვაჭრობის კომბინაციისათვის ან კერძო, ან იმპერატორის მიერ ნაბოძები მონოპოლიების ერთობლივი ქმედებისათვის.

3. პირველი თანამედროვე კონკურენციის სამართლის ნორმები ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე შეიქმნა მე-18 საუკუნის მიწურულს. კანადამ 1889 წელს მიიღო „ვაჭრობის შემზღუდავი კომბინაციების თავიდან აცილებისა და აკრძალვის შესახებ აქტი“. ერთი წლის შემდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა დაამტკიცა შერმანის აქტი. ეს სამართლებრივი დოკუმენტი იმისათვის იქნა მიღებული, რომ ე.წ. „ტრასტების“ (ინგლისურად trusts) წინააღმდეგ მომხდარიყო ბრძოლა. მაშინდელ ამერიკაში გავრცელებული იყო ტრასტების ინსტიტუტი. კერძოდ, მრეწველობის ერთ რომელიმე დარგში მოქმედი ფირმები ტრასტებს ანუ ნდობით აღჭურვილ პირებს გადასცემდნენ თავის ბიზნესს სამართავად და სწორედ ამ ტრასტის მიერ ხდებოდა ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შესაბამის ინდუსტრიაში. ბუნებრივია, ეს პრაქტიკა არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს ქმნიდა, რაც ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს იწვევდა.

4. კონგრესმენ შერმანის სახელს უკავშირდება აღნიშნული პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება და მის პატივსაცემად კი 1880 წელს მიღებულ აქტს შერმანის აქტი უწოდეს. შეერთებულ შტატებში სამართლის დარგს, რომელიც ტრასტების წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს, ეწოდება ანტიტრასტული სამართალი.

5. შერმანის აქტი ორ სამართალდარღვევას ითვალისწინებს. პირველი სექციის მიხედვით, აკრძალულია ტრასტების შექმნა ან სხვა რაიმე ფორმით თანამშრომლობა ან კონსპირაცია, რომელიც მიმართულია რამდენიმე შტატს შორის ან სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობისა და კომერციის შესაზღუდად. ნებისმიერი პირი, რომელიც ასეთ ხელშეკრულებას დადებს ან ჩაერთვება რაიმე სახის გაერთიანებაში ან კონსპირაციაში, რაც უკანონოდ იქნება გამოცხადებული, სისხლის სამართლის დამნაშავედ იქნება ცნობილი. კორპორაციებს დაეკისრებათ ჯარიმა 10 მილიონ დოლარამდე, ხოლო სხვა პირებს 350 ათასი დოლარის ოდენობით ან მოხდება მათი დაპატიმრება სამ წლამდე ვადით. შესაძლებელია ასევე ჯარიმისა და პატიმრობის ერთობლივად გამოყენებაც, რაც სასამართლოს ნებაზეა დამოკიდებული.

6. რაც შეეხება შერმანის აქტის მეორე სექციას, მის მიხედვით პირს, რომელიც მონოპოლიზირებას მოახდენს ან შეეცდება მონოპოლიზაციას, ან გაერთიანდება ან ითანამშრომლებს სხვა პირთან ან პირებთან იმისთვის, რომ მოახდინოს რამდენიმე შტატს შორის ან სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობის ან კომერციის რომელიმე ნაწილის მონოპოლიზაცია, სისხლის სამართლის დამნაშავედ იქნება ცნობილი. ასეთი ქმედებების მიმართ გათვალისწინებულია ჯარიმა კორპორაციების მიმართ 10 მილიონ დოლარამდე, სხვა პირების მიმართ კი სასჯელი 350 ათას არ უნდა აღემატებოდეს ან შეიძლება მათი

თავისუფლების აღკვეთა მოხდეს სამ წლამდე ვადით. ასევე შესაძლებელია ორივე სახის სასჯელის ერთდროულად გამოყენება, რაც სასამართლოს ნებაზეა დამოკიდებული.

7. ევროპის კონტინენტზე შედარებით გვიან დაიწყო ანტიტრასტული სამართლის ნორმების მიღება. პირველი მცდელობა ამ მხრივ ჰქონდა ავსტრიას. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოახერხა. გერმანიამ პირველმა მიიღო კონკურენციის სამართლის ნორმები 1923 წელს პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ინფლაციის კრიზისთან გასამკლავებლად.

8. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ დაიწყო ფიქრი კონკურენციის სამართლის ნორმების მიღებაზე, როგორც ეკონომიკის გამოცოცხლების ერთ-ერთ საშუალებაზე, რის გამოც კონკურენციის სამართალს მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა და იგი უკვე პოლიტიკური სისტემის ძირითად ნაწილად იქცა.

9. ევროკავშირში პირველი კონკურენციის სამართლის ნორმები მოცემული იყო პარიზის 1951 წლის შეთანხმების<sup>1</sup> 66-ე და 67-ე მუხლებში. აღნიშნული შეთანხმებით შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება. პარიზის შეთანხმების მესამე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამბობდა, რომ გაერთიანებამ „უნდა უზრუნველყოს ისეთი სისტემის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს შიდა ბაზარზე კონკურენციის დაუმახინჯებლობას“. მოგვიანებით, რომის შეთანხმებით<sup>2</sup> შეიქმნა ევროპის ეკონომიკური საზოგადოება, რომელიც ამოქმედდა 1958 წლიდან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რომის შეთანხმებით გათვალისწინებული კონკურენციის სამართლის ნორმების აღსრულება დაიწყო ოთხი წლის დაგვიანებით, მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა რეგულაცია #17/62 ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ შეთანხმების 85-ე და 86-ე მუხლების იმპლემენტაციის შესახებ. ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმებაში აღნიშნული მუხლები 101-ე და 102-ე მუხლებად დაინომრა.<sup>3</sup> პირველი მუხლი კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ერთობლივ მოქმედებას კრძალავს ბაზარზე და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ თანამშრომლობით მიღებული პოზიტიური შედეგი გადაწონის ბაზარზე ნეგატიურ შედეგს, შეიძლება ასეთი ქმედების აკრძალვიდან განთავისუფლება მოხდეს. მეორე მუხლი კი დომინანტი ეკონომიკურ აგენტს თავისი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას უკრძალავს, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც მომხმარებლისათვის შეუსაბამოდ მაღალი ფასების დაწესებაში, ასევე დომინანტი ეკონომიკური აგენტის კონკურენტი ფირმ(ებ)ის შევიწროებასა და ბაზრიდან გაძევებაში. ორივე მუხლზე და ქართულ კანონმდებლობაში არსებულ ანალოგიური შინაარსის მუხლებზე უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

1 ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი შეთანხმება.

2 რომის შეთანხმებით შეიქმნა ევროპული ეკონომიკური გაერთიანება. როგორც პარიზის, ასევე რომის შეთანხმების ხელმძღვანელი მხარეები იყვნენ საფრანგეთი, ლუქსემბურგი, იტალია, ჰოლანდია, ბელგია და დასავლეთ გერმანია.

3 რომის შეთანხმების 85-ე მუხლი ეხებოდა ეკონომიკური აგენტების ერთობლივ მოქმედებას ბაზარზე (კარტელს), 86-ე მუხლი კი – დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენებას. ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ კარტელი 101-ე მუხლით არის დარეგულირებული, 102-ე მუხლი კი დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენებას ეხება.



## 2. საქართველოში კონკურენციის სამართლის განვითარების ისტორია

10.1992 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ევროპის გაერთიანებამ (EC) აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 1996 წელს საქართველოსა და ევროპის გაერთიანებას შორის დაიდო თანამშრომლობისა და პარტნიორობის შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს. შეთანხმების 43-ე მუხლი ავალდებულებს საქართველოს თავისი კანონმდებლობა, მათ შორის კონკურენციის სამართლის ნორმები, დაუახლოვოს ევროპის გაერთიანების შესაბამის ნორმებს.

11. საქართველოს პარლამენტმა, აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით, 1996 წელს მიიღო „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, შეიქმნა კანონის აღსრულებაზე მონიტორინგის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც თავდაპირველად წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებულ საჯარო სამართლის სუბიექტს. 1997 წლიდან კი აღნიშნული სამსახური დამოუკიდებელ ორგანოდ ფუნქციონირებდა.

12. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 2 სექტემბერს მიიღო დადგენილება #828-IX, რომელიც ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის განვითარების, სამართლებრივი სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის, ევროპის გაერთიანების მიერ აღიარებულ პრინციპებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პარლამენტს ავალდებს, რომ 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ყველა კანონი და ნორმატიული აქტი შესაბამისობაში იყოს ევროგაერთიანების მიერ დადგენილ სტანდარტებთან და ნორმებთან.

13. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაახლოების თვალსაზრისით, საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, რაც იმაში გამოიხატა, რომ 1999 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ანტიმონოპოლიური სამართლის ნორმების დარღვევების კრიმინალიზაცია მოხდა. კერძოდ, კოდექსის 195-ე მუხლის მიხედვით, მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასის დაწესება, კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის გაყოფის, ბაზარზე გავლენის შენარჩუნების, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტების ბაზრიდან გამეხობის ანდა ერთიანი საბაზრო ფასის დადგენის ან შენარჩუნების გზით ისჯებოდა ჯარიმით ან ტუსაღობით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით. აღნიშნული მუხლის მეორე და მესამე პუნქტები მოიცავდა იმავე ქმედებებს, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში, რაც თავისუფლების შვიდ წლამდე აღკვეთით ისჯებოდა.

14. 2003 წლის ე.წ. „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ახალი გუნდი კონკურენციის კანონმდებლობის მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი, რამაც განაპირობა ამ დარგის განვითარების სერიოზული შეფერხება და ძლიერი ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება. ახალი ხელისუფლება ფიქრობდა, რომ იმ დროისათვის არსებული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და შესაბამისი ორგანო კორუფციას უწყობდა ხელს და ასევე ხელს უშლიდა ახალი ეკონომიკური აგენტების შემოსვლას ბაზარზე. 2005 წლის 3 ივნისს პარლამენტმა ძალადაკარგულად გამოაცხადა მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და მიიღო ახალი კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. მაშინდელი ხელისუფლების მტკიცებით, კანონის გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი იყო ის, რომ საქართველო არის პატარა ბაზარი და არ საჭიროებდა კონკურენციის ნორმების მეშვეობით ბაზრის რეგულირებას. შეიქმნა კანონის

აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანოც, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელიც 7 კაცისაგან დაკომპლექტდა.

15. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ახალი მიღებული ნორმატიული აქტი არ მოიცავდა კონკურენციის სამართლისათვის დამახასიათებელ ისეთ საკითხებს, როგორცაა კარტელური შეთანხმება, დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენება, საწარმოების შერწყმა. იგი მხოლოდ სახელმწიფო დახმარების საკითხებს არეგულირებდა.<sup>4</sup>

16. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, აქტიურად დაიწყო მოლაპარაკება საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმების თაობაზე. აღნიშნული მოლაპარაკება 2014 წლის 27 ივნისს დასრულდა ევროკავშირისა (EU) და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების გაფორმებით, რომელმაც ჩაანაცვლა მხარეებს შორის გაფორმებულ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება მას შემდეგ, რაც მოხდა ევროკავშირის, მისი წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს მიერ მისი რატიფიცირება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასოცირების შეთანხმების ნაწილია ყოვლისმომცველი და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებაც, რომელიც დროებით, შეთანხმების სრულად რატიფიცირებამდე 2014 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა ძალაში.<sup>5</sup>

17. თავისუფალი ვაჭრობისა და მთლიანად ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას წინ უძღოდა ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის დაწესებული გარკვეული მოთხოვნების შესრულება. ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დასადებად იყო კონკურენციის სამართლის ნორმების დაახლოება ევროკავშირის ნორმებთან და კონკურენციის შესახებ კანონის აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანოს ინსტიტუციური განვითარება.

18. 2012 წლის 8 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც, მართალია 2005 წლის კანონთან შედარებით პროგრესული იყო, მაგრამ მასში სერიოზული ხარვეზები მაინც შეინიშნებოდა.<sup>6</sup> სამწუხაროდ, აღნიშნული კანონის მიღების პარალელურად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 195-ე მუხლი.

19. კანონის შემდგომი სრულყოფისათვის ზრუნვა კოალიცია „ქართული ოცნების“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დაიწყო, რასაც მთავრობის დავალებით, ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2014 წლის 21 მარტს. კანონში შესულმა ცვლილებებმა და დამატებებმა მნიშვნელოვნად დაახლოვა საქართველოში მოქმედი კონკურენციის კანონმდებლობა ევროკავშირის შესაბამის სამართლებრივ ნორმებთან. შეიცვალა კანონის სათაურიც, მას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ეწოდა.

4 იხ. ხალიანი თ., კონკურენციის ახალი პოლიტიკა, <<http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/112983/>>, [08.11.2014].

5 იხ. სექტემბრიდან ასოცირების ხელშეკრულების 80% ამოქმედდება, <<http://www.interpressnews.ge/ge/politika/290321-seqtembridan-asocirebis-khelshekrulebis-80-amoqmeddeba.html?ar=A>>, [08.11.2014].

6 იხ. *Menabdishvili S.*, Getting Closer Together: Georgian Competition Laws are being brought into line with EU rules, „Competition Insights“, London, June Issue 2013.

### 3. ასოცირების შესახებ შეთანხმებით კონკურენციის სამართლის კუთხით გათვალისწინებული ვალდებულებების ძირითადი საკითხების მიმოხილვა

20. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამ საქართველო ახალი რეალობის წინაშე დააყენა. ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლი საქართველოს ვალდებულებს იქონიოს ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობა, რომელიც ეფექტურად დაარეგულირებს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებს, შეთანხმებულ ქმედებებს და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ქმედებებს და რომელიც განახორციელებს ეკონომიკური აგენტების შერწყმების ეფექტურ კონტროლს. საქართველო ასევე ვალდებულია შექმნას კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიან ადსრულებზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო. ამ მუხლიდან გამომდინარე შეიძლება ვისაუბრეთ საქართველოს მხრიდან ნაკისრ შემდეგ ვალდებულებებზე:

პირველი, ეს არის ვალდებულა იქონიოს კანონმდებლობა, რომელიც ეფექტურად დაარეგულირებს ეკონომიკური აგენტების ერთობლივ მოქმედებებს ბაზარზე. კონკურენტების თანამშრომლობას ბაზარზე კარტელი ეწოდება. კარტელური საქმიანობა ძირითადად ყველა იმ სამართლებრივ სისტემაში იკრძალება, სადაც კონკურენციის თანამედროვე კანონმდებლობა გააჩნიათ. თანამშრომლობა მოიცავს საერთო საბაზრო პირობების განსაზღვრას. მაგალითად, ერთობლივი ფასების დაწესებას, წარმოების შეთანხმებულად შემცირებას, კონკურენტებს შორის მომხმარებლების/კლიენტების და გეოგრაფიული ბაზრების განაწილებას, დისკრიმინაციული პირობების დაწესებას, ტენდერებში შეთანხმებულ მონაწილებას (მანიპულაციური ტენდერები) და სხვა. კარტელის აკრძალვის მიუხედავად, ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებები შეიძლება კანონთან შესაბამისობაში იყვნენ თუ თანამშრომლობის შედეგად დამდგარი პოზიტიური შედეგი გადაწონის ნეგატიურ ეფექტებს. ამისათვის კი საჭიროა კონკურენტების თანამშრომლობამ დააკმაყოფილოს ოთხი კუმულატიური პირობა, რომელიც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მესამე პუნქტშია ჩამოთვლილი;

მეორე, საქართველოს კანონმდებლობამ ასევე ეფექტურად უნდა დაარეგულიროს დომინანტი პოზიციის მქონე ეკონომიკური აგენტების ცალმხრივი ქმედებები, რათა არ მოხდეს მათ მიერ ამ პოზიციის ბოროტად გამოყენება. ბოროტად გამოყენების შემთხვევაში კი ძირითადად კონკურენტი ეკონომიკური აგენტების შევიწროება და ბაზრიდან გაძევება ხდება, რაც ბაზარზე არსებულ კონკურენციას ამცირებს.;

მესამე, კონკურენციის ისეთი კანონმდებლობის მიღება უნდა მოხდეს, რომელიც კონკურენციის ორგანოს საშუალებას მისცემს განახორციელოს ეკონომიკური აგენტების შერწყმის ეფექტური კონტროლი. შერწყმაში იგულისხმება ეკონომიკური აგენტების გაერთიანება. კონკურენციის სამართალში ამ ტერმინის ნაცვლად გამოიყენება კონცენტრაცია. კონცენტრაციის შედეგად ბაზარზე ეკონომიკური აგენტების რაოდენობა მცირდება და, შესაბამისად, სულ მცირე არჩევანის თავისუფლება ეზღუდებათ მომხმარებლებს. კონცენტრაციები განსაკუთრებით დაუშვებელია ისეთ ბაზრებზე, რომლებიც მაღალკონცენტრირებულია. მნიშვნელოვნად უარყოფითი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს უშუალო კონკურენტი ეკონომიკური აგენტების გაერთიანება;

მეოთხე, საქართველომ კანონმდებლობის საფუძველზე უნდა შექმნას კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიან ადსრულებზე უფლებამოსილი ორგანო, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილებით იქნება აღჭურვილი.

ქვემოთ დეტალურადაა ახსნილი ის მიდგომები და საკითხები, რომელთაც

ევროკავშირის კონკურენციის ორგანო მიიჩნევს კონკურენციის ეფექტური კანონმდებლობის არსებობისათვის და მისი აღსრულებისათვის საჭიროდ. ასევე ყურადღება არის გამახვილებული საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობისა და პრეცედენტული სამართლის ევროკავშირთან დაახლოების კუთხით არსებულ ხარვეზებზე.

## 4. ეკონომიკური აგენტების ბაზარზე შეთანხმებული ქმედებების ეფექტურად დარეგულირება

21. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლით აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის თანამშრომლობა საბაზრო პოლიტიკის საკითხებზე. თითოეულმა მათგანმა საკუთარი საბაზრო პოლიტიკა უნდა დაგეგმოს და განახორციელოს დამოუკიდებლად, კონკურენტებთან ინფორმაციის გაცვლისა და სხვა რაიმე სახის თანამშრომლობის გარეშე. აღნიშნული მუხლი შეიცავს სამ პუნქტს. პირველი პუნქტის შესაბამისად, აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის ყველა შეთანხმება/გარიგება, ეკონომიკური აგენტების ასოციაციების გადაწყვეტილება და შეთანხმებული პრაქტიკა, რომელსაც შეუძლია წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე ზეგავლენის მოხდენა და რომელთა მიზანი ან შედეგია შიდა ბაზარზე კონკურენციის აღმოფხვრა, შეზღუდვა ან დამახინჯება, **განსაკუთრებით კი** ისეთი სახის გარიგებები, გადაწყვეტილებები ან შეთანხმებული პრაქტიკა, რომელიც:

- ა. პირდაპირ ან არაპირდაპირ ადგენს შესასყიდ ან გასაყიდ ფასს ან სხვა სავაჭრო პირობებს;
- ბ. ზღუდავს წარმოებას, ბაზრებს, ტექნოლოგიურ განვითარებას ან ინვესტიციებს;
- გ. ანაწილებს ბაზრებს ან მიწოდების წყაროებს, რაც მოიცავს მომხმარებლების, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილებას;
- დ. იყენებს დისკრიმინაციულ პირობებს, გარკვეული სავაჭრო პარტნიორების მიმართ ეკვივალენტურ ტრანზაქციებზე, რაც მათ კონკურენტულად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს;
- ე. ხელშეკრულებით კონტრაქტს აკისრებს ისეთ დამატებით ვალდებულებას, რასაც არც მისი ბუნებიდან და არც კომერციული გამოყენებიდან გამომდინარე, არ აქვს კავშირი ამ ხელშეკრულების საგანთან.

22. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს ეკონომიკური აგენტების ქმედებების არა ამომწურავ ჩამონათვალს. ამ პუნქტში მითითებულია, რომ „განსაკუთრებით“ ის ქმედებები აკრძალულია, რომლებიც ჩამოთვლილია. შესაბამისად, აკრძალულია სხვა სახის ქმედებაც, რომელსაც შეუძლია წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე ზეგავლენის მოხდენა და რომლის მიზანი ან შედეგია შიდა ბაზარზე კონკურენციის აღმოფხვრა, შეზღუდვა ან დამახინჯება. სამწუხაროდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს ეკონომიკური აგენტების ქმედებების, რადგან ამ პარაგრაფში სიტყვა „განსაკუთრებულის“ ნაცვლად გამოყენებულია „კერძოდ“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აკრძალული ქმედებები ზუსტად არის ჩამოთვლილი. აღნიშნულის გამო, საქართველოში შესაძლებელია არ აიკრძალოს ეკონომიკური აგენტების ყველა სახის შეთანხმებული ქმედება, მაგალითად ინფორმაციის გაცვლა.

23. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის პირველი პუნქტში ჩამოთვლილია მხოლოდ ხუთი ქმედება, მაშინ როდესაც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტში ექვსი აკრძალული ქმედებაა მოცემული. კანონით დამატებით ასევე აკრძალულია სახელმწიფო ტენდერებში მანიპულაციური, შეთანხმებული მონაწილეობა: „მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისათვის ან სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება, რაც არსებითად ლახავს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს“. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2010 წელს დაემატა 195<sup>1</sup> მუხლი, რომლის მიხედვით სახელმწიფო ტენდერებში შეთანხმებული

მონაწილეობა სისხლის სამართლის დანაშაულად იქნა გამოცხადებული. სახელმწიფო ტენდერებში მანიპულაციური მონაწილეობის კრიმინალიზაციით საქართველომ გერმანული მოდელი აირჩია. ორივე ქვეყანაში კონკურენციის შემზღვეველი სხვა შეთანხმებული ქმედებები არ არის სისხლისსამართლებრივად დასჯადი. თუმცა, უმჯობესია სხვა შეთანხმებული ქმედებების კრიმინალიზაციაც მომხმდარიყო, როგორც ეს გაერთიანებულ სამეფოშია.

24. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებით კრძალავს ეკონომიკური აგენტების ხელშეკრულებებს, გადაწყვეტილებებს და შეთანხმებულ ქმედებებს. ქართულ კანონმდებლობაში ტერმინ „ხელშეკრულების“ ნაცვლად უმჯობესია გამყენებული იყოს ტერმინი „გარიგება“, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით განმარტებულია როგორც „ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.“ ტერმინ „ხელშეკრულებას“ უფრო ვიწრო გაგება აქვს ვიდრე ტერმინ „გარიგებას“. შესაბამისად, ჯობია უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინის გამოყენება მოხდეს, რადგან აკრძალვამ მოიცვას უფრო ფართე წრე შეთანხმებული ქმედებებისა. ასევე შესაცვლელია ტერმინი „შეთანხმებული ქმედება“, რადგან ინგლისურში ის იწოდება როგორც „concerted practice“, რაც ქართულში შეთანხმებულ პრაქტიკად ითარგმნება.

25. 21-ე პარაგრაფში ჩამოთვლილი აკრძალვებიდან, პირველი სამი შეზღუდვა ევროკავშირში მძიმე შეზღუდვად ითვლება. მათ ე.წ. hardcore restrictions უწოდებენ. სამივე შეზღუდვა მძიმე შედეგების მომტანია და მათი აკრძალვებიდან განთავისუფლება თითქმის შეუძლებელია.

26. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მეორე პუნქტი ავტომატურად ბათილად აცხადებს პირველ პუნქტში აღნიშნულ შეთანხმებებს და გადაწყვეტილებებს. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეორე პუნქტიც ბათილად აცხადებს ამავე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ქმედებებს, თუ მათზე არ ვრცელდება კანონით გათვალისწინებული გამონაკლისები.

27. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მესამე პუნქტი ადგენს აკრძალვებიდან გამონაკლისებს. კერძოდ, შეთანხმება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული პრაქტიკა შეიძლება არ აკრძალოს და შიდა ბაზართან შესაბამისად იქნეს ცნობილი, თუ ისინი დააკმაყოფილებენ ოთხ კუმულატიურ პირობას. ოთხივე პირობა აუცილებლად უნდა არსებობდეს, რათა მოხდეს ეკონომიკური აგენტების ქმედებების კანონიერად ცნობა. თუ ამ ოთხი კუმულატიური პირობიდან არ იარსებებს რომელიმე ერთ-ერთი პირობაც კი, შეთანხმებული ქმედება კანონსაწინააღმდეგოდ იქნება ცნობილი. ოთხი კუმულატიური პირობის გამოყენების შედეგად ხდება შეთანხმების, გადაწყვეტილებისა და შეთანხმებული პრაქტიკის სავარაუდო ნეგატიური და პოზიტიური შედეგების შეფასება. იმისთვის, რომ მოხდეს ეკონომიკური აგენტების თანამშრომლობის აკრძალვიდან განთავისუფლება, აუცილებელია, რომ პოზიტიურმა ეფექტებმა მნიშვნელოვნად გადაჭონ უარყოფითი შედეგები. წინააღმდეგ შემთხვევაში ასაკრძალი ქმედება ერთიან ბაზართან<sup>7</sup> შეუსაბამოდ იქნება გამოცხადებული.

28. აღნიშნული ოთხი კრიტერიუმიდან პირველი ორი დადებით კრიტერიუმად

7 ერთიანი ბაზარი ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განმარტებულია როგორც „შიდა ბაზარი, რომელიც მოიცავს სივრცეს საზღვრების გარეშე, სადაც უზრუნველყოფილია საქონლის, პირების, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების დებულებების შესაბამისად...“

ითვლება, მესამე და მეოთხე კი ნეგატიურ კრიტერიუმებად არის ცნობილი.

პირველი, კარტელური გარიგება ეკონომიკურ ეფექტიანობას უნდა ზრდიდეს. კერძოდ, უწყობდეს ხელს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ ან ეკონომიკურ პროგრესს;

მეორე, კარტელური საქმიანობის შედეგად სარგებელს უნდა იღებდეს მომხმარებელი.

29. რაც შეეხება ორ ნეგატიურ პირობას, ისინი ავალდებულებს ეკონომიკურ აგენტებს:

პირველი, არ დააწესონ ისეთი შეზღუდვა, რომელიც საჭირო არ არის მიზნის მისაღწევად. თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, თუ უფრო მსუბუქი შეზღუდვით შესაძლებელია იგივე მიზნის მიღწევა, მაშინ არ უნდა იქნეს გამოყენებული უფრო მკაცრი შეზღუდვა;

მეორე, ეკონომიკურმა აგენტებმა არ უნდა შეზღუდონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

30. აღნიშნული ოთხი კუმულატიური პირობა მოცემულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში. თუმცა, ეს პირობები მხოლოდ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის #526<sup>8</sup> დადგენილებაში „კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ გათვალისწინებული ხელშეკრულებების მიმართ მოქმედებს. აღნიშნულ დადგენილებაზე ქვემოთ, ჯგუფური განთავისუფლების პირობების ნაწილში, პარაგრაფ 39-ში გვექნება საუბარი. ევროკავშირში ეს ოთხი კუმულატიური პირობა ყველა შეთანხმების მიმართ გამოიყენება.

31. გარდა ამ ოთხი კუმულატიური პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში კარტელის აკრძალვიდან განთავისუფლებისა, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების თანამშრომლობა შეიძლება ასევე ერთიან ბაზართან თავსებადად გამოცხადეს კიდევ ორ შემთხვევაში. პირველი, ჯგუფური განთავისუფლების პირობების შესრულებისას, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის შეთანხმების აკრძალვისაგან განთავისუფლებას; და მეორე, თუ შეთანხმება კონკურენციაზე და ვაჭრობაზე უმნიშვნელო/ მცირე მნიშვნელობის ეფექტის მქონეა.

32. ევროკავშირში მოქმედი რამდენიმე რეგულაცია ჯგუფურად ათავისუფლებს აკრძალვისაგან გარკვეული კატეგორიის შეთანხმებებს, თუ ისინი აკმაყოფილებენ შესაბამისი რეგულაციით გათვალისწინებულ პირობებს. ასეთი რეგულაციების ნაწილი მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ, ხოლო ნაწილი კი – კომისიის მიერ, საბჭოს ავტორიზაციის საფუძველზე.<sup>9</sup>

33. ბოლო ათწლეულში ევროკავშირის კომისიამ რამდენიმე რეგულაცია მიიღო ჯგუფური განთავისუფლების შესახებ. მათ შორის არის შემდეგი რეგულაციები:

- რეგულაცია #330/2010 ვერტიკალური შეთანხმების აკრძალვიდან განთავისუფლების შესახებ;
- რეგულაცია #461/2010 ავტოსატრანსპორტო სექტორში ვერტიკალურ შეთანხმებისა და შეთანხმებული პრაქტიკის აკრძალვიდან განთავისუფლების თაობაზე;
- რეგულაცია #316/2014 ტექნოლოგიური ტრანსფერის შეთანხმების აკრძალვიდან განთავისუფლების შესახებ;
- რეგულაცია #1217/2010 კვლევისა და განვითარების შეთანხმების აკრძალვიდან განთავისუფლების შესახებ;
- რეგულაცია #1218/2010 სპეციალიზაციის შეთანხმების აკრძალვიდან განთავისუფლების შესახებ;

8 იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება #526 „კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისის შესახებ“, <<http://competition.ge/ge/page2.php?m=199>>, [28.07.2015].

9 იხ. *Whish R., Bailey D., Competition Law, 7<sup>th</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 168-169.*

- რეგულაცია #267/2010, რომელიც სადაზღვევო სექტორში შეთანხმების აკრძალვიდან გათავისუფლებას ეხება;
- რეგულაცია #906/2009, რომელიც ათავისუფლებს ლაინერით გადაზიდვის გაერთიანებას;
- რეგულაცია #487/2009, რომელიც ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან საჰაერო ტრანსპორტის სექტორში არსებულ შეთანხმებას.

34. აღნიშნული ჯგუფური გათავისუფლების რეგულაციები წარმოადგენს ე.წ. „უსაფრთხო თავშესაფარს“ ეკონომიკური აგენტებისათვის. თუ შეთანხმების მხარეები აკმაყოფილებენ რეგულაციებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შეთანხმება ითვლება, რომ აკმაყოფილებს 101-ე მუხლის მესამე პუნქტის ოთხივე კრიტერიუმს და, შესაბამისად, თავისუფლდება აკრძალვისაგან. ევროკავშირის კომისია და საბჭო მიიჩნევენ, რომ თუ შეთანხმება აკმაყოფილებს ამ რეგულაციებით დადგენილ პირობებს, მათ არ აქვთ ნეგატიური ეფექტი ფასზე, წარმოებაზე, ინოვაციაზე, საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნებაზე ან ხარისხზე.<sup>10</sup> პირიქით, მათ შეიძლება ჰქონდეთ დადებითი შედეგი ბაზარზე. მაგალითად: ასეთმა შეთანხმებამ შეიძლება ბაზარზე წარმოადგინოს განვითარებული ან ახალი პროდუქტი, ან მომხმარებელს უფრო იაფად შესთავაზოს არსებული პროდუქცია ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე.

35. თუმცა, მიუხედავად ჯგუფური გათავისუფლების რეგულაციებით გათვალისწინებული შეთანხმებების დადებითი ეფექტისა, ევროკავშირის კომისია ფიქრობს, რომ გარკვეულ შემთხვევაში, ასეთი შეთანხმების უკან შეიძლება შეფარული კარტელი იმალებოდეს და ეკონომიკურ აგენტებს შორის ფარულ ანტი-კონკურენციულ შეთანხმებას ჰქონდეს ადგილი. შესაბამისად, ევროკავშირის კონკურენციის ორგანო თვლის, რომ, გარკვეულ შემთხვევებში, საჭიროა აღნიშნული რეგულაციებით გათვალისწინებული შეთანხმების სიღრმისეული შესწავლა.

36. 33-ე პარაგრაფში მოცემული რეგულაციები ავტომატურად ათავისუფლებს აკრძალვისაგან შესაბამის შეთანხმებებს შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

პირველი, შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები არ აღემატება რეგულაციებით განსაზღვრულ ოდენობას;

მეორე, შეთანხმებამ უნდა დააკმაყოფილოს შესაბამისი რეგულაციით დადგენილი სპეციფიური პირობები;

მესამე, შეთანხმება არ უნდა შეიცავდეს მძიმე შეზღუდვებს.

37. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ შეთანხმება არ წარმოშობს პრობლემას კონკურენციის კუთხით.

38. შეთანხმების მხარეების მაქსიმალური საბაზრო წილის ოდენობა განსხვავებულია რეგულაციების მიხედვით. მაგალითად, რეგულაცია #330/2010 გამოიყენება იმ ვერტიკალური შეთანხმების მიმართ, რომლის მხარეების საბაზრო წილი არ აღემატება 30 პროცენტს; ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ რეგულაციით #316/2014 დადგენილია 20 პროცენტის საბაზრო წილის მაქსიმალური ოდენობა, თუ შეთანხმების მხარეები კონკურენტები არიან და 30-პროცენტის საბაზრო წილის ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მხარეები არაკონკურენტები არიან; კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმების შემთხვევაში რეგულაცია #1217/2010 ადგენს 25-პროცენტის ზედა ზღვარს; ხოლო სპეციალიზაციის შეთანხმების შესახებ რეგულაცია #1218/2010 კი – 20 პროცენტს.

39. ევროკავშირის კომისია ფიქრობს, რომ თუ შეთანხმება შეიცავს შესაბამისი რეგულაციით გათვალისწინებულ რომელიმე მძიმე შეზღუდვას, არსებობს დიდი

10 ob. *Jones A., Sufrin B.*, EU Competition Law Text, Cases, and Materials, 4<sup>th</sup> Ed., Oxford University Press, 2011, 256.



ალბათობა, რომ მას მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა ექნება კონკურენციაზე. თუმცა, ამ შემთხვევაში ასეთი შეთანხმების ინდივიდუალური შესწავლა უნდა მოხდეს და დადგინდეს, რამდენად შესაბამისობაშია ის 101-ე მუხლის მესამე პუნქტთან. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ შეთანხმების მხარეების საბაზრო წილი აღემატება ჯგუფური გათავისუფლების რეგულაციებით დადგენილ ზედა ზღვარს, შეთანხმება შეიძლება მაინც აკმაყოფილებდეს 101-ე მუხლის მესამე პუნქტის მოთხოვნებს, როდესაც მოხდება მისი ინდივიდუალური შეფასება.<sup>11</sup> შესაბამისად, კომისიის აზრით, ის ფაქტი, რომ ჯგუფური გათავისუფლებით დადგენილ მაქსიმალურ საბაზრო წილს აჭარბებს შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი, არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი შეთანხმება ავტომატურად 101-ე მუხლის აკრძალვაში მოექცევა. საჭიროა შეთანხმების სავარაუდო ეფექტის ინდივიდუალური შეფასება.<sup>12</sup>

40. რაც შეეხება საქართველოში აკრძალვიდან ჯგუფური გათავისუფლების პირობებს, ისინი უშუალოდ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში არ არის მოცემული. აღნიშნული კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 1 სექტემბერს მიიღო „კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ დადგენილება #526.<sup>13</sup> ეს დოკუმენტი კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისებს აწესებს, თუ ხელშეკრულება აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ ოთხ კუმულატიურ პირობას. თუმცა, თუ ხელშეკრულება შეიცავს ისეთ მძიმე შეზღუდვას, როგორცაა ფასის თაობაზე შეთანხმება, ბაზრის ან მიწოდების წყაროს მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილებას ან ტენდერში მანიპულაციურ მონაწილეობას, დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისები ასეთ ხელშეკრულებაზე არ გავრცელდება (მე-3 მუხლი). დადგენილების მე-5 მუხლის მიხედვით, გამონაკლისებს მიკუთვნებული ხელშეკრულებებია:

- დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტებს<sup>14</sup> შორის ხელშეკრულებები, რა დროსაც თითოეული დისტრიბუტორის წლიური საბაზრო ბრუნვა ურთიერთდაკავშირებულ პირებთან ერთად ბოლო საფინანსო წლის განმავლობაში არ უნდა იყოს 15 მილიონ ლარზე მეტი. ამასთან ხელშეკრულების მონაწილე ეკონომიკური აგენტები არ უნდა იყვნენ კონკურენტები (მე-6 მუხლის მეორე პუნქტი). მე-6 მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, გამონაკლისები ვრცელდება დისტრიბუციის ხელშეკრულებაზე, რომლის ერთი მხარე მწარმოებელია, ხოლო მეორე მხარე კი მწარმოებლის ინტერესის შესაბამისად მოქმედი ეკონომიკური აგენტია, რომელსაც მწარმოებელმა გადასცა თავისი საქონლით ან მომსახურებით ვაჭრობის უფლება. დადგენილების მე-8 მუხლი ასევე ადგენს მაქსიმალურ საბაზრო წილს, რომელიც არ უნდა იყოს 30 პროცენტზე მეტი;
- ავტოტრანსპორტის სექტორში მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმება, რომელიც ეხება ახალი სატრანსპორტო საშუალების და მათი სათადარიგო ნაწილის ყიდვას, გაყიდვას და შემდგომ რეალიზაციას. ასევე, ავტოტრანსპორტის რემონტისა

11 იხ. *Whish R., Bailey D.*, Competition Law, 7<sup>th</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 171.

12 იხ. კომისიის სარეკომენდაციო დოკუმენტი 101-ე მუხლის მესამე პუნქტის გამოყენებაზე, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:52004XC0427%2807%29>>, [16.07.2015], § 24.

13 იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება #526 „კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისის შესახებ“, <<http://competition.ge/ge/page2.php?m=199>>, [28.07.2015].

14 დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტებში იგულისხმებიან ის კომპანიები, რომლებიც არიან მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის დამაკავშირებელი. ისინი მწარმოებლებისაგან იძენენ საქონელს მისი შემდგომი საბითუმო ან საცალო გაყიდვის მიზნით. ასევე იგულისხმება ის ფირმა, რომელიც ყიდის ვერტიკალური ხელშეკრულების საგანს მიმწოდებლის სახელით როგორც საცალო, ისე საბითუმო დისტრიბუციის დონეზე.

და ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფას (დადგენილების 10.1. მუხლი);

- ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ეხება სალიცენზიო უფლების გადაცემას – პატენტს, რეგისტრირებულ დიზაინს, ტოპოგრაფიას, ნოუ ჰაუს. საბაზრო წილის ზედა ზღვარი ტექნოლოგიური ტრანსფერის ხელშეკრულების შემთხვევაში დადგენილია 20 პროცენტამდე, თუ მხარეები ერთმანეთის კონკურენტები არიან. თუ არ არიან კონკურენტები, მაშინ საბაზრო წილის ზედა ზღვარი 30 პროცენტია;
- სპეციალიზაციის ხელშეკრულება, რომლის დროსაც მხარეების ერთობლივი საბაზრო წილი არ უნდა აღემატებოდეს 20 პროცენტს;
- საერთო კვლევის წარმოების შესახებ ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტების საერთო საბაზრო წილი არ უნდა აღემატებოდეს 30 პროცენტს.

41. ზემოთ აღნიშნული ინფორმაციიდან თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში ე.წ. „ჯგუფურადგანთავისუფლებული“ შეთანხმებების სახეობები ევროკავშირთან შედარებით ბევრად ნაკლებია. აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ეს შეთანხმებები უნდა აკმაყოფილებდნენ ოთხ კუმულატიურ პირობას იმისთვის, რომ მათი აკრძალვებიდან განთავისუფლება მოხდეს. თუმცა, ევროკავშირში პირდაპირ არ მოითხოვება ამ ოთხი კუმულატიური პირობის გამოყენება ჯგუფური განთავისუფლების შემთხვევაში. მხოლოდ შესაბამისი რეგულაციით მოცემული პირობების გამოყენებაა საჭირო.

42. ოთხი კუმულატიური პირობებისა და ჯგუფური განთავისუფლების შემთხვევების გარდა, ეკონომიკური აგენტების შეთანხმებულ ქმედებაში იძლევა ასევე განთავისუფლდეს აკრძალვებიდან, თუ ეს ქმედება ვერ ახდენს შესამჩნევ გავლენას კონკურენციაზე ან წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე.

43. 101-ე მუხლის პირველი პუნქტის აკრძალვა გამოიყენება ისეთი ქმედების მიმართ, რომელიც სავარაუდოდ იწვევს ბაზარზე ნეგატიურ შედეგს, მაგრამ თუ შეთანხმების უარყოფითი გავლენა ბაზარზე უმნიშვნელოა, ასეთი შეთანხმება კომისიის აზრით აკრძალვებიდან უნდა განთავისუფლდეს. თუმცა, საჭიროა შესაბამისი ბაზრის სრული ანალიზი.

44. ე.წ. „დე მინიმის“ დოქტრინა პირველად ფორმულირებული იყო ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ საქმეზე 5/69, რომელშიც სარეცხი მანქანის გერმანელმა მწარმოებელმა თავის დისტრიბუტორს ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება მისცა ბელგიაში და ლუქსემბურგში, რაც ითვალისწინებდა აბსოლუტურ ტერიტორიულ დაცვას და კრძალავდა პარალელურ იმპორტს. სასამართლომ თავის წინასწარ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ შეთანხმება 101-ე მუხლის მესამე პუნქტის აკრძალვიდან თავისუფლდება, თუ მას მცირე/უმნიშვნელო ეფექტი აქვს ბაზარზე, იმის გათვალისწინებით, რომ შეთანხმების მხარეებს სუსტი პოზიცია აქვთ შესაბამისი პროდუქტის ბაზარზე.<sup>15</sup>

45. 2014 წლის ცნობაში კომისიამ ჩამოაყალიბა თავისი განახლებული შეხედულება იმ შეთანხმებების მიმართ, რომლებიც ე.წ. „დე მინიმის წესს“ აკმაყოფილებენ.<sup>16</sup> ეს დოკუმენტი

15 იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: 5/69, <<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?jsessionid=9ea7d2dc30d536d7558a4e4548f7a6db8b970435ec33.e34KaxiLc3qMb40Rch0SaxuQb-Nv0?text=&docid=87765&pageIndex=0&doclang=en&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=104316>>, [28.07.2015].

16 იხ. ევროკომისიის ცნობა ისეთი მცირე მნიშვნელობის შეთანხმებების შესახებ, რომლებიც კონკურენციას არ ზღუდავენ შესამჩნევად ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101.1 მუხლის შესაბამისად (Notice on agreements of minor importance which do not appreciably restrict competition under Article 101(1) of the Treaty on the Functioning of the European Union (De Minimis Notice), <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52014XC0830%2801%29>>, [30.07.2015].

ძირითადად იყენებს რაოდენობრივ კრიტერიუმს. კერძოდ, იგი ითვალისწინებს ე.წ. „უსაფრთხო თავშესაფარს“ იმ შეთანხმებისათვის, რომლის მხარეების საბაზრო წილის ზედა ზღვარი არ აღემატება ცნობაში მითითებულ ოდენობას. აღნიშნული ცნობის მესამე პარაგრაფი ამბობს, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შორის შეთანხმება სავარაუდოდ წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე გავლენას ვერ მოახდენს. ევროკავშირში ასეთ საწარმოდ 2003 წლის რეკომენდაციის მიხედვით მიიჩნევა ისეთი ეკონომიკური აგენტი, რომელსაც ჰყავს 250 თანამშრომელზე ნაკლები, ხოლო მისი წლიური ბრუნვა არ აღემატება 50 მილიონ ევროს, ან მთლიანი წლიური ბალანსი არ აღემატება 43 მილიონ ევროს.<sup>17</sup>

46. ცნობის მე-8 პარაგრაფის მიხედვით, კომისიის აზრით, ეკონომიკური აგენტების შეთანხმება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე და შეიძლება ჰქონდეს ევროკავშირის ბაზარზე კონკურენციის თავიდან აცილების, შეზღუდვის ან დამახინჯების ეფექტი, შეიძლება შესამჩნევად არ ზღუდავდეს კონკურენციას 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

პირველი, შეთანხმების მხარეების საბაზრო წილი არ აღემატება 10 პროცენტს, იმის გათვალისწინებით, რომ შეთანხმება დადებულია ფაქტობრივ ან პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის (ჰორიზონტალური შეთანხმების შემთხვევაში);

მეორე, შეთანხმების მხარეების საბაზრო წილი არ აღემატება 15 პროცენტს, იმის გათვალისწინებით, რომ შეთანხმება დადებულია არა კონკურენტებს შორის (ვერტიკალური შეთანხმების შემთხვევაში);

მესამე, იმ შემთხვევაში, როდესაც რთულია იმის დადგენა შეთანხმება კონკურენტ თუ არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის არის დადებული, გამოიყენება 10 პროცენტის საბაზრო წილის ზედა ზღვარი;

მეოთხე, კომისიის აზრით, თუ ბაზარზე კონკურენცია შეზღუდულია შეთანხმებების კუმულატიური ეფექტით, რომელიც სხვადასხვა მიმწოდებელსა და დისტრიბუტორს შორის არის დადებული, ზემოთ აღნიშნული 10, 15 და 10 პროცენტები მცირდება 5 პროცენტამდე მიუხედავად იმისა, შეთანხმება დადებულია კონკურენტებს თუ არაკონკურენტებს შორის. ამასთან, თუ არსებობს ბაზრის დახურვის ეფექტი, ივარაუდება, რომ ინდივიდუალურ მიმწოდებელს ან დისტრიბუტორს არ შეუძლია უარყოფითი გავლენა იქონიოს ბაზარზე, თუ მისი წილი არ აღემატება 5 პროცენტს. კომისიის აზრით, ბაზრის კუმულატიური დახურვის ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ისეთ პარალელურ შეთანხმებებს, რომლებსაც ერთი და იგივე მიზანი აქვთ და ასეთი შეთანხმებები ბაზრის 30 პროცენტზე მეტს მოიცავს.<sup>18</sup>

47. კომისიის აზრით, ე.წ. „უსაფრთხო თავშესაფარი“ არ ეხება ისეთ შეთანხმებას, რომელიც მძიმე შეზღუდვას ითვალისწინებს. მძიმე შეზღუდვად კი კომისიის მტკიცებით ითვლება:

- ისეთი ჰორიზონტალური შეზღუდვა, როგორცაა ფასის ფიქსაცია, წარმოების ან გაყიდვის შეზღუდვა, ბაზრის ან მომხმარებლის განაწილება;
- ისეთი ვერტიკალური შეზღუდვა, როგორცაა გადასაყიდი ფასის ფიქსაცია, ექსპორტის აკრძალვა, რომელიმე ტერიტორიაზე გაყიდვის ან რომელიმე ჯგუფის კლიენტისათვის მიყიდვის შეზღუდვა.<sup>19</sup>

17 იხ. რეკომენდაცია 2003/361, <[http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/sme-definition/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/sme-definition/index_en.htm)>, [28.08.2015].

18 იხ. ევროკომისიის ცნობა ისეთი მცირე მნიშვნელობის შეთანხმებების შესახებ, რომლებიც კონკურენციას არ ზღუდავენ შესამჩნევად, <[19 იხ. კომისიის რეკომენდაციები „მიზნიდან გამომდინარე“ კონკურენციის შეზღუდვების შესახებ,](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52014XC0830%2801%29></a>, [30.07.2015], § 10.</p></div><div data-bbox=)

48. კომისიის აზრით, ის მძიმე შეზღუდვები, რომლებიც ჯგუფური გათავისუფლების რეგულაციებშია მოცემული, ზოგადად მიზნიდან გამომდინარე შეზღუდვებად ითვლება. მათ შესწევთ უნარი საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენონ კონკურენციას და, შესაბამისად, საჭირო არ არის მათი რეალური ან პოტენციური ეფექტის შემოწმება. მიუხედავად ამისა, კომისიის შეხედულებით, შეთანხმების მხარეებს მაინც შეუძლიათ ამტკიცონ, რომ 101-ე მუხლის მესამე პუნქტის ოთხი კუმულატიური პირობა დაკმაყოფილებულია. თუმცა, ასეთი შეზღუდვები, როგორც წესი, კომისიის მტკიცებით, ძნელი წარმოსადგენია, რომ დააკმაყოფილებენ აღნიშნულ ოთხ კუმულატიურ პირობას.<sup>20</sup> მიუხედავად მძიმე შეზღუდვების მიმართ კომისიის უარყოფითი დამოკიდებულებისა, ევროკავშირის კონკურენციის ორგანო თვლის, რომ უნდა შემოწმდეს შეთანხმების დებულებების შინაარსი, ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტი, შეთანხმების მიზანი. გარდა ამისა, ანალიზის დროს მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს ასევე მხარეების განზრახვაც. კომისიამ თავის რეკომენდაციებში, რომელიც ეხება „მიზნიდან გამომდინარე“ შეზღუდვების აკრძალვიდან გათავისუფლებას, ნათლად ჩამოაყალიბა, თუ რა სახის შეზღუდვები, მათ შორის მძიმე შეზღუდვები შეიძლება გათავისუფლდნენ აკრძალვისაგან და რა პირობებში.<sup>21</sup>

49. შეთანხმებულ ქმედებას უნდა ჰქონდეს შესამჩნევი უარყოფითი გავლენა ბაზარზე იმისათვის, რომ ეს ქმედება აიკრძალოს. შესამჩნევი გავლენის კონცეფცია განხილულია კომისიის 2004 წლის სახელმძღვანელოში, რომელიც ეხება 81-ე და 82-ე მუხლებში მოცემულ ვაჭრობაზე ეფექტის კონცეფციას<sup>22</sup>. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ვაჭრობაზე შესამჩნევი ეფექტი ნაკლებად სავარაუდოა ორ შემთხვევაში:

პირველი, როდესაც სახეზე გვაქვს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შორის შეთანხმება. ისინი, როგორც წესი, თავისი ბუნებითადგილობრივი ან უფრო რეგიონალური საწარმოებია. თუმცა, მათი საქმიანობაც შეიძლება იყოს შესამჩნევი ეფექტის მქონე, თუ ისინი ჩართულები არიან საზღვრისპირა აქტივობებში;<sup>23</sup>

მეორე, თუ ეკონომიკური აგენტების ერთობლივი საბაზრო წილი არ აღემატება 5 პროცენტს და მათი ერთობლივი ბრუნვა კი 40 მილიონ ევროს. ვერტიკალური შეთანხმებების დროს კი ევროკავშირის მასშტაბით შესაბამისი პროდუქტის ბაზარზე მიმწოდებლის ბრუნვა არ უნდა იყოს 40 მილიონ ევროზე მეტი.<sup>24</sup>

50. საქართველოში ე.წ. „დე მინიმის წესი“ მოცემულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტში, რომელიც ჰორიზონტალურ ხელშეკრულებას უმნიშვნელო ეფექტის მქონედ თვლის, თუ მისი მხარეების ერთობლივი საბაზრო წილი ბაზარზე არ აღემატება 10 პროცენტს, ვერტიკალურ ხელშეკრულების შემთხვევაში კი – 15 პროცენტს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ხელშეკრულება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხელშეკრულების ნიშნებს შეიცავს და რთულია მისი ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ ხელშეკრულებად კლასიფიკაცია, თითოეული

---

რომელიც მიღებულია იმ მიზნით, რომ მოხდეს იმ შეთანხმებების დადგენა, რომლებიც სარგებლობენ დე მინიმისის წესით, <[http://ec.europa.eu/competition/antitrust/legislation/de\\_minimis\\_notice\\_annex.pdf](http://ec.europa.eu/competition/antitrust/legislation/de_minimis_notice_annex.pdf)>, [31.07.2015], 4.

20 იხ. კომისიის რეკომენდაციები „მიზნიდან გამომდინარე“ კონკურენციის შეზღუდვების შესახებ, რომელიც მიღებულია იმ მიზნით, რომ მოხდეს იმ შეთანხმებების დადგენა, რომლებიც სარგებლობენ დე მინიმისის წესით, <[http://ec.europa.eu/competition/antitrust/legislation/de\\_minimis\\_notice\\_annex.pdf](http://ec.europa.eu/competition/antitrust/legislation/de_minimis_notice_annex.pdf)>, [31.07.2015], 4.

21 იქვე.

22 იხ. 81-ე და 82-ე მუხლებში მოცემულ ვაჭრობაზე ეფექტის კონცეფციის კომისიის რეკომენდაციები, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=URISERV:l26113>>, [30.07.2015].

23 იქვე, § 50.

24 იქვე, § 52.

ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი არ უნდა იყოს 10 პროცენტზე მეტი. აღნიშნული საგამონაკლისო წესი არ გამოიყენება ისეთი ხელშეკრულების მიმართ, რომელიც ეხება ფასის ან სხვა სავაჭრო პირობის ფიქსაციას, ბაზრის ან მიწოდების წყაროს მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილებას და ტენდერში მანიპულაციურ მონაწილეობას. კანონის მერვე მუხლით გათვალისწინებული საბაზრო წილები სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირში 2014 წელს მიღებულ ცნობასთან, რომელიც ეხება ისეთ მცირე მნიშვნელობის შეთანხმებებს, რომლებიც კონკურენციას არ ზღუდავენ (დე მინიმის ცნობა, §42).

## 5. დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენება

### 5.1. დომინანტი პოზიცია

51. საქართველომ ევროკავშირთან დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლით ასევე იკისრა ვალდებულება ეფექტურად გააკონტროლოს ეკონომიკური აგენტების ცალმხრივი ქმედებები. ეკონომიკური აგენტის ცალმხრივი ქმედება არ წარმოადგენს ბაზარზე კონკურენციის კუთხით რაიმე საფრთხეს თუ მას არ უკავია შესაბამის ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, ე.ი. დომინირებული მდგომარეობა. სწორედ ეს უკანასკნელი აძლევს ფირმას იმის საშუალებას, რომ უკარნახოს კონტრაჰენტებს საბაზრო პირობები.

52. დომინირებული მდგომარეობის თანამედროვე კლასიკური განმარტება ევროკავშირის სასამართლომ 1978 წელს მოგვცა საქმეზე 27/76 (United Brands). სასამართლოს განმარტებით, დომინანტი პოზიცია უკავშირდება ეკონომიკურად ძლიერ საბაზრო პოზიციას, რაც მას საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს ბაზარზე არსებული ეფექტური კონკურენცია და საბაზრო პოლიტიკის განხორციელებისას კონკურენტების, კლიენტებისა და მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად იმოქმედოს.<sup>25</sup> აღნიშნული დეფინიციის მსგავსი დეფინიცია არის მოცემული „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის „ი“ პუნქტში, რომლის მიხედვითაც დომინირებული პოზიცია არის „შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/ იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/ მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/ შეზღუდონ კონკურენცია.“

53. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე: 85/76 (Hoffmann-La Roche) (1979) გაიმეორა აღნიშნული დეფინიცია და დაამატა, რომ დომინანტი პოზიცია „არ გამორიცხავს გარკვეული კონკურენციის არსებობას... თუმცა ის იძლევა იმის საშუალებას, რომ, სულ მცირე, შესამჩნევი გავლენა იქონიოს იმ პირობებზე, რომელშიც ეს კონკურენცია ვითარდება და დომინანტი ეკონომიკური აგენტი ყველა შემთხვევაში მოქმედებს დიდწილად კონკურენციის იგნორირებით, სანამ ესეთი ქმედება მის საზიანოდ იმოქმედებს“.<sup>26</sup>

54. მართლმსაჯულების სასამართლოს განცხადებით, „ბოროტად გამოყენების კონცეფცია ობიექტური კონცეფციაა, რომელიც უკავშირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტის ისეთ ქცევას, რომელიც მას აძლევს იმ ბაზრის სტრუქტურაზე გავლენის მოხდენის საშუალებას, რომელშიც მოცემული ეკონომიკური აგენტის ყოფნის შედეგად, კონკურენციის დონე შემცირებულია და რომელსაც, დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ ისეთ მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, რომლებიც განსხვავებულია კომერციული ოპერატორების ტრანზაქციებიდან გამომდინარე პროდუქტზე და სერვისზე ნორმალური კონკურენციის პირობებისაგან, შეუძლია ხელი შეუშალოს ბაზარზე ჯერ კიდევ არსებული კონკურენციის დონის შენარჩუნებას ან მის განვითარებას.“<sup>27</sup>

55. ეკონომისტები საბაზრო ძალაუფლებას განსაზღვრავენ როგორც უნარს, დააწესონ

25 საქმე: 27/76 (United Brands) 1978 <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX-%3A61976CJ0027>> §65, [13.02.2017].

26 საქმე: 85/76 (Hoffmann-La Roche) 1979 <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX-%3A61976CJ0085>>, §5, [13.02.2017].

27 იქვე, §5.

მოკლევადიან მარგინალურ ღირებულებაზე მაღალი ფასი. შესაბამისად, ფირმებს, რომლებსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად შესწევთ უნარი შეზღუდონ წარმოება, გაზარდონ ფასი კონკურენტულ დონეზე მაღლა და მოიპოვონ მონოპოლიური მოგება, ამბობენ რომ აქვთ საბაზრო ძალაუფლება. მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნებაზე, ინოვაციაზე და კონკურენციის სხვა პარამეტრებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ფირმას აქვს გარვეული საბაზრო ძალაუფლება. თუმცა, ბაზარზე დომინანტობას განაპირობებს მხოლოდ „მნიშვნელოვანი“ საბაზრო ძალაუფლების ქონა, რაც ასევე მნიშვნელოვანი/ხანგრძლივი პერიოდით უნდა გაგრძელდეს.<sup>28</sup>

56. საბაზრო ძალაუფლების უფრო თანამედროვე და გავრცელებული განმარტების შესაბამისად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება სახეზეა მაშინ, როდესაც ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტს შეუძლია მომგებიანად ფასის აწევა კონკურენტულ დონეზე მაღლა, თუმცა ეს უნდა მოხდეს ხანგრძლივი პერიოდით. იგი ეფუძნება დამოუკიდებლობის კონცეფციას და საჭიროებს კონკურენტულ ფასზე მაღალი ფასის შენარჩუნების უნარს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ფასის ზრდის შედეგად მოხდეს ეკონომიკური აგენტის შედეგების ან პოზიციის გაუმჯობესება.<sup>29</sup> საჭიროა, რომ ეკონომიკური აგენტი მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას დროის ხანგრძლივი პერიოდით ფლობდეს, რადგან ეკონომიკური აგენტის უნარი ფასი დროებით მონოპოლიურ დონემდე აწიოს, ვერ იქნება საკმარისი მტკიცებულება დომინანტობის დასადგენად.<sup>30</sup>

57. საბაზრო ძალაუფლების შეფასების ყველაზე გავრცელებული მეთოდი მდგომარეობს შემდგომში: პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს შესაბამისი ბაზარი, შემდეგ კი განსაზღვრული ეკონომიკური აგენტის ძალაუფლება ბაზარზე ფასდება საბაზრო წილისა და ბაზარზე შესასვლელი ბარიერების მხედველობაში მიღებით. საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრისათვის **შესასვლელ ბარიერებს** არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ძირითადად სწორედ ეს უკანასკნელი აძლევს ბაზარზე უკვე მოქმედ ფირმას სხვა ფირმების ბაზარზე შემოსვლის გარეშე მონოპოლიური მოგების მიღების საშუალებას.

58. ევროკავშირის სასამართლომ საქმეზე 27/76 განაცხადა, რომ **„ზოგადად დომინანტი პოზიცია რამდენიმე ფაქტორის კომბინაციიდან გამომდინარეობს, რომლებიც ცალ-ცალკე აღებული ვერ იქნება გადამწყვეტი“**.<sup>31</sup>

59. დომინანტობის დასადგენად ზოგადად პრაქტიკაში გავრცელებულია ორ საფეხურიანი მიდგომა:

პირველი, 102-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა შესაბამისი რელევანტური ბაზრის დადგენაა. ბაზრის განსაზღვრისას სასარგებლოა გამოვიყენოთ „ჰიპოთეტური მონოპოლისტის“ იგივე „SSNIP“ ტესტი. ბაზრის სწორი დადგენა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შეცდომის შემთხვევაში შესაძლებელია მცდარი შემცვლელების ჩასმა მოხდეს, რაც რელევანტური ბაზრის არასწორ განსაზღვრას გამოიწვევს. აღნიშნული ტესტი განმარტებულია 72-ე პარაგრაფში.

მეორე, მას შემდეგ რაც რელევანტური ბაზარი დადგინდება, 102-ე მუხლის გამოყენებისათვის საჭიროა იმის განსაზღვრა, ეკონომიკურ აგენტს უკავია თუ არა დომინანტი პოზიცია მოცემულ ბაზარზე. ამ უკანასკნელის განსაზღვრა კი მხოლოდ საბაზრო წილებზე მითითებით დაუშვებელია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული,

28 [Alison Jones](#) & [Brenda Sufrin](#), EU Competition Law: Text, Cases & Materials 4th Edition, Oxford University Press, 2010, 60 გვ.

29 Luis Ortiz Blanco, Market Power in EU Antitrust Law, Oxford and Portland, Oregon 2012, 47 გვ.

30 იქვე, 47 გვ.

31 საქმე: 27/76 (United Brands) 1978 <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX-%3A61976CJ0027>> §66, [13.02.2017].

სასამართლოს განმარტებით, დომინანტობის დადგენა გამომდინარეობს სხვადასხვა ფაქტორების კომბინაციიდან.<sup>32</sup>

60. დომინანტობის დადგენისათვის აუცილებელია სულ მცირე იმ სამი ფაქტორის მხედველობაში მიღება, რომლებიც კომისიის სახელმძღვანელოს მე-12 პარაგრაფში მოცემულია:

პირველი, უნდა შეფასდეს არსებული მიმწოდებელებისაგან მომდინარე წნეხი და დომინანტი ეკონომიკური აგენტისა და მისი კონკურენტების საბაზრო პოზიციები;

მეორე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რეალური კონკურენტების სამომავლო გაფართოების ან პოტენციური კონკურენტების შესვლის რეალური საფრთხიდან გამომდინარე წნეხი (გაფართოება და შესვლა)

მესამე, შეფასებას საჭიროებს ასევე ეკონომიკური აგენტის კლიენტების მოლაპარაკებების სიძლიერიდან გამომდინარე წნეხი (მყიდველის შემაკავებელი/ დამაბალანსებელი პოზიცია).<sup>33</sup>

61. რელევანტური ბაზრის განსაზღვრა პირველ აუცილებელ საფეხურს წარმოადგენს კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევების მოკვლევისას. ამ საკითხს დეტალურად განიხილავს „ევროპის საზოგადოების კონკურენციის სამართლის მიზნისათვის რელევანტური ბაზრის განსაზღვრის შესახებ“ კომისიის ცნობა (შემდეგში „ცნობა“).<sup>34</sup>

62. აღნიშნული ცნობის მეორე პარაგრაფში ხაზგასმულია ბაზრის დეფინიციის მნიშვნელობა: „(რელევანტური) ბაზრის განსაზღვრა წარმოადგენს ფირმების შორის კონკურენციის საზღვრების იდენტიფიცირებისა და დადგენის საშუალებას... ბაზრის დადგენის ძირითადი მიზანი არის სისტემური გზით იმ კონკურენტული წნეხის დადგენა, რომლის შინაშეც განსაზღვრული ეკონომიკური აგენტები აღმოჩნდებიან. ბაზრის განსაზღვრის მიზანი, მისი როგორც პროდუქტის, ასევე გეოგრაფიული განზომილებით, არის მოცემული ეკონომიკური აგენტების იმ ფაქტობრივი კონკურენტების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეუძლიათ ამ ეკონომიკური აგენტის ქცევის შეზღუდვა და ეფექტური კონკურენტული წნეხისაგან დამოუკიდებლად მათი მოქმედებისათვის ხელის შეშლა. ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, ბაზრის განსაზღვრით ასევე შესაძლებელია საბაზრო წილების დათვლა, რაც მოგვცემს საბაზრო ძალაუფლებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას იმისთვის რომ მოხდეს დომინანტობის შეფასება.“

63. წინა პარაგრაფში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რელევანტური ბაზრის სწორედ განსაზღვრის შემთხვევაში, შეგვიძლია დავადგინოთ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

- განვსაზღვროთ კონკრეტულად რომელი კონკურენტული წნეხი არსებობს ბაზარზე და ვისგან მომდინარეობს ის;
- დავადგინოთ პროდუქტისა და გეოგრაფიული ბაზრები;
- მოვახდინოთ ფაქტობრივი კონკურენტების იდენტიფიცირება;
- დავთვალოთ, შესაბამის ბაზარზე რომელ მოთამაშეს რამდენი საბაზრო წილი აქვს.

64. როგორც ზემოთ აღნიშნული პარაგრაფიდან ჩანს, რელევანტური ბაზარი ორ განზომილებას მოიცავს: პირველი, შესაბამისი პროდუქტის ბაზარი; და მეორე, გარკვეული გეოგრაფიული ტერიტორია.

65. ცნობის მეშვიდე პარაგრაფი რელევანტური პროდუქტის ბაზრის შემდეგ

32 *Richard Whish & David Bailey, Competition Law, 8<sup>th</sup> edition 2015, Oxford University Press, 191 გვ.*

33 იქვე, 191 გვ.

34 კომისიის ცნობა ევროპის საზოგადოების კონკურენციის სამართლის მიზნისათვის რელევანტური ბაზრის განსაზღვრის შესახებ (Commission Notice on the definition of relevant market for the purposes of Community competition law) <[http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A31997Y1209\(01\)](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A31997Y1209(01))> [14.02.2017].



განსაზღვრებას შეიცავს: „რელევანტული ბაზარი შედგება ყველა იმ პროდუქტისა ან/და მომსახურებისაგან, რომლებიც შემცვლელად ან ჩანაცვლებად არის მიჩნეული მომხმარებლის მიერ პროდუქტის ხასიათიდან/მახასიათებლებიდან, ფასიდან და მისი გამიზნული მოხმარებიდან გამომდინარე“.<sup>35</sup>

66. ცნობის მეორე პარაგრაფი კი რელევანტულ გეოგრაფიულ ბაზარს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „რელევანტური გეოგრაფიული ბაზარი შედგება იმ არეალისაგან/სივრცისაგან, რომელშიც მოცემული ეკონომიკური აგენტები ჩართულნი არიან პროდუქტისა და მომსახურების მიწოდებასა და მოთხოვნაში, რომელშიც კონკურენციის პირობები საკმარისად ერთგვაროვანია და რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს მეზობელი/მომხმარებელი არეალისაგან, რადგან ამ უკანასკნელში კონკურენციის პირობები შესამჩნევად განსხვავებულია.“

67. ევროკავშირის სასამართლოს მტკიცებით, რელევანტური ბაზრის კონცეფცია ფაქტობრივად გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთ განსხვავებულ პროდუქტებს შორის ეფექტური კონკურენცია შეიძლება არსებობდეს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ პროდუქტებს შორის საკმარისი ხარისხის ჩანაცვლებადობას ჰქონდეს ადგილი, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ ეს პროდუქტები ერთიდაიგივე ბაზრის ნაწილია.<sup>36</sup>

68. რელევანტური ბაზრის დეფინიციასთან ერთად აუცილებელია დადგინდეს ბაზარზე მოქმედ ფირმებს შორის კონკურენციის დონე, ანუ როგორც ცნობის მეორე პარაგრაფი ამბობს, „განისაზღვროს ის კონკურენტული წნეხი, რომლის წინაშეც მოცემული ეკონომიკური აგენტები აღმოჩნდებიან.“

69. კომისიის ცნობის მე-13 პარაგრაფი განასხვავებს სამი ძირითადი სახის კონკურენტულ წნეხს:

- პირველი, ესაა მოთხოვნის ჩანაცვლებადობა;
- მეორე, მიწოდების ჩანაცვლებადობა და
- მესამე, პოტენციური კონკურენცია.

70. ევროკავშირის კონკურენციის ორგანოების აზრით, ამ სამი კონკურენტული წნეხიდან ყველაზე ეფექტურად მოთხოვნის ჩანაცვლება მოიაზრება. შესაბამისად, ფირმას ან ფირმების ჯგუფს ვერ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ბაზარზე არსებულ გაყიდვის იმ პირობაზე, როგორც ფასია, თუ მისი მომხმარებელი ისეთ პოზიციაშია, რომ მას მარტივად შეუძლია გადაერთოს არსებულ ჩანაცვლებად პროდუქტებზე ან სხვაგან მოქმედ მიმწოდებლებზე. ძირითადად, ბაზრის დეფინიციის განხორციელება მოიცავს განსაზღვრული ეკონომიკური აგენტის კლიენტებისთვის ეფექტური ალტერნატიული მიწოდების წყაროების იდენტიფიცირებას როგორც პროდუქტის/მომსახურების, ასევე გეოგრაფიული ლოკაციის თვალსაზრისით.<sup>37</sup>

71. კომისიის აზრით, მიწოდებისა და პოტენციური კონკურენციის მხრიდან გამომდინარე კონკურენტული წნეხი უფრო ნაკლებად უშუალოა, ვიდრე მოთხოვნის მხრიდან გამომდინარე წნეხი და ყველა შემთხვევაში საჭიროებს სხვა დამატებითი

35 თუმცა, ცნობის 36-ე პარაგრაფში კომისია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ფუნქციური ჩანაცვლებადობა ან მახასიათებლების მსგავსება თავისთავად ვერ იქნება საკმარისი კრიტერიუმი, რადგან კლიენტების მგრძობიარობა ფასის ცვლილებასთან მიმართებით შეიძლება განისაზღვროს ასევე სხვა საკითხების მხედველობაში მიღებითაც. შესაბამისად, ჩანაცვლებადობის შეფასებისას ამ სამი კრიტერიუმის გარდა სხვა ფაქტორებიც შეიძლება იქნეს გამოყენებული.

36 საქმე: 85/76 (Hoffmann-La Roche) 1979 <[http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX-%3A61976CJ0085](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61976CJ0085)>, §3 [13.02.2017].

37 კომისიის ცნობა ევროპის საზოგადოების კონკურენციის სამართლის მიზნისათვის რელევანტური ბაზრის განსაზღვრის შესახებ (Commission Notice on the definition of relevant market for the purposes of Community competition law) <[http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A31997Y1209\(01\)](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A31997Y1209(01))> §13 [14.02.2017].

ფაქტორების ანალიზს.<sup>38</sup>

72. კომისიის შეხედულებით, მოთხოვნის ჩანაცვლების შეფასება მოიცავს იმ პროდუქტების ასორტიმენტის განსაზღვრას, რომლებიც მომხმარებლის შეხედულებით (საქონლის მახასიათებლებიდან, ფასიდან და მის გამიზნული მოხმარებიდან გამომდინარე) მოცემული პროდუქტის/მომსახურების ჩამნაცვლებელია. მოთხოვნის ჩანაცვლებადობის საილუსტრაციოდ კომისია გვთავაზობს ე.წ. SSNIP ტესტს,<sup>39</sup> რომელიც მდგომარეობს შემდეგში: მოვახდინოთ ჰიპოთეტურად მცირე ხანგრძლივი ფასის ცვლილება და დავაკვირდეთ ფასის ზრდის შედეგად მომხმარებლების სავარაუდო რეაქციებს. ეს ტესტი წარმოადგენს **ჰიპოთეტური მონოპოლისტის ტესტს** და მას შეუძლია გარკვეული საინტერესო მითითებები მოგვცეს იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც ბაზრის განსაზღვრისათვის სასარგებლო იქნება, განსაკუთრებით კი მოთხოვნის ჩანაცვლებადობის კუთხით.<sup>40</sup>

73. ამ ტესტის შედეგად რელევანტური ბაზრის განსაზღვრა ხდება იმ პროდუქტების ჩართვით, რომლებიც მომხმარებლის შეფასებით ურთიერთჩანაცვლებადია. შესაბამისად, შესაძლებელია ზოგიერთი პროდუქტი მოხვდეს რელევანტური ბაზრის დეფინიციასში, ზოგი კი ვერა.

74. კომისია აღნიშნული ჰიპოთეტური ტესტის განხორციელებისას სვამს შემდეგ კითხვას: მოცემული ეკონომიკური აგენტის მომხმარებელი გადაერთვება თუ არა ადვილად ხელმისაწვდომ ჩამნაცვლებელზე ან სხვა ტერიტორიაზე არსებულ მიმწოდებლებზე, მოცემული პროდუქტისა და არეალის ბაზრებზე ჰიპოთეტურად მცირე (5-10 პროცენტის ოდენობით), მაგრამ ხანგრძლივი ფასის მატებისას. კომისიის აზრით, თუ მომხმარებლების საკმარისი რაოდენობა გადაერთვება სხვა პროდუქტზე, ისე რომ მოცემულ პროდუქტზე ფასის ზრდა არ იქნება მომგებიანი, რადგან მისი გაყიდვების შემცირება ხდება, ეს დამატებითი შემცვლელი და არეალები მოცემული პროდუქტის რელევანტური ბაზრის ნაწილს წარმოადგენენ. ეს ექსპერიმენტი უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ მივიღებთ ჩანაცვლებადი პროდუქტებისა და გეოგრაფიული არეალის ისეთ ფარგლებს, რომელშიც ფასის მცირე, მაგრამ პერმანენტული ზრდა მომგებიანი იქნება.<sup>41</sup>

75. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ყველაზე ეფექტური კონკურენტული წნეხი მომდინარეობს მოთხოვნის ჩანაცვლებადობიდან. თუმცა, კომისიის აზრით, მიწოდების მხრიდან ჩანაცვლებადობა ასევე შეიძლება იქნას ბაზრის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებული, თუ ის ისეთივე ეფექტური და უშუალოა ჩანაცვლებადობის თვალსაზრისით, როგორც მოთხოვნის ჩანაცვლებადობა. ასეთი ეფექტი მხოლოდ მაშინ იარსებებს, თუ მიმწოდებლებს შეუძლიათ გადაერთონ რელევანტური პროდუქტის წარმოებაზე და მოკლე პერიოდში მოახდინონ პროდუქციის მიწოდება ბაზარზე, მნიშვნელოვანი დამატებითი ხარჯებისა ან რისკის გარეშე, ფასის პატარა და პერმანენტული ცვლილების საპასუხოდ. ამ პირობების შესრულებისას კი მიწოდების ჩანაცვლებადობა ეფექტურობისა და პირდაპირობის კუთხით მოთხოვნის ჩანაცვლებადობის ტოლფასია.<sup>42</sup>

76. წინა პარაგრაფში აღნიშნული სიტუაცია მაშინ შეიძლება არსებობდეს, როდესაც ეკონომიკური აგენტები ბაზარს აწვდიან სხვადასხვა ხარისხის ან თვისების ერთ

38 იქვე, §14.

39 ინგლისურად ეს ტესტი ნიშნავს small but significant and non-transitory increase in price, რაც ქართულად „ფასის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვნად და არა-დროებით ზრდას“ ნიშნავს.

40 იქვე, §15.

41 კომისიის ცნობა ევროპის საზოგადოების კონკურენციის სამართლის მიზნისათვის რელევანტური ბაზრის განსაზღვრის შესახებ (Commission Notice on the definition of relevant market for the purposes of Community competition law) <[http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A31997Y1209\(01\)>](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A31997Y1209(01)>) §17 [14.02.2017].

42 იქვე, §20.

პროდუქციას. მაგალითისათვის კომისიას მოაქვს ქალაქი. ქალაქის განსხვავებული ხარისხის ასორტიმენტი არსებობს, სტანდარტული საწერი ქალაქიდან დაწყებული მაღალი ხარისხის ქალაქით დამთავრებული. განსხვავებული ხარისხის ქალაქი ვერ იქნება გამოყენებული ყველა არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაგალითად ნახატების ალბომისთვის დაბალი ხარისხის ქალაქი არ გამოდგება. თუმცა, ქალაქის მწარმოებლებს შეუძლიათ განსხვავებული ხარისხის ქალაქი აწარმოონ, დროის მოკლე პერიოდში მოწყობილობების გადაიარაღებაზე მცირე ხარჯების გაწევით. შესაბამისად, თუ დისტრიბუციაში რაიმე განსაკუთრებული სირთულე არ არსებობს, ქალაქის მწარმოებლებს შეუძლიათ კონკურენცია გასწიონ განსხვავებული ხარისხის ქალაქის შეკვეთებზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეკვეთები ისეა განთავსებული დროის მონაკვეთში, რომ იძლევა წარმოების გეგმების მოდიფიკაციის საშუალებას. ამ შემთხვევაში კომისია არ დაადგენს განსხვავებულ ბაზარს თითოეული ხარისხის ქალაქზე. განსხვავებული ხარისხის ქალაქები ერთ რელევანტურ ბაზრად იქნება მიჩნეული.<sup>43</sup>

77. კომისიის აზრით, თუ მიწოდების მხრიდან ჩანაცვლება საჭიროებს არსებული უძრავი და მოძრავი ქონების მნიშვნელოვან ცვლილებას/გადაიარაღებას, დამატებით ინვესტიციებს, სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს ან დროში შეყოვნებას გამოიწვევს, ასეთი ჩანაცვლებადობა ვერ იქნება ეფექტური და უშუალო, შესაბამისად, რელევანტური ბაზრის დადგენისას ვერ იქნება მხედველობაში მიღებული. მაგალითი იმისა, რომ მიწოდების ჩანაცვლებამ ვერ დაარწმუნა კომისია ბაზრის გაფართოებაში, იყო ბრენდირებული ლუდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოსასხმელ ქარხნებს აქვთ იმის რეალური პოტენციალი, რომ ჩამოსახან განსხვავებული ლუდი, კომისიამ მხედველობაში მიიღო ფაქტი, რომ პროდუქტის რეალურად გასაყიდად დრო და ხარჯებია საჭირო (ეს მოიცავს რეკლამას, პროდუქტის ტესტირებას და დისტრიბუციას).<sup>44</sup>

78. კონკურენტული წნეხის მესამე წყაროს კი პოტენციური კონკურენცია წარმოადგენს. მას კომისია ყველაზე ნაკლებად ეფექტურ წნეხად მიიჩნევს და თვლის, რომ ის არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ბაზრის განსაზღვრისას, რადგან ის პირობები, რომლის დროსაც პოტენციური კონკურენცია რეალურად წარმოადგენს ეფექტურ კონკურენტულ წნეხს, დამოკიდებულია ბაზარზე შესვლის სპეციფიურ ფაქტორებსა და გარემოებებზე. პოტენციური კონკურენციის ანალიზი შეიძლება საჭირო გახდეს მხოლოდ მას შემდეგ რაც ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების პოზიციები იქნება დადგენილი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ეკონომიკური აგენტ(ებ)ის საბაზრო პოზიცია კონკურენციის მხრივ პრობლემებს იწვევს.<sup>45</sup>

79. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად, დომინირებული მდგომარეობა განმარტებულია შემდეგნაირად: იგი არის „შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევისა საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია.“ აღნიშნული პუნქტი უშვებს დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ორი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ.

80. კანონის მე-5 მუხლი ადგენს იმ კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს დომინანტობის არსებობის დადგენა. ესენია:

43 იქვე, §21-22.

44 იქვე, §23.

45 იქვე, §24.

- შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი;
- კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობა;
- ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერები;
- მყიდველის საბაზრო ძალაუფლება;
- ნედლეულის წყაროების ხელმისაწვდომობა;
- ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხი;
- ქსელური ეფექტები და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები.

81. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანებით #30/09-3 დამტკიცდა „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“, რომელშიც კონკურენციის ორგანომ შეიმუშავა ის საფუძვლები, რომლებსაც გამოიყენებს კონკურენციის კანონმდებლობით დარეგულირებული საკითხების შეფასებისას. ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტი ამბობს, რომ სააგენტოს მიერ ბაზრის ანალიზისას ხდება შესაბამისი ბაზრის ინდეტიფიცირება. ხოლო მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება მოიცავს შემდეგი სამი პარამეტრის იდენტიფიცირებას:

პირველი არის საქონლის ბაზრის პროდუქციული საზღვრები. სახელმძღვანელო დოკუმენტის მეშვიდე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ხვდება ყველა ის პროდუქტი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ პროდუქტის **მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე**. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამავე პუნქტის თანახმად, შესაბამისი საქონლისა და გეოგრაფიული საზღვრების დადგენა ხდება ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხის გათვალისწინებით. ხოლო მეორე პუნქტის თანახმად კი, საქონლის ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმი განხილულ უნდა იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე **მიმწოდებლის/მწარმოებლის** თვალსაზრისიდან გამომდინარე. მომხმარებლის მხრიდან ჩანაცვლებადობისას ყურადღება ექცევა საქონლის სამომხმარებლო თვისებებს, სიახლის დონეს, მომხმარებლის მიერ პროდუქტის მოხმარების პირობებს, რეალიზაციის პირობებს, შედარებითი ფასების დონეს და სხვა ისეთ მახასიათებელს, რომელიც შეიძლება შესაბამისად ჩაითვალოს მომხმარებლის არჩევანის განსაზღვრის პროცესში (სახელმძღვანელო დოკუმენტის მერვე მუხლი); რაც შეეხება მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით საქონლის ურთიერთჩანაცვლებადობას, ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა ერთი განსახილველი პროდუქტის წარმოებიდან მეორე პროდუქტის წარმოებაზე გადასვლის სიმარტივის ხარისხს, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება როგორც მოქმედი, ასევე თავისუფალი საწარმოო სიმძლავრეები (სახელმძღვანელო დოკუმენტის მეცხრე მუხლი);

მეორე პარამეტრს წარმოადგენს საქონლის ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები, რომელიც სახელმძღვანელო დოკუმენტის მეათე მუხლის შესაბამისად არის ის „ტორიტორია, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები შეიძინონ განსახილველი საქონელი.“;

მესამე პარამეტრი კი არის საქონლის ბაზრის დროებითი ჩარჩო, რაც სახელმძღვანელო დოკუმენტის მე-12 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირების ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

82. სახელმძღვანელო დოკუმენტის მე-16 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქონლის ბაზრის შეფასებისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს პოტენციური მიმწოდებლები, რომლებსაც უმნიშვნელო ტექნიკური გადაირაღებისა ან/და ფიზიკური კაპიტალის დამატებით შეუძლიათ განსახილველი საქონლის მიწოდება.

83. სახელმძღვანელო დოკუმენტის 23-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბაზრის კონკურენტულობის ანალიზის ეტაპზე სააგენტო ამოწმებს

ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობას, ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკარგვის გარეშე გაზარდოს მოგება ფასების გაზრდისა ან ხარჯების/ხარისხის შემცირების გზით ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

84. ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია კოლექტიური დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება. კოლექტიური დომინანტი პოზიცია მაშინ არსებობს, როდესაც რამდენიმე ეკონომიკური აგენტი, რომელთა ერთიანი საბაზრო წილი აღემატება 50 პროცენტს, ბაზარზე მოქმედებენ ერთობლივად, შეთანხმებულად. ევროკავშირში პრეცედენტული სამართლით დადგენილია ის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს კოლექტიურ დომინანტ პოზიციას. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე *Laurent Piau v Commission* განაცხადა, რომ სამი პირობა არის საჭირო კოლექტიური დომინანტობის დასადგენად. კერძოდ, ესენია:

- დომინანტი ოლიგოპოლიის თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს უნარი იცოდეს თუ როგორ მოიქცევიან სხვა წევრები იმისათვის, რომ გააკონტროლონ, იღებენ თუ არა ისინი ერთიან პოლიტიკას;
- უსიტყვო კოორდინაციის სიტუაცია უნდა იყოს მდგრადი დროთა განმავლობაში, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკურ აგენტებს არ ჰქონდეთ ბაზარზე ერთიანი პოლიტიკიდან გადახვევის სტიმული;
- არსებული და მომავალი კონკურენტების პროგნოზირებადმა რეაქციამ, ისევე როგორც მომხმარებლებისა, არ უნდა ჩააყენოს საფრთხეში ის შედეგები, რომლებიც მოსალოდნელია ეკონომიკური აგენტების ერთიანი პოლიტიკიდან.

85. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად, ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

- არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;
- არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

86. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენების საქმეზე პირველ რიგში მნიშვნელოვანია დომინირებული პოზიციის არსებობის დადგენა შესაბამის ბაზარზე. ამისათვის კი საჭიროა სწორად იქნეს დადგენილი შესაბამისი ბაზარი, რისთვისაც ევროკავშირში კომისიის მიერ მიღებული ცნობა ევროპის საზოგადოების კონკურენციის სამართლის მიზნისათვის რელევანტური ბაზრის განსაზღვრის შესახებ, ავალდებულებს კომისიას გამოიყენოს ე.წ. SSNIP ტესტი. საქართველოში აღნიშნული ტესტი ნახსენები არ არის არც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში და არც კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებულ „ბაზრის ანალიზის მეთოდურ მითითებებში“. ეს უკანასკნელი დოკუმენტი მხოლოდ მოიხსენიებს ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსს, რომელიც გამოიყენება სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონის გამოსათვლელად და ლინდის ინდექსს (18 მუხლი). შესაბამისად, მნიშვნელოვანია თუ ამ სახელმძღვანელო დოკუმენტში დომინანტობის ტესტზე, კერძოდ კი SSNIP ტესტზე იქნება საუბარი და მის გამოყენების შესახებ იქნება დეტალური ინფორმაცია.

## 5.2. დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენება

87. დომინირებული პოზიციის ქონა არც ევროკავშირში და არც საქართველოში არ არის დასაძრახი და არც კანონმდებლობით იკრძალება. მთავარია ეკონომიკურმა აგენტმა არ მოახდინოს ამ პოზიციის ბოროტად გამოყენება.

88. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 102-ე მუხლის მიხედვით, ერთი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენება შიდა ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში აკრძალულია როგორც შიდა ბაზართან შეუსაბამო, რამდენადაც მას შეუძლია გავლენა მოახდინოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი ერთ ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია.

89. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 102-ე მუხლი, ისევე როგორც კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტი შეიცავს აკრძალული ქმედებების ერთიდაიგივე სიას, რომელიც არ არის ამომწურავი. შესაბამისად, ორივე კანონმდებლობა უშვებს სხვა ისეთი ქმედებების აკრძავლის შესაძლებლობას, რომელიც ამ ჩამონათვალში არ არის.

90. დომინანტი ეკონომიკურ აგენტებს ეკრძალებათ შემდეგი სახის საქმიანობის განხორციელება:

ა. შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასებისა ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;

ბ. წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ. გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისათვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ. ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან.

91. ევროკავშირში კომისიამ 2005 წელს შეიმუშავა სადისკუსიო დოკუმენტი გამრიცხველი ბოროტად გამოყენების მიმართ 102-ე მუხლის გამოყენების თაობაზე. აღნიშნული სახელმძღვანელო გადმოგვცემს დეტალურ ინფორმაციას დომინანტი პოზიციისა და მისი ბოროტად გამოყენების მიმართ კომისიის მოსაზრებებს. დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების ძირითად სახეებს წარმოადგენს ექსპლუატატორული და გამრიცხველი ბოროტად გამოყენება. პირველი პრაქტიკის დროს სახეზეა დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების ისეთი სახე, რომლის დროსაც მომხმარებლების ექსპლუატაცია ხდება, მაგალითად მათვის უსამართლოდ მაღალი ფასების დაწესების გზით. რაც შეეხება მეორე პრაქტიკას, ის ითვალისწინებს დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების შევიწროებას, მათ არ შეშვებას ბაზარზე და ბაზრიდან ჩამოშორებას.

92. ევროკავშირის კომისია ფიქრობს, რომ სწორედ გამრიცხველი ბოროტად გამოყენების შემთხვევები იმსახურებს კომისიის განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ჩამოცილების შედეგად ბაზარზე კონკურენტული გარემო ვეღარ იქნება და საფრთხე შეექმნება როგორც ეფექტურ კონკურენციას, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას. ბუნებრივია, რომ ექსპლუატატორული ბოროტად გამოყენების შემთხვევებიც კომისიის ყურადღების მიღმა არ დარჩება და ასეთ შემთხვევებსაც ყურადღებით შეისწავლის. თავის სადისკუსიო დოკუმენტში

კომისია აღნიშნავს, რომ 102-ე მუხლის მიზანი არის ბაზარზე კონკურენციის დაცვა, რაც მომხმარებელთა კეთილდღეობას და რესურსების ეფექტურ განაწილებას უზრუნველყოფს.

93. ბაზარზე კონკურენციის დაცვისას მხედველობაში უნდა გვექონდეს ის გარემოება, რომ, კომისიის აზრით, ძირითადად მხოლოდ ეფექტური კონკურენტების დაცვა ხდება და არა ყველა კონკურენტის, მათ შორის პატარა კონკურენტი ეკონომიკური აგენტების. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში მათი დაცვაც შეიძლება საჭირო იყოს.

94. კომისია სადისკუსიო დოკუმენტში განიხილავს რელევანტური ბაზრის განსაზღვრების საკითხს, დომინანტობას (როგორც ერთი ფირმის, ასევე რამდენიმე ფირმის შემთხვევაში), ბარიერებს, მყიდველების საბაზრო პოზიციას. ამ საკითხების შემდეგ კი უკვე გადადის გამრიცხველი ბოროტად გამოყენების საკითხზე. ეს პრაქტიკა იყოფა ისეთ ქმედებებად, რომლებიც არ ეფუძნება ან ეფუძნება ფასს. პირველ კატეგორიაში შედის სახელშეკრულებო შებოჭვა, ერთი ბრენდის შეთანხმება და მიწოდებაზე „აშკარა“ უარი. რაც შეეხება მეორე კატეგორიის შეთანხმებებს, ესენია: ორი პროდუქტის/მომსახურების კომპლექტში გაყიდვა, ფასდაკლებები, მიწოდებაზე „კონსტრუქციული“ უარი და სხვა. დოკუმენტში განხილულია დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების ყველა ძირითადი სახე, როგორცაა მტაცებლური ფასი, ერთი ბრენდის შეთანხმება და ფასდაკლებები, პროდუქტების/მომსახურებების დაკავშირება და კომპლექტაცია, მიწოდებაზე უარი.

95. საქართველოს კონკურენციის სააგენტომ თავმჯდომარის 2017 წლის 1 მაისის #04/99 ბრძანებით დამტკიცდა სარეკომენდაციო გზამკვლევი, რომელიც ეკონომიკური აგენტების ძირითადი ვალდებულებებს ეხება. ამ დოკუმენტის 14-25 გვერდები ეხება დომინანტ პოზიციას და მის ბოროტად გამოყენებას. აქვე განხილულია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემდეგი სახეები: მტაცებლური ფასი, ფასის შერჩევით შემცირება, ფასისმიერი დისკრიმინაცია, ფასდათმობები, მარჟის შეკუმშვა, მიწოდებაზე უარი, გაერთიანება და დაკომპლექტება (მიზმა, დაწყვილება).

## 6. კონცენტრაციების ეფექტური კონტროლი

96. მესამე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც კონკურენციის სამართლის რეგულირების ქვეშ ექცევა, არის კონცენტრაცია. იგი ეკონომიკური აგენტების შერწყმა-გაერთიანებას მოიცავს. ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ევალუბა კონცენტრაციების ეფექტური რეგულირება. შერწყმების ეფექტური კონტროლი ყველა არა, მაგრამ ბევრ თანამედროვე კონკურენციის სამართლის სისტემას ახასიათებს.

97. ძირითადად სამი სახის კონცენტრაცია არის გავრცელებული:

პირველი, ეს არის ჰორიზონტალური შერწყმა, რომლის დროსაც ერთი და იგივე პროდუქციის/მომსახურების მწარმოებლები/მიმწოდებლები ერთიანდებიან. ისინი ერთმანეთის უშუალო კონკურენტები არიან და, შესაბამისად, გაერთიანება ბაზარზე კონკურენციის შემცირების კუთხით ყველაზე სახიფათოა სხვა კონცენტრაციის სახეებთან შედარებით;

კონცენტრაციის მეორე სახეს წარმოადგენს ვერტიკალური შერწყმა. ვერტიკალურია ისეთი კონცენტრაცია, რომლის დროსაც ერთიანდებიან საქონლის/მომსახურების წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვში სხვადასხვა საფეხურზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები. მაგალითად, ლუდის მწარმოებელი და ლუდის დისტრიბუტორი ეკონომიკური აგენტების გაერთიანება ითვლება ვერტიკალურ კონცენტრაციად. ასეთი სახის შერწყმები, როგორც წესი, უფრო პრო-კონკურენციულია და დადებითი შედეგების მომტანად ითვლება, ვიდრე ჰორიზონტალური გაერთიანებები. თუმცა, შეიძლება ასეთი სახის შერწყმამაც გამოიწვიოს კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვერტიკალური შერწყმის მოსალოდნელი ეფექტების კარგად შესწავლა;

მესამე სახის კონცენტრაციად კი ითვლება კონგლომერატული გაერთიანება. ასეთი სახის შერწყმების დროს ერთიანდებიან ისეთი კომპანიები, რომლებიც სხვადასხვა ბაზრებზე ოპერირებენ და ეს ბაზრები არც ჰორიზონტალურად და არც ვერტიკალურად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

98. 2004 წელს ევროკავშირში მიღებული იქნა შერწყმების რეგულაცია (ECMR, რეგულაცია 139/2004), რომლის მიზანია ეფექტური და კარგად ფუნქციონირებადი შიდა ბაზრის შენარჩუნება, ამის უზრუნველყოფა კი რეგულაციამ უნდა მოახდინოს იმით, რომ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციებს ბაზარზე უარყოფითი გავლენა არ ჰქონდეს.<sup>46</sup>

### 6.1. შერწყმის არსი

99. ზოგადად, კლასიკური გაგებით, შერწყმა (ინგლისურად ტერმინი „merger“) გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როდესაც ორი სხვადასხვა ფირმა ერთიანდება ახალ კომპანიაში. თუმცა, ამ ტერმინის კონკურენციის სამართლისეული მნიშვნელობით, მხოლოდ აღნიშნული სახის გაერთიანება არ შეიძლება ჩაითვალოს შერწყმად. კონკურენციის პოლიტიკაში შერწყმა მოიცავს კორპორატიული გარიგებების უფრო ფართო სპექტრს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ტერმინ „შერწყმის“ ნაცვლად კონკურენციის კანონმდებლობა როგორც ევროკავშირში, ისე საქართველოში იყენებს ტერმინ „კონცენტრაციას“.

100. კონკურენციის პოლიტიკის მიხედვით, შერწყმა მოიცავს სხვადასხვა ტიპის ტრანზაქციებს, მათ შორის არის ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის მთლიანი ან უმრავლესობა აქციების/წილების შეძენა. არის ასევე ისეთი შემთხვევები, როდესაც უმცირესობა აქციების/წილების შეძენაც შეიძლება კონცენტრაციას წარმოადგენდეს.

<sup>46</sup> Ioannis Lianos & Damien Geradin, Handbook on European Competition Law, Substantive Aspects, Edward Elgar, 2013, 516.



კონცენტრაციად შეიძლება ჩაითვალოს ასევე კარგად ცნობილი ბრენდის შექმნა<sup>47</sup>, ასევე ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ მათი ბიზნესის ნაწილების ახალ დაფუძნებულ ერთობლივ საწარმოში გაერთიანება (ე.წ. joint venture company).

101. კონცენტრაციის დეფინიციას იძლევა ევროკავშირის შერწყმების რეგულაციის მე-3 მუხლი. ამ მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით: „კონცენტრაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტროლის ცვლილება გრძელვადიანად/ხანგრძლივად გამომდინარეობს შემდეგიდან:

- ორი ან მეტი ადრე დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ან მათი ნაწილების შერწყმიდან, ან
- ერთი ან რამდენიმე პირის<sup>48</sup> მიერ, რომელიც უკვე აკონტროლებს სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს, ასევე ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ, ფასიანი ქაღალდების ან ქონების შექმნა ხელშეკრულებით ან სხვა საშუალებით, რომლითაც მას პირდაპირ ან არაპირდაპირ მიეცემა სხვა ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მთლიანად ან მისი/მათი ნაწილის „გაკონტროლების საშუალება“.

102. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, „კონტროლის საშუალება/უფლება შეიძლება გამომდინარეობდეს უფლებიდან, ხელშეკრულებიდან ან სხვა საშუალებიდან, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთობლივად, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე იძლევა ეკონომიკურ აგენტზე **გადამწყვეტი გავლენის მოხდენის** შესაძლებლობას, განსაკუთრებით კი ეს შეიძლება გამომდინარეობდეს:

- ეკონომიკური აგენტის მთლიანი ქონების ან მისი ნაწილის საკუთრებიდან ან მათი გამოყენების უფლებიდან;
- უფლებიდან ან ხელშეკრულებიდან, რომელიც იძლევა ეკონომიკური აგენტის ორგანოების შექმნაზე, ხმის უფლებაზე ან გადაწყვეტილებებზე გადაწყვეტი გავლენის მოხდენის საშუალებას...“

103. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კონცენტრაციის კონცეფცია მსგავსია ევროკავშირის რეგულაციით მოცემული განსაზღვრებისა. კერძოდ, კანონის შესაბამისად, კონცენტრაცია გულისხმობს:

ა) ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმას, რის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება;

ბ) ფასიანი ქაღალდების ან აქტივების წილის შექმნით, ხელშეკრულებით ან სხვა საშუალებით ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვებას იმ პირის მიერ, რომელიც უკვე აკონტროლებს სულ მცირე 1 ეკონომიკურ აგენტს;

გ) ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობას.<sup>49</sup>

104. ევროკავშირის რეგულაციის მესამე მუხლის მე-5 ნაწილი კი შეიცავს იმ გარემოებების ჩამონათვალს, რომელთა არსებობისას, კონცენტრაციას ადგილი არ ექნება. კერძოდ:

პირველი, კონცენტრაციას ადგილი არ ექნება, როდესაც საკრედიტო ინსტიტუტი ან სხვა საფინანსო ინსტიტუტი ან სადაზღვევო კომპანია, რომლის ჩვეულებრივი საქმიანობა

47 Richard Whish and David Bailey, 8<sup>th</sup> Ed., Oxford University Press, 2015, 853-854.

48 ტერმინი „პირი“ ასევე გამოიყენება საჯარო დაწესებულებების, მათ შორის სახელმწიფოს, კერძო ორგანიზაციებისა და ინდივიდების აღსანიშნავად. იხ. Bellamy & Child, European Union Law of Competition, Edited by Vivien Rose & David Bailey, 7<sup>th</sup> Ed., 2013 Oxford University Press, 526.

49 „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი <<http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=62>> [27.02.2018].

მოიცავს ტრანზაქციებს და გარიგებებს ფასიან ქაღალდებზე, საკუთარ ანგარიშზე ან სხვების ანგარიშზე, დროებით ფლობს ფასიან ქაღალდებს. მას ისინი შეძენილი აქვს შემდგომში გადაყიდვის განზრახვით. თუმცა, აღნიშნული ინსტიტუტები არ იყენებენ ამ ფასიანი ქაღალდებით არსებულ ხმის უფლებას იმისთვის, რომ განსაზღვრონ ამ ეკონომიკური აგენტის კონკურენტული ქცევა ან იყენებენ ხმის უფლებას, თუმცა მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მოამზადონ გასაყიდად ეს ეკონომიკური აგენტი ან მისი ნაწილი ან მისი ქონება/ქონების ნაწილი ან ეს ფასიანი ქაღალდები. აუცილებელია, რომ მისი გაყიდვა მოხდეს შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში. ეს პერიოდი შეიძლება კომისიის მიერ გახანგრძლივდეს მოთხოვნის საფუძველზე, თუ ეს ინსტიტუტი დაამტკიცებს, რომ მისი გასხვისება გონივრულად შეუძლებელი იყო მითითებულ პერიოდში;

მეორე, კონტროლს იძენს სახელმწიფო მოხელე წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით ლიკვიდაციის, გაკოტრების, გადახდის უუნარობის, გადახდების შეწყვეტის, მოვალის კრედიტორთან მიღწეული კომპრომისული შეთანხმების ან სხვა ანალოგიური პროცედურების შესაბამისად;

მესამე, ამ მუხლის პირველი პარაგრაფის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ოპერაცია, რომელიც განხორციელდა ფინანსური ჰოლდინგური კომპანიის მიერ (აღნიშნულია 78/660/EEC დირექტივის 5.3 მუხლში), იმის გათვალისწინებით, რომ ხმის უფლება გამოყენებულია მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნასთან მიმართებით, მხოლოდ იმისათვის, რომ შენარჩუნდეს მათი ინვესტიციების სრული ღირებულება და არა იმისათვის, რომ მოხდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ ეკონომიკური აგენტის კონკურენტული ქცევის განსაზღვრა.

105. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11<sup>2</sup> მუხლი შეიცავს ისეთ პირობებს, რომელთა არსებობისას კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ აკისრიათ დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენციის სააგენტოსთვის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება. ეს პირობები არ მოდის წინააღმდეგობაში ევროკავშირში არსებულ დებულებებთან. ამ პირობების არსებობა მიუთითებს ისეთ სიტუაციებზე, რომლებიც ეკონომიკური აგენტების დროებით კონტროლს ითვალისწინებს. ესენია:

ა) კანონით გათვალისწინებული წესით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე ნაკლები საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტების შერწყმა/გაერთიანება;

ბ) კონცენტრაცია გადახდის უუნარობის შედეგია და ხორციელდება „გადახდის უუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, აგრეთვე ლიკვიდაციის პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პროცესში კონტროლს მოიპოვებს კონკურენტი საწარმო ან ის ჯგუფი, რომელსაც ვალაუვალი საწარმოს კონკურენტები მიეკუთვნებიან;

გ) კონტროლი მოიპოვება დროებით, სესხის უზრუნველსაყოფად, იმ პირობით, რომ არ გამოიყენება აქტივების ფლობით მინიჭებული უფლებები, გარდა გაყიდვის უფლებისა;

დ) კონცენტრაცია ურთიერთდამოკიდებული პირების მონაწილეობას ეხება;

ე) ფინანსური ინსტიტუტი ჩვეულებრივი საწესდებო საქმიანობის ფარგლებში საკუთარი ან კლიენტის სახსრებით იძენს სხვა საწარმოს წილებს ან აქციებს სხვა საწარმოში და დროებით მოიპოვებს მასზე კონტროლს, ან იძენს აქტივებს მათი შემდგომი გაყიდვისათვის, იმ პირობით, რომ ეს ტრანზაქცია განხორციელდება მათი შეძენიდან/ მასზე კონტროლის მოპოვებიდან არაუგვიანეს 1 კალენდარული წლისა, ამასთანავე:

ე.ა) ამ ინსტიტუტს არ აქვს აქციების ან წილების ფლობასთან დაკავშირებული უფლებები, გარდა დივიდენდის მიღების უფლებისა;

ე.ბ) ეს ინსტიტუტი უფლებებს იყენებს მხოლოდ საწარმოს, მისი აქტივების ან აქციებისა და წილების სრულად ან ნაწილობრივ გასაყიდად მომზადებისათვის.

## 6.2. კონტროლის კონცეფცია

106. შერწყმის რეგულაცია კონცენტრაციის კონცეფციას განსაზღვრავს ისე, რომ მოიცავს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც იწვევს შესაბამისი ეკონომიკური აგენტების კონტროლის ხანგრძლივ ცვლილებას. შესაბამისად, კონცენტრაციის შედეგად ხდება ბაზრის სტრუქტურის ცვლილება.<sup>50</sup>

107. რეგულაციის შესაბამისად, კონცენტრაციის დადგენისათვის მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ერთი ეკონომიკური აგენტის/პირის მხრიდან მეორე ეკონომიკურ აგენტზე ხანგრძლივი კონტროლის განხორციელების უნარს. კონტროლის განხორციელება მოიცავს ეკონომიკური აგენტის გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას. როგორც ევროკავშირის კომისიის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული სამართლებრივი ცნობის<sup>51</sup> მე-7 პარაგრაფი გვაცნობს, კონცენტრაციის არსებობა უფრო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხარისხობრივ, ვიდრე რაოდენობით კრიტერიუმზე. სწორედ კონტროლის დონესა და ხარისხზეა დამოკიდებული კონცენტრაციის არსებობის საკითხი.

108. შერწყმების რეგულაციის მესამე მუხლის მიხედვით, კონტროლის კონცეფცია ძალიან ფართოა. არსებობს სამართლებრივი და ფაქტობრივი კონტროლი. კონტროლის მოპოვების ყველაზე გავრცელებული სახე არის აქციების/წილების შეძენა, რაც ხდება მეწილეების/აქციონერების შეთანხმების საფუძველზე, ან ქონების შეძენით. გარდა წილებისა და ქონების შეძენის ხელშეკრულებებისა, კონტროლის უნარი შეიძლება სხვა სახის ხელშეკრულებებიდანაც გამომდინარეობდეს. მაგალითად, ფრენშაიზინგის შეთანხმებიდან, როგორც წესი, კონტროლის უფლების მოპოვება შეიძლება ვერ მოხდეს. მაგრამ, გამონაკლის შემთხვევებში, ეკონომიკური დამოკიდებულების სიტუაციამ, რომელიც მაგალითად ხანგრძლივი მიწოდების ხელშეკრულებიდან ან კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და სტრუქტურული კავშირებით არის გაერთიანებული,<sup>52</sup> შეიძლება ერთ-ერთ მხარეს მეორის კონტროლის საშუალება მისცეს.<sup>53</sup>

109. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს კონტროლის კონცეფციის განმარტებას.

## 6.3. ერთობლივი საწარმო

110. ევროკავშირის შერწყმების რეგულაციის 3.4 მუხლის შესაბამისად, ხანგრძლივი ერთობლივი საწარმოს<sup>54</sup> შექმნა, რომელსაც ავტონომიური ეკონომიკური სუბიექტის

50 Claes Bengtsson, Julia Brockhoff, et al, EU Competition Law, Mergers and Acquisitions, Volume II, 2<sup>nd</sup> Ed., Book One, 2012, 41.

51 ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციების კონტროლზე კომისიის კონსოლიდირებული სამართლებრივი ცნობა (Commission Consolidated Jurisdictional Notice under Council Regulation (EC) No 139/2004 on the control of concentrations between undertakings) <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2008:095:0001:0048:EN:PDF>> §7, [12.02.2018].

52 სამართლებრივი ცნობა, §20.

53 დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ სიტუაციები კონტროლის არსებობა-არარსებობის შესახებ იხილეთ შემდეგ საქმეებზე IV/M.794 — Coca-Cola/Amalgamated Beverages GB of 22 January 1997; Case IV/ECSC.1031 — US/Sollac/Bamesa of 28 July 1993; Case IV/M.625 — Nordic Capital/Transpool of 23 August 1995; for the criteria see also Case IV/M.697 — Lockheed Martin Corporation/Loral Corporation, of 27 March 1996.

54 ერთობლივი საწარმო იქმნება ორი ან რამდენიმე ფირმის მიერ. მას მშობელი კომპანიები გარკვეულ ფუნქციებს ანიჭებენ. მაგალითად მას შეიძლება გარკვეული ნედლეულის წარმოება ან ერთობლივი კვლევისა და განვითარების პროექტის განხორციელება დაავალონ.

ყველა ფუნქცია აქვს, კონცენტრაციას წარმოადგენს რეგულაციის 3.1.ბ მუხლის შინაარსის თანახმად. მხოლოდ ისეთი ერთობლივი საწარმოს შექმნა კვალიფიცირდება კონცენტრაციად, რომელსაც ე.წ. „სრულ ფუნქციურობა“ ახასიათებს. ერთობლივი საწარმო ითვლება სრულ ფუნქციურ ეკონომიკურ აგენტად, თუ მას:

- საოპერაციო ავტონომია აქვს;
- გარდა მშობელი კომპანიების ერთი სპეციფიკური ფუნქციისა, იგი სხვა აქტივობებსაც უნდა ახორციელებდეს;
- თანამშრომლობს თავის მშობელ კომპანიებთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე (როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი) სტარტაპ პერიოდის შემდეგ;
- ერთობლივი საწარმოს ფუნქციონირება ხანგრძლივი ვადით უნდა იყოს გათვალისწინებული.<sup>55</sup>

#### 6.4. დაგეგმილი კონცენტრაციის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება

111. ევროკავშირში მიიჩნევენ, ბაზარზე შერწყმების შედეგად რომ არ მოხდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილებები, საჭიროა კონცენტრაციების ეფექტური კონტროლი, რაც მოიცავს მოსალოდნელი შერწყმების წინასწარ შეფასებას კონკურენციის შესაბამისი ორგანოების მიერ მანამ, სანამ მათი იმპლემენტაცია მოხდება. ძირითადად, წევრი ქვეყნების უმრავლესობა, ისევე როგორც ევროკავშირი, აწესებს ვალდებულებას, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, წინასწარ, სანამ მოხდება შერწყმის გარიგების დადება და მისი რეგისტრაცია, შეატყობინონ შესაბამის კონკურენციის ორგანოს. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია შეისწავლოს შეტყობინებული კონცენტრაციის მოსალოდნელი ეფექტები ბაზარზე და კონკურენციაზე და გასცეს მისი თავსებადობის შესახებ გადაწყვეტილება დადგენილ დროში.

112. ევროკავშირში შეტყობინების ვალდებულება მაშინ აქვთ ეკონომიკურ აგენტებს, როცა მათი ერთობლივი ბრუნვა მსოფლიო ან ევროკავშირის მასშტაბით შერწყმების რეგულაციით #139/2004 დადგენილ ზღვარს აღემატება. ამ რეგულაციის პირველი მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ევროკომისიისათვის მოსალოდნელი შერწყმის შეტყობინების ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი მსოფლიო ბრუნვა აღემატება 5000 მილიონ ევროს და ევროკავშირის მასშტაბით კი ორი ეკონომიკური აგენტიდან სულ მცირე ერთს აქვს 250 მილიონი ბრუნვა. ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის მასშტაბის ბრუნვიდან ორი მესამედი მხოლოდ ერთ წევრ სახელმწიფოში მოდის. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი ევროკავშირის განზომილება ასევე შეიძლება არსებობდეს შემდეგი პირობების დაკმაყოფილებისას:

ა. შესაბამისი ეკონომიკური აგენტების მსოფლიო ბრუნვა აღემატება 2500 მილიონ ევროს;

ბ. სულ მცირე სამ წევრ სახელმწიფოდან თითოეულში შესაბამისი ეკონომიკური აგენტების გაერთიანებული ბრუნვა 100 მილიონ ევროზე მეტია;

გ. „ბ“ პუნქტიდან გამომდინარე სულ მცირე სამ წევრ სახელმწიფოში სულ მცირე ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის ბრუნვა უნდა იყოს 25 მილიონ ევროზე მეტი;

დ. სულ მცირე ორი შესაბამისი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის ევროკავშირის მასშტაბით გაერთიანებული ბრუნვა 100 მილიონ ევროზე მეტი უნდა იყოს.

113. ევროკავშირის განზომილებას ამ ოთხი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში არ ექნება ადგილი, თუ შესაბამისი ეკონომიკური აგენტებიდან თითოეული თავისი ევროკავშირის მასშტაბის ბრუნვის ორ მესამედს მხოლოდ ერთ წევრ სახელმწიფოში

<sup>55</sup> Richard Whish and David Bailey, 8<sup>th</sup> Ed., Oxford University Press, 2015, 882.

ახდენს.<sup>56</sup> შესაბამისად, თუ ევროკავშირის განზომილება არ აქვს კონცენტრაციას, ის შეიძლება მაინც ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის რეგულაციის ქვეშ მოექცეს და შესაბამისი წევრი ქვეყნის კონკურენციის ორგანოსათვის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება ჰქონდეს.

114. რაც შეეხება საქართველოში დაგეგმილი კონცენტრაციის წინასწარი შეტყობინების ვალდებულებას, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოსთვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების ვალდებულება აკისრიათ კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს, რომელთა ინდივიდუალური, ასევე ერთობლივი აქტივების ღირებულება ან წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესით“ დადგენილ ზღვრულ ოდენობას. ეს წესი დამტკიცებულია კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის #30/09-04 ბრძანებით.<sup>57</sup> მისი მესამე მუხლის მიხედვით, კონცენტრაციის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება ეკონომიკურ აგენტებს აკისრიათ ორ შემთხვევაში. ესენია:

**პირველი,** თუ მათი ერთობლივი წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს; **მეორე,** ეკონომიკური აგენტების საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ჯამური ღირებულება აღემატება 10 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ღირებულება აღემატება 4 მილიონ ლარს.

## 6.5. კონცენტრაციის შეფასება

115. კომისიას კონცენტრაციების ერთიან ბაზართან თავსებადობის შეფასებისას ევროკავშირის შერწყმების რეგულაციის #139/2004<sup>58</sup> მიხედვით ევალება მხედველობაში მიიღოს:

- ერთიან ბაზარზე ეფექტური კონკურენციის შენარჩუნებისა და განვითარების საჭიროება, რისთვისაც მან ყურადღება უნდა გაამახვილოს *შესაბამისი ბაზრის სტრუქტურაზე და ფაქტობრივ და პოტენციურ კონკურენციაზე*, რომელიც როგორც ევროკავშირში მოქმედი ეკონომიკური აგენტებიდან, ასევე მის გარეთ არსებული ეკონომიკური აგენტებიდან შეიძლება მოდიოდეს;
- შესაბამისი ეკონომიკური აგენტების საბაზრო პოზიციები და მათი ეკონომიკური და ფინანსური ძალაუფლება, მიმწოდებლებისა და გამომყენებლებისათვის არსებული ალტერნატივები, მათი მიწოდებაზე და ბაზრებზე ხელმისაწვდომობა, ბაზარზე შესასვლელი რაიმე სამართლებრივი ან სხვა სახის ბარიერები, შესაბამისი საქონლისა და მომსახურების მიწოდებისა და მოთხოვნის ტენდენციები, შუალედური და საბოლოო მომხმარებლების ინტერესები, და ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესის განვითარება, იმის გათვალისწინებით, რომ იგი მომხმარებლისათვის სასარგებლოა და დაბრკოლებას არ უქმნის კონკურენციას.<sup>59</sup>

56 ევროკავშირის შერწყმის რეგულაცია #139/2004, მუხლი 1.

57 იხ. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი“ <<http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=141>> [20.02.2018].

58 Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings (the EC Merger Regulation) <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX%3A32004R0139>> [08.02.2018].

59 იქვე, მე-2 მუხლის პირველი პარაგრაფი.

116. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, კომისიამ უნდა დაადგინოს შეტყობინებული კონცენტრაცია მნიშვნელოვნად აფერხებს თუ არა ეფექტურ კონკურენციას ერთიან ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში. აღნიშნული რეგულაციის მეორე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების შესაბამისად, აკრძალულია ისეთი კონცენტრაციები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ ეფექტურ კონკურენციას ერთიან ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში. ამავ პუნქტების მიხედვით, განსაკუთრებით ისეთი კონცენტრაციები, რომლებიც აძლიერებენ ან ქმნიან დომინანტ პოზიციას, ერთიან ბაზართან შეუთავსებელია.

117. შესაბამისად, ევროკავშირში კონცენტრაციების ძირითადი შეფასების ტესტი არის ე.წ. SIEC, რაც ინგლისურად შემდეგნაირად ჟღერს: „Significant Impediment of Effective Competition“, ქართულად კი ნიშნავს: „ეფექტური კონკურენციის მნიშვნელოვნად შეფერხება“. ამდენად, ევროკავშირის მასშტაბით იკრძალება ისეთი კონცენტრაციები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ ეფექტურ კონკურენციას ერთიან ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში. კანონმდებელი აქვე მიუთითებს, რომ ისეთი კონცენტრაციები, რომლებიც ქმნიან ან აძლიერებენ დომინანტ პოზიციას, შეუთავსებელია ევროკავშირის ერთიან ბაზართან, რის გამოც ისინი აკრძალულ უნდა იქნეს.

118. კონცენტრაციების შეფასებისათვის გარკვეული სახის ტესტს ყველა ქვეყანა იყენებს, რომელსაც თანამედროვე კონკურენციის სამართლის ნორმები აქვს და კონცენტრაციების ეფექტურ კონტროლზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითისათვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში და გაერთიანებულ სამეფოში კონცენტრაციების შეფასებისათვის იყენებენ SLC (Substantially lessen competition) ტესტს, რაც ქართულად „კონკურენციის არსებითად შემცირებას“ ნიშნავს.

119. რაც შეეხება საქართველოში არსებულ ტესტს, ცოტა არ იყოს გაურკვეველი და ბუნდოვანია კანონმდებლის ჩანაწერი. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 და მე-5 პარაგრაფები შემდეგი შინაარსისაა:

„4. კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, თავსებადია ნორმალურ კონკურენტულ გარემოსთან.

5. კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, დაუშვებელია.“

120. აღნიშნული ორი პუნქტი შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირში არსებულ კონცენტრაციის შეფასების ძირითად ტესტთან წინააღმდეგობაში მოდის. პირველი პარაგრაფი ამბობს, რომ მთავარია ეფექტიანი კონკურენცია არ შეიზღუდოს კონცენტრაციის შედეგად, თუმცა დომინანტი პოზიციის შექმნა ან გაძლიერება დასაშვებია.

121. კონკურენციის სააგენტოს წერილობით მივმართე აღნიშნული ორი პუნქტის შინაარსის დასაზუსტებლად (კანონის მე-18 მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად). კონკურენციის ორგანომ თავის 2016 წლის 29 დეკემბრის #02/2264 წერილში განაცხადა, რომ „კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, თავსებადია ნორმალურ კონკურენტულ გარემოსთან“. აღნიშნული ნორმის დისპოზიციის გათვალისწინებით, კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიჩნეული კონცენტრაცია, რომელიც მართალია იწვევს ეკონომიკური აგენტის დომინირებულ მდგომარეობას, თუმცა არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას...“

122. ამავე წერილში სააგენტომ ასევე განაცხადა, რომ „მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის არსებობა არ არის განმსაზღვრელი კრიტერიუმი კონცენტრაციის შეტყობინების განხილვის თაობაზე დადებითი ან/და უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

123. ასეთი შინაარსის წერილის მიუხედავად, კონკურენციის სააგენტომ 2017 წლის 2 მაისს გამოქვეყნებულ გზამკვლევაში<sup>60</sup> აღნიშნავს, რომ „კანონით არ დაიშვება კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და იწვევს დომინირებული მდგომარეობის მოპოვებას ან გაძლიერებას (მუხლი 11.5)“. თუმცა, როგორც წერილში მართებულად აღინიშნა, კანონის 11.4 მუხლის შესაბამისად, შეიძლება დომინანტი პოზიცია ან მისი გაძლიერება გამოიწვიოს კონცენტრაციამ, მთავარია მან ეფექტური კონკურენცია არსებითად არ შეზღუდოს. შესაბამისად, გზამკვლევაში სააგენტომ არასწორად განმარტა კანონით აღნიშნული კონცენტრაციის ძირითადი შეფასების ტესტი.

124. შეტყობინებული კონცენტრაცია საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას და წინასწარ, საპროგნოზო შეფასებებს. არსებული გარემოებებიდან და მოსალოდნელი შერწყმის შედეგად უნდა დადგინდეს სავარაუდოდ რა კონკრეტული ეფექტები ექნება კონცენტრაციას ბაზარზე. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე C-413/06 P განაცხადა, რომ კომისიას მოეთხოვება მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმისათვის დამახასიათებელი იმ ეკონომიკური შედეგის შეფასების შესაბამისად, რაც სავარაუდოდ მოჰყვება კონცენტრაციას.<sup>61</sup>

125. კომისიამ უნდა შეადაროს შერწყმის შემთხვევაში არსებული კონკურენციის პერსპექტივები ისეთ სიტუაციას, რომელიც ამ შერწყმის გარეშე იქნებოდა ბაზარზე, ანუ ხდება ჰიპოთეტური შედარება. ამასთან, კომისიას კონცენტრაციის შეფასებისას შეუძლია მიიღოს მხედველობაში ბაზარზე გონივრულად მოსალოდნელი სამომავლო ცვლილებები.<sup>62</sup>

126. როგორც დომინანტის პოზიციის ბოროტად გამოყენების შემთხვევის შესწავლისას, ასევე შერწყმების შეფასებისას, პირველი ნაბიჯი უკავშირდება შესაბამისი პროდუქტისა და გეოგრაფიული ბაზრების დადგენას, რომლის შედეგადაც ხდება მოცემულ ეკონომიკურ აგენტებზე არსებული კონკურენტული წნეხების დადგენა.<sup>63</sup> კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები ვალდებული არიან თავიანთ შეტყობინებაში იდენტიფიცირება მოახდინონ ყველა ე.წ. „გავლენის ქვეშ მოქცეული“ ბაზრისა. ასეთ ბაზრებად კი ჰორიზონტალური შერწყმების დროს მოიაზრება ის შესაბამისი ბაზრები, რომელზეც კონცენტრაციის ორ ან მეტ მხარეს აქვს ერთობლივი წილი 20 ან მეტი პროცენტი; ვერტიკალური კონცენტრაციების დროს კი მხარეების ინდივიდუალური ან კომბინირებული წილი 30 პროცენტზე მეტია ბაზრის ერთ ან მეტ დონეზე.

60 „ეკონომიკური აგენტების ძირითადი ვალდებულებების თაობაზე სარეკომენდაციო ხასიათის გზამკვლევი“, <<http://competition.ge/ge/page4.php?b=569>>, 26 გვ.

61 Richard Whish & David Bailey, *Competition Law*, 8<sup>th</sup> edit., 2015 Oxford University Press, 906.

62 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი (*Guidelines on the assessment of horizontal mergers under the Council Regulation on the control of concentrations between undertakings*), <[http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52004XC0205\(02\)](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52004XC0205(02))> [13.02.2018], §9.

63 შესაბამისი ბაზრის დადგენაზე უფრო დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სტატიაში „დომინანტობა და მისი კრიტერიუმები“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2017 წლის #1, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2017w-n1.pdf>>, 132-152 გვ.

## 6.6. კონცენტრაციის შეფასებისას განსახილველი საკითხები

127. კომისიის ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი გვამდევს იმ საკითხების ჩამონათვალს, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს კონკურენციის ორგანომ კონცენტრაციების შესწავლისას. ეს საკითხებია:

**პირველი, საბაზრო წილები და ბაზარზე კონცენტრაციის დონე** – ორივე საკითხი გვამდევს სასარგებლო ინფორმაციას ბაზრის სტრუქტურისა და კონცენტრაციის მხარეებსა და მათ კონკურენტებს შორის კონკურენციის შესახებ.

კომისია მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილებს და მათ ცვლილებას ფირმების ბაზრიდან გასვლის, ბაზარზე შესვლის ან გაფართოების შემთხვევაში. ისეთ მრეწველობის დარგში სადაც დიდი მოცულობის შეკვეთებს აქვს ხოლმე ადგილი, წილების შესწავლისას ისტორიულ მონაცემებში ჩახედვაც საჭიროა. როგორც წესი, შესაბამის ბაზარზე 50 ან მეტი პროცენტის წილის ფლობა დომინანტი პოზიციის მაჩვენებელია. პრეცედენტულ სამართალში თუ ჩავიხედავთ, 40-დან 50 პროცენტამდე საბაზრო წილის ფლობა ითვლება დომინანტ პოზიციად, ზოგიერთ შემთხვევაში კი, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, 40 პროცენტზე ნაკლები საბაზრო წილის ფლობაც დომინანტ პოზიციად მიუჩნევა ევროკომისიას.<sup>64</sup> ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევის შესაბამისად, ე.წ. „უსაფრთხო თავშესაფარი“ არსებობს იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 25 პროცენტს.<sup>65</sup>

ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევის შესაბამისად, ბაზარზე კონცენტრაციის მთლიანი დონე სასარგებლო ინფორმაციას გვამდევს მასზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე. დოკუმენტი ამ საკითხის გასარკვევად გვთავაზობს ჰერფინდალ ჰერშმანის ინდექსს (HHI). კომისიის აზრით, თუ კონცენტრაციის შედეგად HHI 1,000-ზე ნაკლებია, მაშინ კონკურენციის მხრივ ნაკლებად სავარაუდოა პრობლემები. ასევე ნაკლებად სავარაუდოა უარყოფითი შედეგები მაშინ, როდესაც შერწყმის შემდეგ HHI 1,000-დან 2,000-მდე მერყეობს, დელტა კი 250-ზე ნაკლებია, ან HHI არის 2,000-ზე მაღალი და დელტა კი 150-ზე დაბალი.

ჰერფინდალ-ჰერშმანის ინდექსი (ჰჰი) გამოიყენება ბაზარზე კონცენტრაციის შესაფასებლად რათა მოხდეს ბაზრის კონკურენტულობის განსაზღვრა. ამ ინდექსის გამოყენების დროს ხდება ბაზარზე თითოეული კონკურენტული ფირმის საბაზრო წილის კვადრატში აყვანა და მათი შეჯამება. ინდექსი შეიძლება მერყეობდეს 10000-მდე. მაგალითისათვის, თუ ბაზარზე სამი მოთამაშეა და მათი საბაზრო წილები კი შემდეგნაირად გამოიყურება: 30%, 30% და 40%, ინდექსის დაანგარიშება შემდეგნაირად ხდება:  $30^2+30^2+40^2=3400$ . შესაბამისად, ამ შემთხვევაში ინდექსი 3400 უტოლდება. თუ ბაზარზე ოთხი მოთამაშეა 10, 30, 30 და 30 საბაზრო წილებით, ამ ბაზარზე ჰჰი იქნება  $10^2+30^2+30^2+30^2=2900$ . თუ ბაზარზე ერთი მოთამაშეა ჰჰი იქნება  $100^2=10,000$ .

დელტა წარმოადგენს კონცენტრაციის შედეგად ცვლილებას ჰჰი-ში. მაგალითად, თუ ბაზარზე ოთხი მოთამაშე იყო (ჰჰი კი 2900) და კონცენტრაციის შედეგად ბაზარზე სამი მოთამაშე რჩება, ჰჰი 3400-მდე იზრდება. შესაბამისად, დელტა კი 500 იქნება.

საქართველოში ჰერფინდალ ჰერშმანის შედარებით მაღალი ინდექსებია მოცემული 2014 წელს დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებებით“. კერძოდ, ამ დოკუმენტის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაბალკონცენტრირებულ ბაზრად ითვლება ისეთი ბაზარი, რომელშიც HHI არ აღემატება 1250 ერთეულს, ზომიერად კონცენტრირებულის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი კი 1250-დან 2250-მდე

64 Richard Whish & David Bailey, *Competition Law*, 8<sup>th</sup> edit., 2015 Oxford University Press, 914.

65 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §18.



მერყეობს, მაღალკონცენტრირებული კი ისეთი ბაზარია, რომელზეც HHI აღემატება 2250-ს. მეთოდური მითითებების მე-20 მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით კი, თუ ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის შედეგად HHI 1250-დან 2250-მდეა და მისი ცვლილება არ აღემატება 250-ს ან HHI მეტია 2250-ზე და მისი ცვლილება ნაკლებია 150-ზე, მაშინ ასეთი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას<sup>66</sup>.

ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევის მიხედვით, HHI-ის ამ მონაცემებს ყურადღება არ ექცევა თუ არსებობს შემდეგი სახის გამონაკლისები:

- შერწყმა მოიცავს პოტენციურ შემომსვლელს ან ბაზარზე ახალ შემოსულ ეკონომიკურ აგენტს, რომელსაც პატარა საბაზრო წილი აქვს;
- კონცენტრაციის ერთი ან მეტი მონაწილე მხარე მნიშვნელოვანი ინოვაციორები არიან, თუმცა საბაზრო წილებში ეს არ აისახება;
- ბაზრის მოთამაშეებს შორის მნიშვნელოვან ჯვარედინი აქციების ფლობას აქვს ადგილი;
- შერწყმის ერთ-ერთი მხარე ე.წ. „მავერიკი“ ფირმაა,<sup>67</sup> რომელიც დიდი ალბათობით ბაზარზე კოორდინირებული ქმედებას ძირს უთხრის;
- წარსულში ადგილი ჰქონდა ან ეხლა არსებობს კოორდინაცია ან ხელშემწყობი პრაქტიკა;
- კონცენტრაციაში მონაწილე ერთი ან მეტი ეკონომიკური აგენტის კონცენტრაციამდე არსებული საბაზრო წილი 50 პროცენტი ან მეტია.<sup>68</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული გამონაკლისები „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-20 მუხლის მესამე პუნქტშია მოცემული, რომლის მიხედვითაც სააგენტოს შეუძლია კონცენტრაციების შესწავლისას მხედველობაში მიიღოს ასევე „სხვა ისეთი მოცემულობა ბაზარზე, რომლის არსებობა მიუხედავად საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა წილების მაჩვენებლებისა, მიუთითებს იმაზე, რომ კონცენტრაცია შეიძლება იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას“.

**მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც უნდა შეფასდეს ჰორიზონტალური შერწყმების შემთხვევაში, არის მათი შესაძლო ანტიკონკურენციული ეფექტები ბაზარზე.** ევროკომისიის „ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევის“ 22-63 პარაგრაფები ჰორიზონტალური შერწყმების ეფექტების შეფასებას ეხება. ჰორიზონტალური შერწყმის უარყოფითი შედეგები ბაზარზე ძირითადად შეიძლება იყოს ორი სახის: პირველი, ეს არის არაკოორდინირებული ეფექტები, მეორე კი – კოორდინირებული ეფექტები. კომისიის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არაკოორდინირებულ ეფექტებს და ხშირად სწორედ ამ ეფექტების მიზეზით ხდება შეტყობინებული კონცენტრაციების მეორე საფეხურზე სიღრმისეული შესწავლა და კონცენტრაციების აკრძალვა.

ცალმხრივი ანუ არაკოორდინირებული ეფექტი მიუთითებს ისეთ სიტუაციაზე, როდესაც ჰორიზონტალური შერწყმა ეფექტურ კონკურენციას მნიშვნელოვნად დაამახინჯებს ეფექტური კონკურენტული წნეხის აღმოფხვრით, რაც საბოლოოდ საბაზრო ძალაუფლების გაძლიერებით მთავრდება. გაერთიანებულ ფირმას შეუძლია მომგებიანად განახორციელოს ფასის ზრდა სხვა კონკურენტებთან თანამშრომლობის საჭიროების გარეშე.

რაც შეეხება კოორდინირებულ ეფექტებს, ასეთ ეფექტებს მაშინ აქვს ადგილი,

66 ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები <<http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138>> [27.02.2018].

67 მავერიკ ფირმას უწოდებენ ეკონომიკურ აგენტს, რომელიც მიუხედავად საბაზრო წილის შედარებით მცირე ოდენობისა, ბაზარზე კონკურენტული ფასით გამოირჩევა და გაბატონებულ ფირმას ან შეთანხმებულად მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს კონკურენციას უწევს.

68 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §20.

როდესაც შერწყმის შედეგად ბაზარზე იცვლება კონკურენციის ბუნება და ფირმებს უფრო შეუძლიათ კოორდინირება. მაგალითად, მცირდება ბაზარზე მოთამაშეების რაოდენობა, რაც უფრო ხელსაყრელს ხდის ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინირებულ ქმედებას.

128. ჰორიზონტალური შერწყმის შედეგად შეიძლება ეკონომიკური, აგენტზე არსებული მნიშვნელოვანი კონკურენტული წნეხის მოცილება ხდებოდეს, რის შედეგადაც გაერთიანებული ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლება ძლიერდება, ეს კი მას ფასის მნიშვნელოვანი ზრდის საშუალებას აძლევს. ასეთი შედეგი ბაზარზე ზოგადად მაშინ არის მოსალოდნელი, როდესაც შერწყმის შედეგად დომინანტი პოზიციის მოპოვება ან გაძლიერება ხდება და გაერთიანებულ ფირმას თავის უშუალო კონკურენტთან შედარებით უფრო დიდი საბაზრო წილი აქვს. გზამკვლევის 25-ე პარაგრაფი ასევე მიუთითებს არაკოლუზიურ ოლიგოპოლიურ ბაზარზეც რომლის შემთხვევაშიც შერწყმის შედეგად დარჩენილ ფირმებს შეუძლიათ საბაზრო ძალაუფლება გამოიყენონ და შესაბამისად გაზარდონ ფასიც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მცირე ალბათობა არსებობს მათ შორის კოორდინაციისა და ისინი ინდივიდუალურად ბაზარზე დომინანტებიც კი არ არიან.

გზამკვლევის 26-ე პარაგრაფი აღნიშნავს, რომ განხილულ უნდა იქნეს სხვადასხვა ფაქტორი არაკოორდინირებული ეფექტების დადგენისა და შეფასებისათვის. ესენია:

- **კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების დიდი საბაზრო წილი** – რაც უფრო დიდი მათი საბაზრო ძალაუფლება, მით უფრო დიდი ალბათობა არსებობს ეფექტური კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა;<sup>69</sup>
- **შერწყმის მხარეები უშუალო კონკურენტები არიან** – რაც უფრო დიდია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების პროდუქტების ჩანაცვლებადობის ხარისხი, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ შერწყმას ეფექტური კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვის შედეგი ექნება;<sup>70</sup>
- **შერწყმის მხარეების კლიენტებს სხვა მომწოდებლებზე გადართვის შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ;**<sup>71</sup>
- **კონკურენტები სავარაუდოდ არ ან ვერ გაზრდიან მიწოდებას თუ ფასი მოიმატებს** – ამ შემთხვევაში, კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს ექნებათ სტიმული წარმოების შემცირების იმაზე ნაკლებ დონეზე, ვიდრე ეს იყო შერწყმამდე, რის შედეგადაც ფასი მოიმატებს;<sup>72</sup>
- **შერწყმის მხარეებს შეეძლებათ ხელი შეუშალონ კონკურენტებს გაფართოებაში ან ბაზარზე შემოსვლაში** – მაგალითად, თუ ისინი აკონტროლებენ ძირითად ნედლეულს, პატენტს ან სხვა სახის ინტელექტუალურ საკუთრებას, რაც გაართულებს კონკურენტების შემოსვლას ან გაფართოებას ბაზარზე;<sup>73</sup>
- **შერწყმა სპობს მნიშვნელოვან კონკურენტულ ძალას** – მაგალითად, თუ შერწყმა მოიცავს ისეთ ფირმას, რომელიც ბაზარზე ახალი შემოსულია და სამომავლოდ შეუძლია მნიშვნელოვანი კონკურენტული წნეხის განხორციელება ბაზარზე მოქმედ ფირმებზე. იგივე შეიძლება ითქვას განსაკუთრებულად ინოვაციურ ფირმაზე.<sup>74</sup>

129. რაც შეეხება კოორდინირებულ ეფექტებს, ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევის 39-ე პარაგრაფი ამბობს, რომ ზოგიერთი ბაზრის სტრუქტურა შეიძლება იყოს ისეთი, რომ ეკონომიკური აგენტებს მიაჩნდეთ შესაძლებლად, ეკონომიკურად

69 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §27.

70 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §28-30.

71 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §31.

72 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §32-35.

73 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §36.

74 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §37.

რაციონალურად და, შესაბამისად, უპირატესობა მიანიჭონ მოქმედების მყარ სტრატეგიას, რომელიც ფასების მატებას ითვალისწინებს. ზოგიერთმა შერწყმამ შეიძლება გამოიწვიოს ეფექტური კონკურენციის მნიშვნელოვანი შეფერხება, იქიდან გამომდინარე, რომ მან შეიძლება გაზარდოს შეთანხმების გარეშე კოორდინირებულად მოქმედების ალბათობა.<sup>75</sup>

130. გზამკვლევის 41-ე პარაგრაფის მიხედვით, კოორდინაციას უფრო შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც მარტივია კოორდინაციის პირობებზე საერთო გაგების მიღწევა. პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე აუცილებელია სამი პირობის არსებობა იმისთვის, რომ კოორდინაცია მდგრადი იყოს:

- კოორდინაციაში მყოფი პირებისათვის უნდა იყოს შესაძლებელი მოახდინონ კოორდინაციის პირობების შესრულების მონიტორინგი;
- უნდა არსებობდეს სანდო შემაკავებელი მექანიზმი იმისთვის, რომ კოორდინირებულმა ფირმებმა იმოქმედონ შეთანხმებულად და ეს კოორდინაცია სტაბილური იყოს. ეკონომიკურ აგენტებს ხშირად აქვთ შეთანხმებული პირობებიდან გადახვევის სურვილი, რაც მათ მოგების გაზრდის შესაძლებლობას მისცემს. მაგალითად, კლიენტებისათვის დროებითი ფასდაკლებების შეთავაზების მეშვეობით. ამ სურვილის შესაკავებლად კი მნიშვნელოვან როლს თამაშობს შეთანხმების პირობების დამრღვევზე შურისძიება;
- გარეშე პირებს არ უნდა შეეძლოთ იმ შედეგებისათვის საფრთხის შექმნა, რომლებსაც კოორდინაციაში მყოფი პირები მოელიან, შესაბამისად კოორდინაცია გარედანაც უნდა იყოს სტაბილური.<sup>76</sup>

131. გზამკვლევი კოორდინირებულ ეფექტებს ვრცლად განიხილავს 39-57 პარაგრაფებში. ის აღნიშნავს, რომ ბაზარზე კოორდინაციაში შესვლას შეიძლება ხელი შეუწყოს მოთამაშეების რაოდენობის შემცირებამ, ასევე „მავერიკი“ ფირმის მოცილებამ. შერწყმის შემდეგ კოორდინაციის სავარაუდო არსებობის დადგენისათვის ასევე მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, არსებობდა თუ არა წარსულში კოორდინაციის სამხილები, ან არის თუ არა მსგავს ბაზრებზე კოორდინაციის მტკიცებულებები.<sup>77</sup>

132. კომისიის აზრით, **კოორდინაციის თაობაზე შეთანხმება** მაშინ არის უფრო მარტივი, როდესაც ფირმებს გააჩნიათ ერთიანი მიდგომა კოორდინაციის პირობებისადმი. მნიშვნელოვანია შევისწავლოთ შემდეგი გარემოებები იმისათვის, რომ დავადგინოთ ფირმებს მარტივად შეეძლებათ თუ არა კოორდინაციის პირობებზე შეთანხმების მიღწევა:

- ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილურია თუ არა – სტაბილურ ბაზარზე უფრო მარტივია კოორდინირებული მოქმედება, ვიდრე არასტაბილურზე;
- რამდენი ფირმაა ბაზარზე – რაც უფრო მცირეა ფირმების რაოდენობა ბაზარზე, მით უფრო მარტივია შეთანხმებული მოქმედება;
- პროდუქცია ჰომოგენურია თუ კომპლექსური – მსგავსი პროდუქტების მწარმოებლებს შორის უფრო მარტივია თანამშრომლობა, ვიდრე დიფერენცირებული ან კომპლექსური პროდუქტების მწარმოებლებს შორის;
- ფასი და მოთხოვნის პირობა სტაბილურია თუ მუდმივად ცვლადი – ცვლად ბაზარზე შეთანხმებული მოქმედება უფრო რთულია, ვიდრე სტაბილურ ბაზარზე;
- ბაზარზე ინოვაციურობა შეინიშნება თუ არა – ინოვატორ ფირმებს შორის შეთანხმებული მოქმედება ნაკლებად შესაძლებელია;
- თუ კლიენტებს აქვთ მარტივი მახასიათებლები, ბაზრების განაწილება მარტივი

75 Richard Whish & David Bailey, Competition Law, 8<sup>th</sup> edit., 2015 Oxford University Press, 917.

76 გენერალური სასამართლოს საქმე T-342/99, <<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?jsessionid=9ea7d-2dc30dd427fad4fa08447ce8862d499619ca47d.e34KaxiLc3qMb40Rch0SaxyNb3j0?text=&docid=47383&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=108055>> [2002], §62.

77 Richard Whish & David Bailey, Competition Law, 8<sup>th</sup> edit., 2015 Oxford University Press, 917.

იქნება. კლიენტების მიხედვით ბაზრების განაწილება შეიძლება მოხდეს გეოგრაფიულად, კლიენტების ტიპების ან რომელიმე კონკრეტული ფირმის ერთგული კლიენტების მიხედვით;

- ბაზარი ხელოვნურად გამჭვირვალეა თუ არა. მაგალითად, ეკონომიკურ აგენტებს შორის ხდება კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელება ან/და გაცვლა. გამჭვირვალე ბაზარზე ფასის კოორდინაცია უფრო მარტივია;
- ფირმები სიმეტრიულები არიან თუ არა ხარჯების სტრუქტურის, ბაზრის წილების, წარმოების მოცულობისა და ვერტიკალური ინტეგრაციის თვალსაზრისით – კოორდინაცია უფრო მარტივია, როდესაც ფირმები სიმეტრიულები არიან. მაგალითად, თუ ფირმებს აქვთ მსგავსი წარმოების ხარჯები, ისინი უფრო მარტივად თანხმდებიან ფასზე.<sup>78</sup>

### 6.6.1. მყიდველის შემაკავებელი ძალაუფლება

133. მწარმოებელზე და გამყიდველზე კონკურენტული წნეხი არამარტო მისი კონკურენტებიდან შეიძლება მომდინარეობდეს, არამედ ასევე მისი კლიენტებისაგანაც, თუ ამ უკანასკნელს აქვს შემაკავებელი ძალაუფლება, რაც მოიცავს მის ძლიერ სავაჭრო პოზიციას, კონკრეტულად კი მისი სიდიდიდან, კომერციული მნიშვნელობიდან და უნარიდან გადაერთოს ალტერნატიულ მომწოდებელზე. კომისიის აზრით, დიდ და გამოცდილ კომპანიას მყისიერად შეუძლია გადაერთოს სხვა მომწოდებელზე, მოახდინოს ვერტიკალური ინტეგრაცია (ე.ი. თავისი შვილობილი კომპანიის მიერ მოახდინოს საქონლის მიწოდება) ან დააფინანსოს ბაზარზე ახალი კომპანიის შემოსვლა ან არსებული კომპანიის გაფართოება. ასეთ შემთხვევებში დიდ კომპანიას შეუძლია მნიშვნელოვანი კონკურენტული წნეხი განახორციელოს მიმწოდებელზე, ვიდრე ამ უკანასკნელის პატარა კონკურენტ ფირმებს ფრანგმენტულ ბაზარზე.<sup>79</sup>

134. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიდმა კომპანიებმა მხოლოდ თავისთვის არ უნდა გაიუმჯობესონ კონკურენტული გარემო. მათ ბაზარზე მარტო თავიანთი თავი ან განსაკუთრებული სეგმენტის კლიენტები არ უნდა დაიცვან ძალიან მაღალი ფასებისაგან ან შერწყმის შედეგად გაუარესებული საბაზრო პირობებისაგან.<sup>80</sup>

### 6.6.2. ბაზარზე შესვლა

135. კომისიის აზრით, თუ ბაზარზე შესვლა საკმარისად ადვილია, კონცენტრაციას შეიძლება არ ჰქონდეს ეფექტური კონკურენციის მნიშვნელოვანი შეფერხების შედეგი. შესვლას რომ ჰქონდეს საკმარისი შემაკავებელი ეფექტი, ის უნდა იყოს შესაძლებელი, დროულად და საკმარისი ხარისხით უნდა განხორციელდეს.<sup>81</sup>

136. ბაზარზე შესვლის ალბათობა დამოკიდებულია სხვადასხვა ბარიერზე, რომელიც შეიძლება იყოს:

- სამართლებრივი უპირატესობა, რომელიც მაგალითად გამოიხატება სამართლებრივ ნორმებში, რომელიც შეიძლება ზღუდავდეს ბაზარზე მოთამაშეების რაოდენობას, ან შეიძლება იყოს ტარიფი და არასატარიფო სავაჭრო ბარიერები;
- ტექნიკური უპირატესობა, როგორცაა არსებით ობიექტებზე, ბუნებრივი რესურსებზე, კვლევაზე და განვითარებაზე და ინტელექტუალურ საკუთრებაზე პრივილეგირებული წვდომა, რაც სხვა ფირმებისათვის წარმატებით კონკურენციის განხორციელებას ართულებს;

78 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევის §44-48.

79 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §64-66.

80 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §67.

81 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §68-70.

- ბაზარზე დაფუძნებული/გაბატონებული (incumbancy) კომპანიის უპირატესობა, როგორცაა ბრენდის ლოიალურობა, ჩამოყალიბებული ურთიერთობა კლიენტებთან და სხვა რეპუტაციული უპირატესობები. ასევე ასეთი ფირმის მიერ შექმნილი დიდი მოცულობის საწარმოო უნარი.<sup>82</sup>

137. დროულ შესვლაში კომისია გულისხმობს ბაზარზე 2 წლის მანძილზე კონკურენტი პროდუქციის ბაზარზე შეტანას.<sup>83</sup> საკმარისი ხარისხით ბაზარზე შესვლაში კი კომისიამ განაცხადა, რომ მხოლოდ ისეთი შესვლა მოიაზრება, რომელიც საკმარისი მოცულობისა და სიდიდისაა იმისთვის, რომ შერწყმის შედეგად გამოწვეული ანტიკონკურენციული ეფექტები შეაკავოს ან აღმოფხვრას. პატარა მოცულობის საქონლის შეტანა საკმარისი ხარისხით შესვლად ვერ დაკვალიფიცირდება.<sup>84</sup>

### 6.6.3. ეფექტურობები

138. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა კონკრეტული ეფექტურობებია მოსალოდნელი შეტყობინებული კონცენტრაციის შედეგად. აუცილებელია, რომ მოსალოდნელი ეფექტები ისეთი მოცულობის და ხარისხის იყოს, რომ მან გადაწონოს კონკურენციით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. კომისია ვალდებულია მხედველობაში მიიღოს კონცენტრაციის მხარეების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული და სავარაუდო ეფექტურობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, კომისიას უჭირს მხედველობაში მიიღოს რაიმე სახის ეფექტურობა, თუ შერწყმას შედეგად ეფექტური კონკურენციის მნიშვნელოვანი შეფერხებაა მოსალოდნელი.<sup>85</sup>

139. ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევის შესაბამისად, კონცენტრაციის შედეგად დამდგარი ეფექტურობა უნდა იყოს მომხმარებლისათვის სარგებლის მომტანი, შერწყმის სპეციფიკური და შემოწმებადი/დამტკიცებული.<sup>86</sup>

140. ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევის მიხედვით, ეფექტურობა უნდა იყოს შესამჩნევი, დროული, მომხმარებლისათვის სარგებლის მომტანი და ისეთი რომ მან ბაზარზე უარყოფითი შედეგების გადაწონვა მოახერხოს. ეფექტურობა შეიძლება წარმოების ან დისტრიბუციის ხარჯების შემცირებაში, მომხმარებლისათვის უფრო დაბალი ფასის შეთავაზებაში გამოიხატოს. ხარჯების ეფექტურობას, რაც იწვევს ცვლადი ან მარგინალური ხარჯების შემცირებას, უფრო დიდი ყურადღება ექცევა კონკურენციის ორგანოების მხრიდან, ვიდრე ფიქსირებული ხარჯების შემცირებას. კომისიის აზრით, ცვლადი და მარგინალური ხარჯების შემცირებით უფრო შესაძლებელია მომხმარებლისათვის საბოლოო ფასის შემცირება. ამასთან, ხარჯების შემცირება, რაც გამომდინარეობს წარმოების ანტიკონკურენციული შემცირებიდან, ვერ იქნება ეფექტურობად შეფასებული. ახალი და გაუმჯობესებული პროდუქცია ან მომსახურება შეიძლება ასევე ეფექტურობად განვიხილოთ.<sup>87</sup>

141. ეფექტურობა უნდა იყოს შეტყობინებული შერწყმის სპეციფიკური, რაც იმას ნიშნავს, რომ ის უნდა გამომდინარეობდეს შეტყობინებული კონცენტრაციიდან და მისი შედეგების მიღება სხვა უფრო ნაკლებად კონკურენციის შემზღვეველი ალტერნატივით შეუძლებელი უნდა იყოს.<sup>88</sup>

142. ეფექტურობა უნდა იყოს შემოწმებადი, რაც იმას ნიშნავს, რომ კომისია

82 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §71.

83 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §74.

84 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §75.

85 Richard Whish & David Bailey, *Competition Law*, 8<sup>th</sup> edit., 2015 Oxford University Press, 920-921.

86 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §78.

87 Ioannis Lianos & Damien Geradin, *Handbook on European Competition Law, Substantive Aspects*, Edward Elgar, 2013, 541.

88 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §85.

უნდა გონივრულად იყოს დარწმუნებული წარმოდგენილი ეფექტურობების მატერიალიზაციაში/განხორციელებაში. კონცენტრაციის მხარეებს აკისრიათ ვალდებულება წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია იმისათვის, რომ მოახდინონ იმის დემონსტრაცია, რომ ეფექტურობები შერწყმის სპეციფიკურია და სავარაუდოდ რეალიზებადი.<sup>89</sup>

143. ზოგადად შერწყმის შედეგად ხდება კომპანიის გაზრდა, რაც მას საშუალებას აძლევს სხვადასხვა სარგებელი მიიღოს. ეს სარგებელი შეიძლება იყოს ეკონომია, განპირობებული წარმოების მასშტაბების გაზრდით ან სხვადასხვა პროდუქციის წარმოებით, ინფორმაციაზე, ლიცენზიაზე, პატენტზე და უფრო დიდი რაოდენობის კლიენტებზე წვდომა.<sup>90</sup>

#### **6.6.4. „წარუმატებელი ფირმის“ შერწყმის გამართლება**

144. ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევის 89-ე პარაგრაფის მიხედვით, კომისიას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ სხვა მხრივ პრობლემური შერწყმა შეიძლება მაინც თავსებადი იყოს შიდა ბაზართან, როდესაც მისი მხარეებიდან ერთ-ერთი წარმოადგენს წარუმატებულ ფირმას. თუმცა, ამ შერწყმამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი გარემოებები:

- სავარაუდოდ წარუმატებელი ფირმა იძულებული იქნება გავიდეს ბაზრიდან ფინანსური სიძნელებიდან გამომდინარე თუ სხვა კომპანია არ შეიძენს მას;
- სხვა უფრო ნაკლებად ანტიკონკურენციული ალტერნატივა შეტყობინებული კონტრაციასთან შედარებით არ არსებობს;
- შერწყმის გარეშე წარუმატებელი ფირმის ქონება აუცილებლად დატოვებს ბაზარს.<sup>91</sup>

145. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს ე.წ. „წარუმატებელი ფირმის“ შესახებ დებულებას. კერძოდ, კანონის 11<sup>2</sup> მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, თუ კონცენტრაცია გადახდისუუნარობის შედეგია ან კონცენტრაციაში მონაწილე ფირმა ლიკვიდაციის პროცესშია, მათ არ ეკისრებათ ამ კონცენტრაციის კონკურენციის სააგენტოსათვის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონტროლს მოიპოვებს კონკურენტი საწარმო ან ის ჯგუფი, რომელსაც ვალაუვალი საწარმოს კონკურენტები მიეკუთვნებიან.

#### **6.6.5. არაჰორიზონტალური შერწყმები**

146. არაჰორიზონტალური შერწყმების დროს კომისია ასევე სწავლობს ვერტიკალურ და კონგლომერატულ ეფექტებს. მისი განსაკუთრებული ყურადღება ფოკუსირებულია ბაზრის დახურვის ეფექტზე და მდუმარე კოორდინაციის შესაძლებლობაზე.

147. კომისიამ 2007 წელს გამოაქვეყნა არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, რომელიც სასარგებლო ინფორმაციის შეიცავს იმ ეკონომიკური აგენტების გაერთიანებაზე, რომლებიც აქტიურები არიან სხვადასხვა რელევანტურ ბაზარზე. დოკუმენტის მიხედვით, არაჰორიზონტალური შერწყმები უფრო ნაკლებად იწვევს ეფექტური კონკურენციის მნიშვნელოვან შეფერხებას ვიდრე ჰორიზონტალური კონცენტრაციები.<sup>92</sup> პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ არა-ჰორიზონტალური

89 ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §86-88.

90 Ariel Ezrachi, EU Competition Law, An Analytical Guide to the Leading Cases, Oxford and Portland Oregon, 5<sup>th</sup> Ed., 2016, 406.

91 Ariel Ezrachi, EU Competition Law, An Analytical Guide to the Leading Cases, Oxford and Portland Oregon, 5<sup>th</sup> Ed., 2016, 407.

92 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი (Guidelines on the assessment of non-horizontal mergers under the Council Regulation on the control of concentrations between undertakings) <[http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52004XC0205\(02\)](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52004XC0205(02))> §12 [15.02.2018].

შერწყმები უშუალო კონკურენციის აღმოფხვრას არ იწვევს, რადგან მხარეები სხვადასხვა შესაბამის ბაზარზე ოპერირებენ.<sup>93</sup> მეორე რიგში კი, ასეთ შერწყმებს შეუძლია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მოცულობის ეფექტურობები. მაგალითად, დამატებითი აქტივობების ინტეგრირებით შეიძლება ფასის შემცირება და წარმოების გაზრდა,<sup>94</sup> ან უფრო ფართო პროდუქტების პორტფელის შეთავაზება მოახდინოს მომხმარებლისათვის, ეს კი მათთვის სასარგებლო იქნება რადგან ე.წ. „ერთი-გაჩერება-შოპინგის“ საშუალება ექნებათ.<sup>95</sup> გარდა ამისა, დამატებითი პროდუქტების წარმოებით გაერთიანებულმა ფირმამ შეიძლება სხვა სახის ეფექტურობებიც გამოიწვიოს. მაგალითად, ორმაგი მარჟის ინტერნალიზაციამ შეიძლება საშუალება მისცეს ფირმას წარმოება და გაყიდვები გაზარდოს ქვედა მიმართულების ბაზარზე; წარმოებისა და დისტრიბუციის უკეთესმა კოორდინაციამ შეიძლება გამოიწვიოს ინვენტარის ხარჯების შემცირება; და ახალი პროდუქტების, წარმოების პროცესში და მარკეტინგში ინვესტირების სტიმული შექმნას.<sup>96</sup>

148. თუმცა, არაჰორიზონტალური შერწყმების დადებითი ეფექტების მიუხედავად, მათ შეიძლება კონკურენციას ზიანი მიაყენონ. კერძოდ, ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც ისინი გაერთიანებული ფირმისა და მისი კონკურენტების უნარსა და სტიმულს ცვლიან ისე, რომ მომხმარებლისათვის ზიანის მიყენება შეიძლება გამოიწვიონ.<sup>97</sup> კომისიის აზრით, ჰორიზონტალური შერწყმების მსგავსად საჭიროა არაჰორიზონტალური შერწყმების შემოწმება შესაძლო არაკოორდინირებული და კოორდინირებული ეფექტების მხრივ.<sup>98</sup> არაკოორდინირებულ ეფექტებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც შერწყმა იწვევს კონკურენტების ბაზრიდან გაძევებას;<sup>99</sup> კოორდინირებულ ეფექტებს კი – მაშინ, როდესაც შერწყმა შესაძლებელს ხდის ან აადვილებს ფირმების კოორდინირებულ მოქმედებას.<sup>100</sup> კომისიამ შეფასებისას მხედველობაში უნდა მიიღოს ასევე შერწყმის მოსალოდნელი ეფექტურობები.<sup>101</sup>

#### 6.6.6. საბაზრო წილი და კონცენტრაციის დონე

149. კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილებს და ბაზარზე კონცენტრაციის დონეს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არა-ჰორიზონტალური შერწყმების დროსაც. კომისიის აზრით, კონკურენციის მხრივ პრობლემები ნაკლებად სავარაუდოა იმ შემთხვევაში, როდესაც შერწყმის შემდეგ გაერთიანებული ფირმის საბაზრო წილი 30 პროცენტზე ნაკლები იქნება, ხოლო HHI კი 2000-ზე ნაკლებია.<sup>102</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ 21-ე მუხლის შესაბამისად კი საბაზრო წილის ოდენობა იგივეა, თუმცა HHI 2250-ზე ნაკლები უნდა იყოს.

#### 6.6.7. ვერტიკალური შერწყმები

150. ვერტიკალურ შერწყმას შეიძლება ახასიათებდეს არაკოორდინირებული ეფექტები, კერძოდ კი კონკურენტებისათვის ბაზრის დახურვა. არა-ჰორიზონტალური

93 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §12.

94 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §13.

95 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §14.

96 Ioannis Lianos & Damien Geradin, Handbook on European Competition Law, Substantive Aspects, Edward Elgar, 2013, 542.

97 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §15.

98 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §17.

99 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §18.

100 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §19.

101 Richard Whish & David Bailey, Competition Law, 8<sup>th</sup> edit., 2015 Oxford University Press, 923.

102 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §25.

შერწყმების შეფასების გზამკვლევი განასხვავებს ნედლეულის ბაზრის დაკეტვას და კლიენტების ბაზრის დახურვას.<sup>103</sup>

151. ნედლეულის ბაზრის დახურვა ხდება მაშინ, როდესაც გაერთიანებული ფირმა სავარაუდოდ შეზღუდავს პროდუქტებსა ან მომსახურებაზე კონკურენტების წვდომას ქვედა მიმართულების ბაზარზე, რის შედეგადაც მათ ხარჯების გაზრდა მოუწევთ და კონკურენციაში შესვლაც გაუძნელდებათ. გზამკვლევის მიხედვით, არ არის აუცილებელი იმის ჩვენება, რომ რომელიმე კონკურენტი ბაზრიდან იქნება გამევეებული, საკმარისია მხოლოდ იმის ჩვენება, რომ ნედლეულის მაღალი ხარჯი მომხმარებლებისათვის გაზრდილ ფასს გამოიწვევს.<sup>104</sup>

### 6.6.8. კოორდინირებული ეფექტები

152. არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი 79-90 პარაგრაფებში განიხილავს თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი არაჰორიზონტალურმა შერწყმამ გამოიწვიოს კოორდინირებული მოქმედება. ამ საკითხის შესასაწავლად მნიშვნელოვანია ჰორიზონტალური შერწყმების მსგავსად შემდეგი საკითხების შესწავლა:

- კოორდინაციის პირობებზე შეთანხმება;
- დევიაციების მონიტორინგი;
- შემაკავებელი მექანიზმის არსებობა;
- გარეშე პირების/აუტსაიდერების რეაქციები.<sup>105</sup>

### 6.6.9. კონგლომერატული შერწყმები

153. გარკვეულ შემთხვევებში კონგლომერატულ შერწყმებსაც შეუძლიათ ეფექტური კონკურენციის მნიშვნელოვნად დამახინჯება. თუმცა, ასეთი პრობლემები იშვიათი ხასიათისაა. მსგავსად ჰორიზონტალური და ვერტიკალური შერწყმებისა, კონგლომერატულ შერწყმას ახასიათებს არაკოორდინირებული ეფექტები. ესეთი ეფექტები შეიძლება სახეზე გვქონდეს შებოჭვის (tying-ის შემთხვევაში), კომპლექტაციის (bundling-ის შემთხვევაში) ან სხვა გამრიცხველი პრაქტიკის შედეგად.<sup>106</sup>

## 6.7. ჯარიმები

154. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ევროკავშირში კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს ვალდებულება აქვთ კონცენტრაციის იმპლემენტაციამდე წინასწარ შეატყობინონ შესაბამის კონკურენციის ორგანოს. შეტყობინების ფორმაში ეკონომიკურმა აგენტებმა არ უნდა მიუთითონ არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. იგივე ვალდებულება აქვთ კონკურენციის ორგანოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიწოდებისას. აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის კომისიას შეუძლია, შერწყმის რეგულაციის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დააკისროს სამართალდამრღვევ ეკონომიკურ აგენტებს მათი მსოფლიო ბრუნვის ერთ პროცენტამდე ჯარიმა.

155. კონცენტრაციის წინასწარი შეტყობინების ვალდებულების დარღვევისათვის შერწყმების რეგულაციის მე-14 მუხლის მეორე ნაწილით, გათვალისწინებულია ჯარიმა მსოფლიო ბრუნვის 10 პროცენტამდე (ინგლისურად ამ ვალდებულების დარღვევას

103 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §30. Richard Whish & David Bailey, Competition Law, 8<sup>th</sup> edit., 2015 Oxford University Press, 924.

104 Richard Whish & David Bailey, Competition Law, 8<sup>th</sup> edit., 2015 Oxford University Press, 924.

105 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §79-90.

106 არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების გზამკვლევი, §93.



უწოდებენ gun-jumping-ს). შეტყობინების შემდეგ ეკონომიკური აგენტები ვალდებული არიან დაელოდნონ კონკურენციის ორგანოს გადაწყვეტილებას (ამ ვალდებულებას კი standstill obligation-ს უწოდებენ). მათ არ აქვთ უფლება შეტყობინების შემდეგ განახორციელონ კონცენტრაცია, სანამ შესაბამისი ორგანო არ გამოიტანს გადაწყვეტილებას შეტყობინებული კონცენტრაციის თავსებადობის შესახებ (შერწყმის რეგულაციის მე-7 მუხლი). ამ ვალდებულების დარღვევა ასევე იწვევს დაჯარიმებას მსოფლიო ბრუნვის 10 პროცენტამდე (შერწყმის რეგულაციის 14.2.b მუხლი). გარდა ამისა, იგივე რაოდენობის ჯარიმებია გათვალისწინებული ისეთი შემთხვევების მიმართ, როდესაც მოხდება ისეთი კონცენტრაციის განხორციელება, რომელიც გამოცხადებული იყო ერთიან ბაზართან შეუთავსებლად ან თუ კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებული ღონისძიებების უგულებელყოფით მოხდება კონცენტრაცია (შერწყმის რეგულაციის 14.2.c. მუხლი) ან არ მოხდება იმ პირობებისა და ვალდებულებების დაცვა, რომლებიც კომისიამ მიუთითა თავის გადაწყვეტილებაში (შერწყმის რეგულაციის 14.2.d მუხლი).

156. გარდა ჯარიმისა, წინასწარ შეუტყობინებლად ან გადაწყვეტილების მიღებამდე განხორციელებული შერწყმის, არასწორი/შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდების შედეგად განხორციელებული შერწყმისა და კომისიის მიერ მითითებული პირობებისა და ვალდებულებების უგულებელყოფით განხორციელებული კონცენტრაციების შემთხვევაში, კომისიას შეუძლია ვალდებულებების დარღვევით განხორციელებული კონცენტრაციების ბათილობის საკითხი დასვას.

157. რაც შეეხება საქართველოს, აღნიშნული ვალდებულებებიდან არც ერთის დარღვევის შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული ჯარიმები ან პერიოდული ჯარიმები, გარდა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევისა, რომელიც კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად ათასიდან სამათას ლარამდე დაჯარიმებას ითვალისწინებს.<sup>107</sup> თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კონცენტრაციის შეტყობინების შემთხვევაში კანონმდებლობით არ არის პირდაპირი გათვალისწინებული კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება ჯარიმების დაწესების კუთხით. ერთადერთი გამონაკლისი კანონის მე-11 მუხლის მე-7 ნაწილია, რომლის მიხედვითაც, „სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს, რომელიც კონცენტრაციის შედეგად დომინირებულ მდგომარეობას მოიპოვებს, მოსთხოვოს გარკვეული პერიოდული იმ გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს კონკურენცია შესაბამის ბაზარზე“. კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს, დაინტერესებულ პირებს ან მესამე მხარეებს კანონის რომელიმე დებულება არ ავალდებულებს გამოითხოვილი ინფორმაციის მიწოდებას. ეს ვალდებულება მხოლოდ საქმის მოკვლევის დროს აქვთ აღნიშნულ პირებს. მოკვლევა კი სააგენტოს შეუძლია დაიწყოს განცხადების ან საჩივრის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით, მაგრამ არა კონცენტრაციის შეტყობინების საფუძველზე.

158. კომისიას კონცენტრაციების შერწყმების შესწავლისას იგივე უფლებამოსილება აქვს, რაც სამართალდარღვევების მოკვლევისას. მას შეუძლია შეამოწმოს შესაბამისი ეკონომიკური აგენტები, გამოითხოვოს მათგან ინფორმაცია, მოითხოვოს ეკონომიკური აგენტებისა და მათი თანამშრომლებისაგან ახსნა-განმარტებები, დალუქოს დოკუმენტები და ობიექტები და სხვა. აღნიშნული უფლებამოსილება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შეტყობინებული კონცენტრაციის შესწავლისას კანონმდებლობით პირდაპირ არ აქვს მინიჭებული.

107 იხ. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, <<http://competition.ge/ge/page2.php?m=62>> 32 მუხლი.

## 7. კონკურენციის ორგანოს უფლებამოსილება

159. ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საქართველო ვალდებულია შექმნას კონკურენციის სამართლის ნორმების ეფექტური აღმასრულებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის მარტში მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები შევიდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში და ნაწილობრივ დაიხვეწა კიდევ იგი, მასში მნიშვნელოვანი ხარვეზები შეინიშნება კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილების მხრივ.

160. შესაბამისად, აუცილებელია იმის განხილვა, თუ რამდენად აკმაყოფილებს ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევების მოკვლევისა და გამოაშვარავების კუთხით, არის თუ არა კონკურენციის სააგენტო კონკურენციის სამართლის ნორმების ეფექტური აღმასრულებელი და შესაბამისი უფლებამოსილება გააჩნია თუ არა მას კანონმდებლობის აღსრულებისას.

161. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კანონში 2014 წელს შესული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად სააგენტოს უკვე შეუძლია თავისი ინიციატივითაც დაიწყოს მოკვლევა (18.1.ა. მუხლი). გარდა ამისა, 25-ე და 33-ე მუხლების საფუძველზე, სააგენტოს ასევე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ეკონომიკური აგენტების დაჯარიმების შესახებ. კანონის პირვანდელი ვერსიით კი მას მხოლოდ განცხადების ან საჩივრის საფუძველზე შეეძლო დაეწყო მოკვლევა. საქმის მოკვლევის დასრულების შემდეგ კი იგი საქმეს გადასცემდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, რა დროსაც ბრალმდებლის ფუნქციას ასრულებდა სასამართლოში.

### 7.1. კონკურენციის ორგანოს უფლებამოსილება საქართველოში

162. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>108</sup> მე-16 მუხლის საფუძველზე, საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად კანონის საფუძველზე იქმნება კონკურენციის სააგენტო. მის საქმიანობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც კანონის მე-17<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. კონკურენციის ორგანო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

163. კანონის მე-16 მუხლის მეოთხე პუნქტში ჩამოთვლილია კონკურენციის სააგენტოს ძირითადი ამოცანები. ესენია: კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებებისა და ქმედებების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების, ინსტრუქციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტებისათვის.

164. მე-17 მუხლის მიხედვით, კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის პრინციპებია: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება.

165. სააგენტოს ფუნქციები განსაზღვრულია კანონის მე-17<sup>2</sup> მუხლში. ესენია:

108 იხ. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, <<http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=62>>, [09.10.2015].

ა) კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელება და ამ მიზნით შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებისა და გამოყენების სრულყოფისათვის წინადადებების მომზადება;

ბ) კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოსავლენად სასაქონლო და მომსახურების ბაზრის მონიტორინგი და ანალიზი;

გ) კანონის 11<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის შემთხვევაში კონკურენციული ეფექტის სავალდებულო შეფასება, დასკვნის მომზადება და გაცემა;

დ) კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვის კონტროლი, ამ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენა, განხილვა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

ე) მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი;

ვ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნის კონკურენციის პოლიტიკის დაცვის უფლებამოსილების მქონე ორგანოებთან თანამშრომლობა;

ზ) საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის, აგრეთვე ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრის მიზნით;

თ) კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და კონკურენციის პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებში საზოგადოების გათვითცნობიერება, სააგენტოს საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა.

166. კონკურენციის სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენციის სააგენტოს ფუნქციაში შედის ასევე კონკურენციის განვითარებისა და მონოპოლიური საქმიანობის შემზღუდველ ღონისძიებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ორგანოებისათვის განსახილველად წინადადებების წარდგენა.<sup>109</sup>

167. კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით უფლებამოსილია:

ა) აწარმოოს საქმის მოკვლევა წარდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით;

ბ) საქმესთან დაკავშირებით შესაბამის ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ინფორმაცია, მათ შორის, მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ, გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციას;

გ) საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში მოკვლევის მიზნით სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე;

დ) საჩივრის არსებობის შემთხვევაში მოიწვიოს მხარეები მათგან ზეპირი ახსნა-განმარტების მისაღებად და, საჭიროების შემთხვევაში, მოაწყოს შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან;

ე) მოკვლევის მიზნით, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე, ადგილზე შეამოწმოს საქმეში ჩართული ეკონომიკური აგენტი;

ვ) საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტს დაუწესოს ადმინისტრაციული ჯარიმა;

ზ) ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

109იხ. კონკურენციის სააგენტოს დებულება, <<http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=63>>, [01.09.2015].

თ) აღნიშნული კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში დააკისროს ჯარიმა სამართალდამრღვევ ეკონომიკურ აგენტს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად;

ი) საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი საქმის მოკვლევის პროცესში;

კ) მიზანშეწონილობის შემთხვევაში აწარმოოს კვლევა დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების დასადგენად შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის განმსაზღვრელი საბაზრო წილის დადგენის მიზნით;

ლ) დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევისას შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას მისი იძულებითი დაყოფის საკითხი, თუ არსებობს საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა, ან განახორციელოს კონკურენციის პოლიტიკით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები (სამწუხაროდ რა სხვა ღონისძიებებზეა საუბარი, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული, გაურკვეველია);

მ) შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევი ეკონომიკური აგენტის ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი (ასევე გაურკვეველია ვისთან უნდა დასვას პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი ან რა პასუხისმგებლობაზეა საუბარი);

ნ) სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ეს ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ კონკურენციას.

### **7.1.1. სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის ადგილზე (მოულოდნელი) შემოწმება**

168. როგორც კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტშია აღნიშნული, კონკურენციის სააგენტოს შეუძლია სასამართლოს თანხმობით ადგილზე შეამოწმოს ეკონომიკური აგენტი. აღნიშნულ პუნქტში საუბარია სასამართლოს თანხმობაზე. თუმცა, მოცემულ მუხლში არაა საუბარი იმაზე, არის თუ არა საჭირო წინასწარი თანხმობა, თუ გარკვეულ შემთხვევაში შემოწმების შემდეგ შეიძლება ამ მოქმედების დაკანონება. 25-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია მოტივირებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების მიზნით.

169. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით,<sup>110</sup> მაკონტროლებელ ორგანოს, როგორც წესი, საწარმოს ან არასამეწარმეო იურიდიული პირის შემოწმება მხოლოდ სასამართლოს ბრძანების საფუძველზე შეუძლია. სამეწარმეო საქმიანობის კონტროლში იგულისხმება, როგორც მისი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა, ასევე ზოგადად მეწარმის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა.<sup>111</sup>

170. ჩემი აზრით, კონკურენციის სააგენტო ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმებისას უფლებამოსილია დაეყრდნოს არამარტო „კონკურენციის შესახებ“ კანონს, არამედ ასევე „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის დებულებებს, რომელიც სპეციალური კანონია და ეხება უშუალოდ საწარმოების და არასამეწარმეო იურიდიული პირების შემოწმებას, იმის დასადგენად თუ რამდენად ასრულებენ ისინი

110 იხ. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/15364>>, [03.09.2015].

111 იხ. ვაჩაძე მ., თოდრია ი., ტურავა პ., ჭკეპლაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები, „დიოგენე“, თბ., 2005, 80.

კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

171. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საწარმოს შემოწმების წესსა და პროცედურას დეტალურად არეგულირებს „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. კოდექსის 21<sup>2</sup> მუხლი ეხება მაკონტროლებელი ორგანოს მიერ სასამართლოსთვის საწარმოს შემოწმების შესახებ შუამდგომლობით მიმართვისა და განხილვის წესს. ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, როგორც წესი, მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მოსამართლეს წარედგინება მეწარმის შემოწმების დაწყებამდე. მეორე პუნქტი საგამონაკლისო წესს შეიცავს. იგი აძლევს მაკონტროლებელ ორგანოებს უფლებას განსაკუთრებული გარემოების არსებობისას შეამოწმოს საწარმო წინასწარი სასამართლო ნებართვის გარეშე. კერძოდ, თუ არსებობს მეცხეული და უშუალო საფრთხე იმისა, რომ სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა **მტკიცებულებას საფრთხე შეექმნება**, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა შემოწმების საგნის ნაწილში და დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია ან იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საწარმოს ანდა ამას მოითხოვს მეწარმე, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია დაიწყოს მეწარმის შემოწმება და 24 საათის განმავლობაში შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. შუამდგომლობაში შესაბამისმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს, რაში მდგომარეობდა შემოწმების გადაუდებელი აუცილებლობა. იგი უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს ბრძანების გასაცემად. გარდა ამისა, შუამდგომლობაში უნდა იყოს მითითებული იმ მეწარმის ზუსტი მონაცემები, რომელიც უნდა შემოწმდეს, შემოწმების ვადა, ხასიათი და ფარგლები.

172. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21<sup>3</sup>-ე მუხლის მე-12 პარაგრაფის შესაბამისად, მეწარმის შემოწმება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 15 დღის ვადაში. თუმცა, გამონაკლისის სახით, დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია, აღნიშნული ვადის არა უმეტეს 15 დღით გაგრძელება. ამასთან, თუ შესამოწმებელი საწარმოს წლიური ბრუნვა აღემატება ერთ მილიონ ლარს, აღნიშნული 30–ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით არა უმეტეს 40 დღემდე.

173. თუ მოსამართლის მიერ არ მოხდება საწარმოში დაწყებული შემოწმების დაკანონება, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის მეოთხე პუნქტისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>3</sup>-ე მუხლის მეექვსე პუნქტის მოთხოვნით, შემოწმება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. მეწარმეს ამ შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს უკანონო შემოწმების შედეგად მიღებული ზიანის ანაზღაურება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მეხუთე პუნქტის მიხედვით, კანონის დარღვევით განხორციელებული შემოწმების შედეგად მიღებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს.

174. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>3</sup>-ე მუხლი დეტალურად აღწერს იმ პროცესუალურ ნორმებს, რომლის შესაბამისად სასამართლო განიხილავს მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობას საწარმოს შემოწმების თაობაზე. შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს მისი წარდგენიდან 72 საათში. როგორც წესი, მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს შუამდგომლობას ზეპირი მოსმენის გარეშე. შუამდგომლობის მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა, მოსამართლე ვალდებულია შეატყობინოს შესაბამის საწარმოს მიღებული შუამდგომლობის შესახებ და უგზავნის შესაბამის მასალას მეწარმეს ან მის წარმომადგენელს. თუ მოსამართლე დაასკვნის, რომ აუცილებელია შუამდგომლობაში აღნიშნული გარემოების გამოკვლევა, იგი უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ღია სასამართლო სხდომაზე, გარდა

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკითხებისა. სხდომის შესახებ მხარეებს უნდა ეცნობოთ შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენიდან არა უგვიანეს 48 საათისა. მეწარმე ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია შემოწმების თაობაზე მისთვის შეტყობინებიდან და საქმის მასალების გადაცემიდან 24 საათის განმავლობაში სასამართლოს წერილობით წარუდგინოს თავისი მოსაზრება. თუ მოსამართლე დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, იგი ვალდებულია მხარეებს ჩააბაროს ბრძანების ასლები. მეწარმეს შეუძლია ბრძანების გამომცემ სასამართლოში შეიტანოს საჩივარი ბრძანების გაუქმების თაობაზე მისთვის ასლის ჩაბარებიდან 48 საათში.

175. მოსამართლე შემოსულ საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ აგზავნის სააპელაციო სასამართლოში, ეს უკანასკნელი კი საჩივარს განიხილავს პირველ ინსტანციაში სასამართლო განხილვისათვის დადგენილი წესით. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.

176. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>3</sup>-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, საწარმოს შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. შესაბამისად, ბრძანების გასაჩივრება აჩერებს ბრძანების მოქმედებას.

177. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის მიხედვით, სააგენტოს ადგილზე შეუძლია შეამოწმოს ეკონომიკური აგენტი, რომლის მიმართაც არსებობს განცხადება ან/და საჩივარი. სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით თუ ვივარაუდებთ, აღნიშნული პუნქტის თანახმად, იმ ეკონომიკური აგენტის, რომლის მიმართ სააგენტომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო მოკვლევა, ადგილზე შემოწმება არ შეუძლია კონკურენციის ორგანოს.

178. კანონის 25-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, კონკურენციის სააგენტოს ეკონომიკური აგენტის შემოწმების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დაინტერესებული მხარისაგან და შესაბამისი ეკონომიკური აგენტებისაგან მიღებული ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე შეუძლებელია საქმის მოკვლევა;

ბ) არსებობს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის განადგურების ან/და დამალვის საშიშროება;

გ) მხარეები არ ასრულებენ ინფორმაციისა და დოკუმენტების მიწოდების ვალდებულებას;

დ) საჭიროა მატერიალური აქტივების ვიზუალური დათვალიერება.

179. ეკონომიკური აგენტის შემოწმებისას კონკურენციის ორგანოს უფლებამოსილება განსაზღვრულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-10 პუნქტში. კერძოდ:

ა) ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტების გაცნობა, მათი კონფიდენციალურობის მიუხედავად;

ბ) წინა პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლის გადაღება;

გ) ადგილზე ახსნა-განმარტების მიღება;

დ) ეკონომიკური აგენტის იურიდიული და ფაქტობრივი საქმიანობის ადგილზე შემოწმება.

180. საინტერესოა აღინიშნოს, რა უფლებამოსილება გააჩნია მაკონტროლებელ ორგანოს საწარმოს შემოწმებისას „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად. იგი უფლებამოსილია შევიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დაალუქოს მეწარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს საწარმო და შეამოწმოს მეწარმის მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხი.

## 7.2. კონკურენციის ორგანოს უფლებამოსილება ევროკავშირში

181. ევროკავშირის კომისიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია კონკურენციის სამართლის ნორმების აღსრულებაში. კომისია ხშირად მიმართავს ე.წ. „გარიჟრაჟის რეიდს“<sup>112</sup> იმისთვის, რომ გამოაშკარავოს და აღმოფხვრას კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევა. ევროკავშირის კონკურენციის ორგანოს მოკვლევას უფლება აქვს გამოითხოვოს ინფორმაცია, შევიდეს კერძო საკუთრების ობიექტში, გადაიღოს ასლები, აიღოს წერილობითი ინფორმაცია და ადგილზე დაუსვას კითხვები ფიზიკურ პირებს. ამ მოქმედებებს კომისია ხშირად ახორციელებს სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, იძულებისა და ფულადი სანქციის დაკისრების მუქარით. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში კომისიას შეუძლია ეფექტურად იმოქმედოს ეჭვის საფუძველზე.

182. ევროკავშირის კონკურენციის ორგანოს უფლებამოსილებებიდან საინტერესოა შემდეგი უფლებები: ინფორმაციის გამოთხოვის უფლება, შემოწმების უფლებამოსილება და კერძო საკუთრების ობიექტში შესვლისა და შემოწმების უფლება.

### 7.2.1. ინფორმაციის გამოთხოვა

183. კომისიის მიერ ინფორმაცია შეიძლება გამოთხოვილ იქნეს უბრალო მოთხოვნის ფორმით ან გადაწყვეტილებით. თუ ეკონომიკურ აგენტს გაგზავნილი აქვს უბრალო მოთხოვნა, მას არ ევალება უპასუხოს მიღებულ მოთხოვნას. თუმცა, თუ იგი ნებაყოფლობით იმოქმედებს ამ მოთხოვნის საპასუხოდ, იგი ვალდებულია არ მიაწოდოს არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დაჯარიმება წინა წლის მთლიანი ბრუნვის ერთ პროცენტამდე #1/2003 რეგულაციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად<sup>112</sup>.

184. თუ ინფორმაციის გამოთხოვა ხდება გადაწყვეტილების საფუძველზე, ეკონომიკური აგენტი ვალდებულია უპასუხოს მას (18.3 მუხლი). #1/2003 რეგულაციის 23.1.ბ. მუხლის შესაბამისად, კომისიას შეუძლია დააკისროს ეკონომიკურ აგენტს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი მთლიანი წლიური ბრუნვის ერთ პროცენტს, თუ იგი განზრახ ან გაუფრთხილებლად მიაწვდის კომისიას არასწორ, არასრულ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას ან თუ იგი უარს იტყვის ინფორმაციის მიწოდებაზე. გარდა ამისა, რეგულაციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კომისიას შეუძლია ეკონომიკურ აგენტს დაკისროს ჯარიმის გადახდა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური საშუალო ბრუნვის 5 პროცენტს, რათა ისინი აიძულოს მიაწოდოს სრული და სწორი ინფორმაცია.

### 7.2.2. შემოწმება-ინსპექტირება

185. რეგულაციის მე-20 მუხლის შესაბამისად, კომისიას უფლება აქვს განახორციელოს ეკონომიკური აგენტის ყველანაირი საჭირო ინსპექტირება და, როდესაც ის ამას აკეთებს, იგი ვალდებულია დეტალურად განაცხადოს ინსპექტირების საგნისა და მიზეზის შესახებ.

186. კომისიას ინსპექტირება შეუძლია განახორციელოს ორი ხერხით: შესამოწმებელი ეკონომიკური აგენტის ნებართვის საფუძველზე (#1/2003 რეგულაციის 20.3 მუხლი) ან გადაწყვეტილების საფუძველზე (#1/2003 რეგულაციის 20.4 მუხლი). პირველ შემთხვევაში ეკონომიკური აგენტს შეუძლია არ დაუშვას კომისიის წარმომადგენელი შესამოწმებლად. ამ შემთხვევაში მას არ დაეკისრება ჯარიმა. მეორე შემთხვევაში, როდესაც ინსპექტირება

112 „გარიჟრაჟის რეიდში“ იგულისხმება კომისიის მიერ ეკონომიკური აგენტის კომერციულ დანიშნულების ობიექტებში, ასევე ეკონომიკური აგენტის პერსონალის კერძო საკუთრების ობიექტებში მოულოდნელი შესვლას ადგილზე შემოწმებისა და მტკიცებულების მოპოვების მიზნით.

ხდება კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ეკონომიკურ აგენტს მოეთხოვება ინსპექტორის დაშვება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეიძლება დაეკისროს ჯარიმა მთლიანი ბრუნვის ერთ პროცენტამდე (#1/2003 რეგულაციის 20.4 მუხლი). გარდა ამისა, იმისათვის, რომ იგი დაემორჩილოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულ ინსპექტირებას, კომისიას შეუძლია დააკისროს ეკონომიკურ აგენტს გადასახდელი ჯარიმა დღიური საშუალო ბრუნვის ხუთ პროცენტამდე (#1/2003 რეგულაციის 20.4. და 24.1.ე. მუხლები).

187. ორივე შემთხვევაში ინსპექტირებისას კომისიას შეუძლია:

- შევიდეს ეკონომიკური აგენტებისა და მათი ასოციაციის ობიექტებში, მიწაზე და სატრანსპორტო საშუალებებში;

- შეამოწმოს და გადაიღოს საქმიანი ჩანაწერები;

- დალუქოს კომერციული დანიშნულების ობიექტები და ჩანაწერი იმ პერიოდით და მოცულობით, რაც საჭიროა ინსპექტირებისათვის;

- პერსონალის წევრებს დაუსვას ადგილზე კითხვები. თუ პასუხი არ იქნება სწორი მოკვლევის საგნის საკითხზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური აგენტის დაჯარიმება მისი მთლიანი ბრუნვის ერთ პროცენტამდე ((#1/2003 რეგულაციის 23.1.დ.).

188. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კომისიას მოკვლევისას შეიძლება დახმარება გაუწიონ წევრმა სახელმწიფოებმა. კერძოდ, კონკურენციის ეროვნული ორგანო შეიძლება დაეხმაროს კომისიას ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე ან თუ ეროვნული ორგანო ჩათვლის ამას საჭიროდ. ამ შემთხვევაში ის მოქმედებს კომისიის მოკვლევის უფლებამოსილების ფარგლებში.

189. როდესაც კომისია ახორციელებს ინსპექტირებას ეკონომიკური აგენტის ნებართვის საფუძველზე, მან წინასწარ უნდა აცნობოს მოკვლევის შესახებ ეროვნულ კონკურენციის ორგანოს. ხოლო თუ კომისია ახდენს ინსპექტირებას გადაწყვეტილების საფუძველზე, კომისიამ, სანამ ინსპექტირებას მოახდენს, კონსულტაცია უნდა გაიაროს შესაბამის ეროვნულ კონკურენციის ორგანოსთან. იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკური აგენტი ეწინააღმდეგება გადაწყვეტილების საფუძველზე შესასრულებელ ინსპექტირებას, წევრმა სახელმწიფომ კომისიას უნდა აღმოუჩინოს საჭირო დახმარება. თუ საჭიროა, ეროვნულმა კონკურენციის ორგანომ უნდა მოითხოვოს პოლიციის ან სხვა ექვივალენტური ორგანოს დახმარება, რაც კონკურენციის ორგანოს საშუალებას მისცემს განახორციელოს ინსპექტირება. თუ ასეთი დახმარებისათვის ეროვნული კანონმდებლობით მოითხოვება სასამართლო ხელისუფლების თანხმობა, მაშინ ადგილობრივმა კონკურენციის ორგანომ უნდა მიმართოს ამ სასამართლოს.<sup>113</sup> ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელს ევალება შეამოწმოს კომისიის გადაწყვეტილების ავთენტურობა და თვითნებური და გადაჭარბებული არის თუ არა მოთხოვნილი იძულებითი ღონისძიება.<sup>114</sup> პროპორციულობის პრინციპი რომ იყოს დაცული, ეროვნულ სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს კომისიას ინფორმაცია კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევის ეჭვის მიზეზის, დარღვევის სერიოზულობისა და ეკონომიკური აგენტის სამართალდარღვევაში ჩართულობის ბუნების შესახებ. თუმცა, მას არ შეუძლია კითხვის ქვეშ დააყენოს ინსპექტირების აუცილებლობა და არც უფლება აქვს გამოითხოვოს კომისიის ხელთ არსებული ინფორმაცია. მხოლოდ ევროკავშირის სასამართლოს აქვს უფლება შეამოწმოს კომისიის გადაწყვეტილების კანონიერება.<sup>115</sup>

113 ob. #1/2003 რეგულაცია, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex:32003R0001>>, [03.09.2015], 20.7.

114 იქვე, 20.8.

115 ob. Aslam I., Ramsden M., EC Dawn Raids: A Human Rights Violation?, The Competition Law Review, Volume 5, Issue 1, December 2008, 66.



### **7.2.3. კერძო საკუთრების ობიექტის შემოწმების უფლება**

190. ყველაზე სადავო საკითხი, რაც უკავშირდება ეკონომიკური აგენტის ადგილზე მოულოდნელ შემოწმებას, წარმოადგენს კომისიის უფლება შევიდეს ეკონომიკური აგენტის თანამშრომლების როგორც უძრავ, ასევე მოძრავ ქონებაში. #1/2003 რეგულაციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი კომისიას უფლებას აძლევს შევიდეს „ნებისმიერ უძრავ ქონებაში, მიწაზე და სატრანსპორტო საშუალებაში, მათ შორის დირექტორების, მენეჯერების ან ეკონომიკური აგენტის პერსონალის სხვა წევრების სახლებში“ თუ მას აქვს გონივრული ეჭვი, რომ აღმოაჩენს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლების სერიოზული დარღვევის მტკიცებულებას. ამის გაკეთება კომისიას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც მას აქვს გონივრული ეჭვი იმისა, რომ ბიზნესთან დაკავშირებული ჩანაწერი, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს კონკურენციის ნორმების დარღვევა, ინახება ამ ქონებაში. ამ შემთხვევაში, კომისიას არ აქვს იგივე უფლებები, რაც კომერციული დანიშნულების ობიექტების შემოწმებისას. მაგალითად, მას უფლება აქვს შევიდეს კერძო საკუთრების ობიექტში, შეამოწმოს ჩანაწერი და გადაიღოს ასლი, თუმცა მას არ აქვს უფლება დალუქოს ეს ქონება ან ადგილზე ახსნა-განმარტება მოსთხოვოს პირებს.

191. კერძო საკუთრების ობიექტის შემოწმება უნდა ეფუძნებოდეს გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია ეროვნული კონკურენციის ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ. გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს ინსპექტირების საგანი და მიზეზი და შესაბამის პირს უნდა ეცნობოს, რომ მას შეუძლია კომისიის ინსპექტირება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში გაასაჩივროს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კომისიას ამ შემთხვევაში თავისი გადაწყვეტილების აღსრულება არ შეუძლია ეროვნული სასამართლო ხელისუფლების წინასწარი ნებართვის გარეშე.

### **7.2.4. კომისიის მიერ განხორციელებული მოულოდნელი შემოწმების შეფასება ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით**

192. მოკვლევის პროცესში კომისიის საქმიანობა ხშირად გამხდარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კრიტიკის ობიექტი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების საფუძველზე. პირველი მუხლი ეხება თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლებას, ხოლო მეორე მუხლი კი – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

193. თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება მოიცავს დუმილის უფლებას და უფლებას არ მისცეს თავის საწინააღმდეგოდ ინფორმაცია/ჩვენება, რაც სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანი პროცედურის ქვაკუთხედი.

#### **7.2.4.1. ინფორმაციის გამოთხოვა**

194. როგორც უკვე აღინიშნა, კომისიას #1/2003 რეგულაციის მე-18 მუხლის შესაბამისად, უფლება აქვს გამოითხოვოს ინფორმაცია და არასწორი, არასრული ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში ან ინფორმაციის არ მიწოდების შემთხვევაში შეუძლია დააჯარიმოს კიდევ ეკონომიკური აგენტი, რაც გარკვეულ შეუსაბამობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციასთან.

195. 1989 წლის გადაწყვეტილებით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე 374/87 არ აღიარა თვითინკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვის უფლება კონკურენციის სამართლის საქმეზე. სასამართლოს განცხადებით, თვითინკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვა #17/62 რეგულაციით არ იყო გათვალისწინებული. ამ უფლებით სარგებლობა მხოლოდ ფიზიკურ პირს შეუძლია სისხლის სამართლის საქმეზე და არა

იურიდიულ პირს ეკონომიკური სფეროდან.<sup>116</sup> თუმცა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 1992 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე Societe Stenuit v France განაცხადა, რომ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია გამოიყენება როგორც ფიზიკური პირის, ასევე ეკონომიკური აგენტის მიმართ.<sup>117</sup>

196. აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: #1/2003 რეგულაციის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი აცხადებს, რომ კომისიის მიერ დაკისრებული ჯარიმა (ბრუნვის 1 პროცენტისა და 10 პროცენტის ოდენობით) არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი ხასიათის სანქციას. თუმცა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე Bendenoun v France ოთხი კრიტერიუმი იქნა წარმოდგენილი იმის დასადგენად, კომისიის მიერ დაკისრებული ჯარიმა ინფორმაციის მიწოდების დავალდებულების თაობაზე წარმოადგენს თუ არა სისხლისსამართლებრივ სანქციას. წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე კი სასამართლომ დაადგინა ჯარიმის სისხლისსამართლებრივი ხასიათი. ეს კრიტერიუმებია:

- გამოსაყენებელი სამართლი უნდა იყოს შეფარდებული როგორც საერთო, ზოგადი წესი და ყველას მიმართ უნდა გამოიყენებოდეს. კონკურენციის სამართლის ნორმები გამოიყენება ყველას მიმართ როგორც ზოგადი, საერთო წესები. კონკურენციის სამართლის მიზანია თავიდან იქნეს აცილებული კონკურენციის დამახინჯება საზოგადოებრივი ინტერესების, ინდივიდუალური ეკონომიკური აგენტებისა და მომხმარებლების საზიანოდ;
- სამართლის ნორმების არშესრულებისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული სანქცია. მოკვლევის პროცესში კომისიის მიერ დადგენილი პროცედურის შეუსრულებლობა ფინანსური სანქციის დაკისრებას იწვევს. მაგალითად, კომისიის მიერ ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში არასრული, არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდება, ისევე როგორც ინფორმაციის მიუწოდებლობა იწვევს დაჯარიმებას;
- სანქცია განხილულ უნდა იყოს როგორც დასჯა იმ მიზნით, რომ მოხდეს სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენისაგან თავის შეკავება. ჯარიმის განსაზღვრის კომისიის რეკომენდაციების მე-4 პარაგრაფის მიხედვით, ჯარიმის მიზანია როგორც კონკურენციის სამართლის ნორმების დამრღვევი ეკონომიკური აგენტის დასჯა, ასევე მისი შეკავება, ჩაერთოს სამართალდარღვევაში ან გააგრძელოს სამართალდარღვევაში მონაწილეობა;
- სანქცია უნდა იყოს არსებითი. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეზე Societe Stenuit v France განაცხადა, რომ კომისიას შეუძლია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ჯარიმა მისი ბრუნვის 5 პროცენტამდე, რაც საკმარისი ოდენობაა იმისათვის, რომ ასეთი ჯარიმა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივ სანქციად.<sup>118</sup>

197. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს აზრით, გარიჟრაჟზე რეიდი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ პროცედურას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე და, შესაბამისად, ის იურიდიული პირი, რომელსაც სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდება წაუყენეს, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სარგებლობს თვითინკრინაციისაგან დაცვის უფლებით<sup>119</sup>.

116 იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: 374/87, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:61987CJ0374>>, [31.08.2015], § 29.

117 იხ. Aslam I., Ramsden M., EC Dawn Raids: A Human Rights Violation?, The Competition Law Review, Volume 5, Issue 1, December 2008, 72.

118 იქვე, 71-72.

119 „ზოგადი მიდგომის თანახმად, თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია გულისხმობს ბრალდების მხარემ საქმე ამტკიცოს ბრალდებულის წინააღმდეგ იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც

198. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე 374/87 წარმოადგინა თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლების თავისებური განმარტება. მან ერთმანეთი-საგან განასხვავა ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდების იძულება და კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევის პირდაპირ მაღიარებელი ინფორმაციის მიწოდების იძულება. პირველ შემთხვევაში, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ განაცხადა, რომ კომისიას შეუძლია ყველა ის საჭირო ინფორმაცია გამოითხოვოს ეკონომიკური აგენტისაგან, რომელიც ეკონომიკური აგენტის მფლობელობაშია და ეხება კონკურენციის სამართლის ნორმის დარღვევას.<sup>120</sup> ასეთმა ინფორმაციამ შეიძლება კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევა დაადგინოს, რომელშიც როგორც ინფორმაციის მიწოდებელი, ასევე სხვა ეკონომიკური აგენტი მონაწილეობდა.

199. მეორე შემთხვევაში, სასამართლოს განმარტებით, კომისიას არ აქვს უფლება აიძულოს ეკონომიკური აგენტი ისეთი პასუხი გასცეს, რაც სამართალდარღვევაში მის მონაწილეობას ადასტურებს.<sup>121</sup> ამდენად, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს აზრით, მხოლოდ პირდაპირი თვითინკრიმინაციაა კანონსაწინააღმდეგო.

200. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს შეხედულებით, რომელიც გაცხადებულია მის გადაწყვეტილებაში #03/05/2001, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება ვრცელდება როგორც ზეპირ ახსნა-განმარტებებზე, ასევე დოკუმენტებზე.

201. საინტერესოა ვილსის შეხედულება #1/2003 რეგულაციის მე-20 მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად ეკონომიკური აგენტების ან მათი ასოციაციის პერსონალის წევრებისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. მისი აზრით, რეგულაციის თანახმად, დაუშვებელია თანამშრომლების მიმართ ჯარიმის გამოყენება. და რადგან, ინდივიდების მიმართ ფინანსური ჯარიმის გამოყენება არ ხდება, შესაბამისად, იძულების ელემენტიც არ არსებობს. თუმცა, იმრან ასლამისა და მიშელ რამსდენის აზრით, ვილსის არ გაუთვალისწინებია ინდივიდსა და ეკონომიკურ აგენტს შორის ურთიერთკავშირი. მათი აზრით, თუ პირი ავტორიზებულია ილაპარაკოს ეკონომიკური აგენტის სახელით, მაშინ მისი მოქმედება „შეიძლება მიეწეროს ეკონომიკურ აგენტს“.<sup>122</sup>

#### 7.2.4.2. კომერციული დანიშნულების ობიექტების შემოწმება

202. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის

---

მოპოვებული არ არის იძულების, მუქარის ან ბრალდებულის ნებაზე სხვაგვარი ზემოქმედებით. აღნიშნული გაგებით, ეს უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული უდანაშაულობის პრეზუმეციასთან, რომელსაც მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია თავიდანვე დაკავშირებულია ბრალდებულის ნების პატივისცემასთან – აირჩიოს დუმილი. როგორც ზოგადადაა გაგებული, იგი არ ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესში ისეთი მასალების გამოყენებაზე, რომლებიც თუმცა, მოპოვებულია იძულების წესით, მაგრამ არსებობენ ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად, მაგალითად: ორდერის საფუძველზე მიღებული დოკუმენტები, სუნთქვის, სისხლის, შარდის, თმისა და ხმის ნიმუშები, სხეულის ქსოვილი დნმ-ის ტესტისთვის.“ ბადრი ნიპარიშვილი, „მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ #3(55)17 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2017w-n3.pdf> [30.07.2018] გვ. 11.

120 იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: 374/87, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:61987CJ0374>>, [31.08.2015], § 34.

121 იქვე, § 35.

122 იხ. Aslam I., Ramsden M., EC Dawn Raids: A Human Rights Violation?, The Competition Law Review, Volume 5, Issue 1, December 2008, 73.

საცხოვრებელს და მიმოწერას“. მეორე პუნქტის შესაბამისად კი, „დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“.

203. პირველი საქმე, რომელზეც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის კომერციული დანიშნულების ობიექტებზე გავრცელების თაობაზე იყო გაერთიანებული საქმე 46/87 და 227/88.<sup>123</sup> აღნიშნულ საქმეზე ეკონომიკურ აგენტს დაეკისრა ჯარიმა, რადგან იგი არ დაემორჩილა კომისიის მოკვლევას. იგი დავობდა, რომ შემოწმება იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან სასამართლოს ნებართვის გარეშე ხდებოდა მისი განხორციელება. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ 1989 წელს თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ აღნიშნული მუხლი არ გამოიყენებოდა კომერციული დანიშნულების ობიექტების მიმართ. მისი განმარტებით, #17/62 რეგულაციის მე-14 მუხლი არ წარმოადგენდა ფუნდამენტური უფლებების დარღვევას,<sup>124</sup> ვინაიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ ფიზიკური პირების საცხოვრებელი ფართების მიმართ გამოიყენებოდა.

204. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 1992 წელს საქმეზე Niemietz v Germany დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი კომერციული დანიშნულების ობიექტებსაც მოიცავდა.<sup>125</sup> მოგვიანებით კი, იმავე სასამართლომ 2002 წელს საქმეზე Societe Colas Est v France<sup>126</sup> განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები შეიძლება გავრცელებულიყო კომპანიების რეგისტრირებულ ოფისებზე, ფილიალებზე და კომერციულ დანიშნულების სხვა ობიექტებზე.<sup>127</sup> გარდა ამისა, სასამართლოს აზრით, დემოკრატიულ საზოგადოებაში ე.წ. „გარიჟრაჟზე რეიდის“ საჭიროება არ არსებობს და ის არ წარმოადგენს ადეკვატურ და ეფექტურ საშუალებას ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

205. 2002 წელს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე C-94/00<sup>128</sup> გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია და განაცხადა, რომ კომერციული დანიშნულების ობიექტებთან დაკავშირებით გაზიარებულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.<sup>129</sup> თუმცა, 2003 წელს რეგულაციის #1/2003 მიღებამ სასამართლოს ამ აღიარებას ძალა დააკარგვინა, რადგან რეგულაციას უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე პრეცედენტულ სამართალს.

206. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა

123 იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებული საქმეებზე: 46/87 და 227/88, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:61987CJ0046>>, [01.09.2015].

124 იქვე, § 13.

125 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Niemietz v Germany, <<http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57887#%22itemid%22:%22001-57887%22>>, [01.09.2015].

126 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Societe Colas Est v France, <<http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-60431#%22itemid%22:%22001-60431%22>>, [01.09.2015].

127 იქვე, § 41.

128 იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: C-94/00, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62000CJ0094>>, [01.09.2015].

129 იქვე, § 29.

ევროპული სასამართლო ძირითად პრობლემას ხედავს იმაში, რომ ევროკავშირის კომისიას ძალიან ფართო უფლებამოსილება აქვს კონკურენციის სამართლის ნორმების აღსრულებისას. სასამართლო განსაკუთრებით შეშფოთებულია კომისიის ე.წ. „გარიჟრაჟის რეიდის“ პროცედურით, რადგან კომისიას შეუძლია მხოლოდ თავისი გადაწყვეტილებით შევიდეს ეკონომიკური აგენტის კომერციული დანიშნულების ობიექტებში წინასწარი სასამართლო ნებართვის გარეშე. ადამიანის უფლებათა კუთხით პრობლემატურია ასევე განსაკუთრებულ შემთხვევაში კომისიის მიერ კერძო პირების პირადი საკუთრების ობიექტის შემოწმებაც. ამ შემთხვევაში, კომისია ეროვნული სასამართლოსგან კი იღებს წინასწარ ნებართვას, მაგრამ სასამართლოს არ შეუძლია კითხვის ქვეშ დააყენოს ინსპექტირების აუცილებლობა ან გამოითხოვოს კომისიის ხელთ არსებული ინფორმაცია. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლების როლი ძალიან დაკნინებულია და არ შეიძლება იმის თქმა, რომ იგი კომისიას ნამდვილ ავტორიზაციას აძლევს.

207. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონკურენციის სამართლის დავებზე ეკონომიკური აგენტებისა და მათი თანამშრომლების სასარგებლოდ უფრო მაღალი დონის დაცვას უზრუნველყოფს, ვიდრე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო.

### 7.3. საქართველოში კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევების მოკვლევის ვადა

208. კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილების კუთხით ასევე საინტერესოა თუ რა ვადაში შეუძლია სააგენტოს მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი უდგენს კონკურენციის სააგენტოს მოკვლევის ვადას. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს სამი თვისა. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 10 თვისა, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით. კანონის პირვანდელ ვერსიაში მოკვლევის ვადა უფრო ხანგრძლივი იყო. კერძოდ, მოკვლევის ძირითადი ვადა ექვსი თვე იყო, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის შესაბამისად, მოკვლევის მაქსიმალური ვადა 15 თვეს წარმოადგენდა.

209. ევროკავშირში კომისიას მოკვლევის ვადა შეზღუდული არ აქვს #1/2003 რეგულაციით. შესაბამისად, მას შეუძლია მოკვლევა განახორციელოს იმ ვადით, რამდენსაც იგი ჩათვლის საჭიროდ თავისი ფუნქციების სრულყოფილად განსახორციელებლად. ჯონ კონნორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, კომისიამ პირველი გადაწყვეტილება კარტელის საქმეზე 2006 წლის ჯარიმის განსაზღვრის რეკომენდაციების საფუძველზე მიიღო პროფესიულ ვიდუოკასეტებზე. კომისიამ ამ საქმეზე მოულოდნელი ინსპექტირება განახორციელა 2002 წლის მაისში, ხოლო გადაწყვეტილება კი მიიღო 2007 წელს.<sup>130</sup>

210. მოკვლევის ვადასთან დაკავშირებით, ასევე, აღსანიშნავია შეტყობინებული კონცენტრაციის სააგენტოს მიერ განხილვის ვადა. კანონის 11<sup>1</sup> მუხლის მეხამე პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს კონცენტრაციის შესასწავლად აქვს ერთვიანი ვადა, რომელიც საქმის სირთულიდან გამომდინარე კიდევ 2 კვირით შეიძლება გაგრძელდეს. ამ ვადის,

130 ob. Connor J.M., Cartel Fine Severity and the European Commission: 2007-2011, European Competition Law Review, 2013, 3.

ანუ ჯამში 44 დღის ვადაში სააგენტოს მხრიდან შეტყობინებულ კონცენტრაციაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად ითვლება. სამწუხაროდ, კონცენტრაციის შესწავლისათვის ძალიან მცირე ვადაა გათვალისწინებული „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

#### 7.4. ხანდაზმულობის ვადა

211. კონკურენციის ორგანოს მოკვლევის ვადასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნოს კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევების თაობაზე დავის ხანდაზმულობის ვადა.

212. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მიხედვით, დავის ხანდაზმულობის ვადა სამართალდარღვევის ჩადენიდან არა უმეტეს სამი წელია. აღნიშნული მუხლი საჭიროებს კონკრეტიზაციას და სრულყოფას, რადგან იგი არაფერს ამბობს განგრძობადი და განმეორებადი სამართალდარღვევის მიმართ ხანდაზმულობის ვადაზე.

213. რაც შეეხება ევროკავშირის #1/2003 რეგულაციით განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადას, იგი 25-ე მუხლშია მოცემული. ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევებზე ხანდაზმულობის ვადა 5 წელია. მეორე პუნქტის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იწყება დარღვევის ჩადენის დღეს. განგრძობადი ან განმეორებადი სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში კი ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღეს, როდესაც მოხდება სამართალდარღვევის შეწყვეტა.

## 8. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წელს შესული ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კანონის პირვანდელი რედაქცია. თუმცა გარკვეული დებულებები მაინც სრულად ვერ პასუხობს ევროკავშირთან დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლით აღებულ ვალდებულებებს.

ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებების კონტროლის თვალსაზრისით კანონში მნიშვნელოვანი ხარვეზებია. კერძოდ, სამწუხაროდ, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს, რის გამოც შეიძლება ეკონომიკური აგენტებს შორის ყველა სახის შეთანხმებული ქმედება არ იქნეს აკრძალული, განსხვავებით ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე. გარდა ამისა, კანონის მე-7 მუხლში არასწორად არის გამოყენებული ტერმინი „ხელშეკრულება“, მის ნაცვლად ჯობია გამოყენებული იყოს ტერმინი „გარიგება“, რომელიც უფრო ფართო ტერმინია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ე.წ. „ჯგუფური განთავისუფლებით“ გათვალისწინებული შეთანხმების სახეობები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ევროკავშირში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში ე.წ. „ჯგუფური განთავისუფლებით“ გათვალისწინებული შეთანხმებების მიმართ გამოიყენება ოთხი კუმულატიური პირობა, ევროკავშირში კი ეს პირობები ყველა შეთანხმებული ქმედების მიმართ ვრცელდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხარვეზებია კონცენტრაციების ეფექტური კონტროლის კუთხით. კანონით არ არის გათვალისწინებული რაიმე სანქცია კონცენტრაციის წინასწარი შეტყობინების გარეშე განხორციელების შემთხვევაში, დალოდების ვალდებულების დარღვევისათვის და არც სააგენტოს უარყოფითი დასკვნის უგულებელყოფის შემთხვევაში. ცვლილებების პაკეტი კი მომზადდა კონკურენციის სააგენტოს მიერ, რომელიც ევროკავშირთან შედარებით მცირე რაოდენობის ჯარიმების დაკისრებას ითვალისწინებდა აღნიშნული ვალდებულებების დარღვევისათვის, თუმცა, სავარაუდოდ, საკანონმდებლო ორგანოს ამ კანონპროექტზე დღემდე არ უმსჯელია. კანონით კი ევალება საჯარო რეესტრს გაითვალისწინოს სააგენტოს მიერ მიღებული უარყოფითი დასკვნა, თუმცა, დიდი ალბათობით, მას არასოდეს მოუთხოვია კონცენტრაციის მხარეებისათვის სააგენტოს შეფასების წარდგენა. სამწუხაროდ, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შეტყობინებული კონცენტრაციების შესასწავლად და შესაფასებლად ძალიან მცირე ვადა აქვს კანონით გათვალისწინებული, რაც საქმის სრულყოფილი ანალიზისათვის საკმარისი დრო არ არის, განსაკუთრებით კი გართულებულია კონცენტრაციების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ კონკურენციის ორგანოს არასათანადო უფლებამოსილება გააჩნია კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულებისას. მას არ აქვს კანონით პირდაპირ მინიჭებული ეკონომიკური აგენტების სასამართლოს წინასწარი თანხმობით გარეშე შემოწმების უფლებამოსილება, რაც მნიშვნელოვან ხარვეზად შეიძლება შეფასდეს. ასეთი შემოწმებების გარეშე შეუძლებელია კარტელების გამოვლენა.

კონკურენციის სააგენტო ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებისას კარგი იქნება, თუ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა, ასევე დაეყრდნობა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შესაბამის დებულებებს, რამდენაც ეს უკანასკნელი ეკონომიკური აგენტების შემოწმების მიზნით შექმნილი სპეციალური კანონია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კანონით გათვალისწინებული ჯარიმების ოდენობა მცირეა ევროკავშირთან შედარებით. საქართველოში კარტელის ან დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენებისათვის შეიძლება ეკონომიკურ აგენტებს დაეკისროთ მათი წლიური ბრუნვის არაუმეტეს 5 პროცენტამდე ჯარიმა, მაშინ როდესაც ევროკავშირში კარტელის, დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენებისათვის და კონცენტრაციის რეგულაციის ნორმების დარღვევისათვის შესაძლებელია ეკონომიკური აგენტების დაჯარიმება მათი წლიური ბრუნვის 10 პროცენტამდე.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, განსხვავებით ევროკავშირის კონკურენციის ორგანოსაგან, არ აქვს უფლება პერიოდული ჯარიმები დაუწესოს ეკონომიკურ აგენტებს მათი წლიური ბრუნვის 1 ან 5 პროცენტამდე, რათა ისინი აიძულოს დაემორჩილოს კონკურენციის ორგანოს გადაწყვეტილებას.

გარდა ამისა, ვადებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები და მათი გამოთვლის წესი სერიოზულ ნაკლოვანებებს შეიცავს. კერძოდ, კანონის მიხედვით ხანდაზმულობის ვადა 3 წელია, რომელიც სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან იწყება. კანონი არ ითვალისწინებს განგრძობადი და განმეორებადი სამართალდარღვევის მოკვლევისას გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადებს. ევროკავშირში ხანდაზმულობის ვადა 5 წელია, რომელიც სამართალდარღვევის დასრულების მომენტიდან იწყება, განგრძობადი ან განმეორებადი სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში კი ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღეს, როდესაც მოხდება სამართალდარღვევის შეწყვეტა.





საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი  
თბილისი, დელისის I შესახვევი 5ა  
ტელ.: 2399018/19

This research has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of Center for Strategic Research and Development of Georgia (CSR DG) and do not necessarily reflect the views of the European Union.

ეს კვლევა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კვლევის შინაარსი აუცილებლად ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.“